

ვარლამ თოფურია

ქართული ენა
და მართლწერის
ზოგიერთი საკითხი



ამ წიგნის ავტორი ვარლამ თოფურია სააქაოში 1901-1966 წლებში ცხოვრობდა.

იგი იყო ქართული ენათმეცნიერული სკოლის ჩინებული წარმომადგენელი: ქართველურ და იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევარი, დიალექტოლოგი, ლექსიკოგრაფი.

იგი იყო ქართველ თუ უცხოელ სტუდენტთა და ასპირანტთა უბადლო ჰელპერი, მათი სულიერი მოძღვარი.

მან დაუდო საფუძველი ქართული ზეპირი და წერიტი მეტყველების სტილისტიკის, ლექსიკოლოგიის სწავლებას საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

მან ამ პატარა წიგნში ნათლად წარმოაჩინა, რომ სალიტერატურო ენა ერის კულტურის ნაყოფია და ხელს უწყობს ერის კონსოლიდაციას, მის განვითარებასა და წინსვლას.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართული ლიტერატურული ენის სიწმინდის დაცვის თაობაზე ხშირად იწერება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, ბევრი შეკითხვა მოსდის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს, თბილისის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრას, გაზეთების რედაქციებს, ტელევიზიას. შეკითხვებს გზავნიან მასწავლებლები, მოსწავლეები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და მუშაკები – ინჟინერ-ტექნიკოსები, ექიმები, გამომცემლობათა თანამშრომლები. ისინი კითხულობენ, როგორ დაიწეროს ესა თუ ის სიტყვა ან გამოთქმა (ფრაზა), რატომ იწერება ასე და არა სხვაგვარად სადავო სიტყვა, როგორ შეეარჩიოს და რომელ მათგანს მივცეთ უპირატესობა, თუ გვაქვს ორი პარალელური ფორმა ან ტერმინი და სხვა. მათ სურთ გაიგონ, როგორ ვთქვათ და რომელი მათგანი ვწეროთ ქვემოთ მოყვანილი სიტყვებიდან: გარეთ, წინათ, აღბათ თუ გარედ, წინად, აღბად... ბაკალეა, ბაკალია, ბაკალეია თუ ს ა ბ ა ე ლ ო... ვალიარებ თუ აღვიარებ; ყვავის თუ ჰყვავის; უკარნახებს თუ კარნახობს, უპასუხებს თუ პასუხობს... ერთი სიტყვით თუ ერთის სიტყვით; მეორე მხრივ, მეორე მხრით თუ მეორეს მხრივ, მეორის მხრით... მანქანა ჰ ე ა ვ ს თუ მანქანა ა ქ ე ს; მაგალითი მ ი ჰ ე ა ვ ს თუ მაგალითი მ ო ა ქ ე ს ე ე ლ ა ფ ე რ ს მოუყვა თუ ე ე ე ლ ა ფ ე რ ი მოუყვა; ბ ე ვ რ ს ეკადა თუ ბ ე ვ რ ი ეკადა და ასე შემდეგ.

სვამენ საკითხს, როგორ გადმოიცეს ქართულად უცხოური გეოგრაფიული სახელები, ადამიანის სახელი და გვარი, გადმოიცეს

ისე, როგორც იწერება, ან როგორც წარმოითქმის იმ ენაზე, საიდანაც ის შემოდის, თუ სხვაგვარად.

შეკითხვების პარალელურად ქართული ენის მცოდნეებს, სპეციალისტებს შემოაქვთ წინადადება, რომ უცხოური წარმოშობის სიტყვები და გამოთქმები შეიცვალოს ქართული სიტყვებითა და გამოთქმებით. მაგ.: აღნიშნავენ, რომ ლათინური ტერმინის **პ ა ნ ა რ ი ც ი უ მ ი ს** ქართული შესატყვისია **ს ა წ ე რ ე ლ ი, დ უ დ კ ო, გ ა რ ც მ უ ლ ა** და საჭიროა ერთ-ერთი მათგანი ვიხმაროთ; ფრანგული სახელი **დ ე ს ე რ ტ ი** შეიძლება შევცვალოთ სიტყვით **ჩ ა რ ო ზ ი**; **ბ ლ ი ნ ი ს** ეკვივალენტია ხევსურულსა და თუშურში ცოცხალი სიტყვა **მ ა ჭ კ ა ტ ი** და ა. შ.

ბევრი შემოთავაზებული წინადადება მართებელია და გასაზიარებელი, მაგრამ ზოგი წინადადება მცდარ აზრს შეიცავს და, მაშასადამე, მიუღებელია. მაგ.: ბევრს ჰგონია, რომ **ДУХИ**-ს შესაბამისი სახელია **ნ ე ლ ს ა ც ხ ე ბ ე ლ ი** და საჭიროა ამ უკანასკნელის დამკვიდრება ლიტერატურულ ენაში. მაგრამ ძველი ქართულიდანვე ცნობილია, რომ **ნ ე ლ ს ა ც ხ ე ბ ე ლ ი** სურნელოვანი **ზ ე თ ი ა**, ბერძნული **მ უ რ ი ა** (იგივე ბერძნული რუსულში **МИРО**), ხოლო **ДУХИ** რუსული სიტყვაა და წარმოადგენს სპირტში გაზავებულ სურნელოვან ნივთიერებას. ჩანს, სხვადასხვაა და ამის გამო **ДУХИ**-სათვის ვერ გამოდგება „ნელსაცხებელი“. მას უფრო შეეფერება თუნდაც ხელოვნური **ს უ ნ ა მ ო** (= სუნი ამო), უფრო კი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში შემონახული **ი ნ ა ნ თ ი**, რომელიც დ. ჩუბინაშვილს თავის ქართულ-რუსულ ლექსიკონში შეტანილი და თარგმნილი აქვს სიტყვით **ДУХИ**.

ზოგს შედმეტად მიაჩნია ხმარება **ვ ა გ ზ ა ლ** სიტყვისა და გვირჩევედა მის გაერთიანებას **ს ა დ გ უ რ** სიტყვასთან. ამით ავტორს სურდა ორი მიზნისათვის მიეღწია: ერთი მხრივ, სადავო მართლწერა (**ვ ა გ ზ ა ლ ი თუ ვ ო გ ზ ა ლ ი**) თავიდან

მოუწორებინა ამ სიტყვის ხმარებიდან ამოღებით და, მეორე მხრივ, უცხოური წარმოშობის სახელი ქართულთ შეეცვალა. მაგრამ, როგორც ცნობილი იყო და სპეციალისტებმაც შენიშნეს, ვ ა გ-ს ა ლ ი და ს ა დ გ უ რ ი სხვადასხვა ობიექტის სახელწოდებაა და მათი შენაცვლება ან ერთ სიტყვად გაერთიანება არ შეიძლება.

ვარაუდობენ აგრეთვე, რომ ლათინური ა დ ვ ო კ ა ტ სახელის შესატყვისია ვ ე ქ ი ლ ი და მოითხოვენ პირველის (ა დ ვ ო-კ ა ტ სიტყვის) ხმარებიდან განდევნას და მეორის (ვ ე ქ ი ლ სახელის) აღდგენას და დამკვიდრებას.

ასევე ბარბარი'სმად ნათლად ბოლო ხანებში გავრცელებულ პ ა რ ი კ მ ა ხ ე რ, ს ა პ ა რ ი კ მ ა ხ ე რ ო სიტყვებს და ცდილობენ მოქალაქეობრივი უფლება მოუპოვონ ადრე ხმარებულ სახელებს დ ა ლ ა ქ ს ა და ს ა დ ა ლ ა ქ ო ს.

მაგრამ წინადადების ავტორებს ავიწყდებათ, რომ შემცველელი სიტყვებიც უცხოური წარმოშობისაა (ვ ე ქ ი ლ ი არაბულ-სპარსულია, ხოლო დ ა ლ ა ქ ი არაბულია) და, გარდა ამისა, ა დ ვ ო კ ა ტ ს თუ ამოვიღებთ, მაშინ რით შეეცვალათ ა დ ვ ო-კ ა ტ უ რ ა? რაც შეეხება დ ა ლ ა ქ ს ა და პ ა რ ი კ მ ა ხ ე რ ს, დღეს მათ შორის სხვაობაა ხარისხის თუ წოდების მხრივ: პ ა რ-კ მ ა ხ ე რ ი უფრო მაღალი კვალიფიკაციის ხელოსანია, ამის გამო ს ა პ ა რ ი კ მ ა ხ ე რ ო შეიძლება გაიხსნას ქალაქის თვალსაწინო ქუჩებზე, ს ა დ ა ლ ა ქ ო კი მხოლოდ განაპირა ადგილებში.

ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება სხვა ხასიათის შენიშვნებიც, რჩევა-დარიგებანი და ა.შ.

ფართო გამოხმაურება გამოიწვია გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ (1960 წლის 6 აგვისტოს) გამოქვეყნებულმა წერილმა „ჩვენს სადა, დახვეწილ ქართულში“, სადაც აღნუსხული იყო არა მარტო ენობრივი შეცდომები, არამედ დედაენის დამახინჯების

წარმოუდგენელი შემთხვევებიც. ამ წერილმა ბევრი დააფიქრა, შეცდომათა გამოსწორებასაც საკმაოდ შეუწყო ხელი.

რედაქციებსა და განსაკუთრებით ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და ქართული ენის კათედრას აღრიცხული აქვთ ყველა შეცდომა, დადგინდნორმათა დარღვევის მაგალითები, ნაწარმოების თარგმნისას სხვა ენის გავლენით თუ წაბაძვით გამოწვეული გადახრები და ზოგჯერ დამახინჯებაც, რომლებიც გვხვდება განცხადებებსა და აფიშებში, ფირნიშების წარწერებში, თარგმანებში და, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებში და ჟურნალ-გაზეთების ენაშიც, მით უფრო სასაუბრო (ზეპირ) მეტყველებაშიც. ჩანს, ენის ნორმების დარღვევის შემთხვევები მწვავედ იგრძნობა.

რით აიხსნება ჩვენი პრესის, ფართო საზოგადოებრიობის ინტერესი ლიტერატურული ენისადმი, კერძოდ, მისი სიწმინდის დაცვისადმი?

მოკლედ შევეცხოთ ქართული ენის ზოგიერთ მხარეს.

ენის სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლა

ენის სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლა ყველა ლიტერატურული ენის თანმხლებია. ცნობილია, მაგ.: პურიზმისათვის, ენაში შემოსულ უცხოურ ელემენტთა თუ სიტყვათა განდევნისათვის ჩატარებული მწვავე ბრძოლა ჩეხეთში, რუსეთში და სხვაგან. აღსანიშნავია ამ მხრივ ა. შიშკოვისა და სახელმთხოვეჭილი ლექსიკოგრაფის ვ. დალის თავდადებული შრომა და ღვაწლი უცხოურ სიტყვათა ნაცვლად რუსული სიტყვების შემოღება-დამკვიდრებისათვის. ანალოგიური ბრძოლა საქართველოშიც წარმოებდა. ძველ პერიოდს

რომ თავი დაეანებოთ, რად ღირს მარტო XVII საუკუნეში მეფისა და პოეტის არნილის გალაშქრება ბარბაროზების, ამ შემთხვევაში სპარსული სიტყვების, ქართული ენიდან აღმოსაფხვრელად. იგი წერდა:

„ეგ ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიცოდე სხვასავით,
მაგრამ ცუდია გარევა ქართულ ენაში სხვას აყით“.

და საგანგებოდ აღნიშნავდა:

„მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურეყია“.

საქმე ისაა, რომ არნილის წინამორბედ გამაჰმადიანებულ მეფეთა და დიდებულთა წყალობით, ფეხს იკიდებდა სპარსული ცხოვრების ადათ-წესები, ვრცელდებოდა და ძლიერ ნაკადად იჭრებოდა ქართულ ენაში სპარსული სიტყვები, ირყენებოდა ოდითვე ჩამოყალიბებული ქართული ლიტერატურული ენა და მას წააღებდა ელოდა. არნილმა სასტიკად გაილაშქრა მისი სიწმინდის დასაცავად, თუმცა ვერ განახორციელა. ბრძოლა განაგრძო სახელოვანმა სულხან-საბა ორბელიანმა, რომელმაც შეადგინა ქართული ლექსიკონი „სიტყვის კონა“. საბას სიტყვით, ქართველებს „პატიოსანი ესე წიგნი (ე.ი. ლექსიკონი) დაჰქარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყუნათ“ და ამის გამო „ფრიადითა შრომითა და რუღუნებითა“ შექმნა ლექსიკონი დღესაც სანიშნოდ წესით: „რომელნიცა ვიცოდი, დაეწერე, და რომელნიცა ძნელნი სიტყვანი არ ვიცოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვიძიე და რომელიმე სხვათა ენათა შევამოწმე და გამოწველილვით რომელიცა ვპოე, ადვილად თან მოუაწერე... რათა ისწაონ ენა ქართული“. ქართული ენის შესწავლა კი, მისი აზრით, ნიშნავდა მივიწყებული სიტყვების აღდგენასა და გაცოცხლებას, უცხოური სიტყვების შეცვლას ქართულით, თუ ასეთი სიტყვა მოიპოვებოდა ენაში, სიტყვათა სწორად და სუსტი მნიშვნელობით ხმარებას და სხვას. ამიტომ იყო, რომ საბამ, „რათა ისწაონ ენა ქართული“, გამოყო უცხოური წარმოშობის სიტყვები და

სამოხელეო სახელწოდებანი და გვერდით მიუწერა ქართული შესატყვისები. ამ გზით ცდილობდა იგი შეეცვალა

უცხოური ტერმინი	ქართული ტერმინით
ნ ა ზ ი რ ი	ე ზ ო ს მ ო ძ ღ ე ა რ ი
უ ზ ბ ა შ ი	ა ს ი ს თ ა ვ ი
ყ ა დ ი	ბ ჭ ე
ყ ო რ ნ ი ბ ა შ ი	მ ს ა ხ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი
თ ა რ ე შ ი	მ ა რ ბ ი ე ლ ი და სხვები,

ან სიტყვის ლექსიკური ერთეულის, განმარტებისას მიუთითებდა, მაგ: ტ ი კ ი სომხურია, ქართულად თ ხ ი ე რ ი
 კ უ ტ ი სხვათა ენაა, ს ა პ ყ ა რ ი ჰქვიან
 რ ა ხ ი ბერძნულია, ა რ ა ყ ი არაბულია, ი ყ ი ქართულად
 ჰქვიან და სხვა მრავალი. ამან, უდავოდ, თავისი ნაყოფი გამოიღო.

საყოველთაოდ ცნობილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა მოღვაწეთა ბრძოლა „მამათა ბანაკის“ წინააღმდეგ ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის. ისიც ცნობილია, რომ იგი ახალი, ხალხური ენის დამკვიდრებით დაგვირგვინდა. ამ ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ლიტერატურული ენის განვითარების ისტორიაში.

რას ნიშნავს ენის სიწმინდის დაცვა?

ესაა დამკვიდრებული ენის ნორმების დაცვა, მისი დამახასიათებელი წესების, მართებული სიტყვებისა და გამოთქმების შესაბამისად ხმარება, ბუნებრივი წარმოთქმის გამოყენება. ენის სიწმინდის დაცვა მეტყველების კულტურის თანმხლებია.

სიწმინდის დაცვა შეიძლება ლიტერატურულ ენაშიც და ცოცხალ, კუთხურ მეტყველებაშიც; მაგ.: „ჟელ მაგიმართასთ“ ან „შიზნ გაიარნა კლდისანი“ და სხვა მსგავსი ფორმები ხევესურული კილოსთვის ბუნებრივია. მისი ოდნავ შეცვლა და ლიტერატურულ ფორმებთან დაახლოება, თუნდაც ასე: „ხელი მაგიმართასთ“ ან „ჟელ მოგიმართოთ“ ხევესურის ყურს ეხამეშება, ხევესური მას წესის დარღვევად მიიჩნევეს. ასევე ქვემოიმერული „იგენი მოდილარიენ“, „იგენმა დაწერენ“ რომ ოდნავ გავალიტერატურულოთ, ქვემოიმერული მიხვედება, რომ მისი მეტყველება „შეიბღალა“. მიუხედავად კუთხური მეტყველების ნორმების ასეთი მგრძობიარობისა, არავენ ზრუნავეს იმისათვის, რომ კუთხური მეტყველება (დიალექტი) ხელუხლებელი დარჩეს, წესები დაცულ იქნეს. იქ დიალექტის ცვლა ხდება ბუნებრივი განვითარებით. სულ სხვაა ლიტერატურული ენა. როცა ენის სიწმინდეზე ლაპარაკობენ, მხოლოდ ლიტერატურული ენა აქვთ მხედველობაში, ნორმების დაცვაზე ზრუნვა მხოლოდ სამწერლო ენას ეხება.

რატომაა ასე განსაკუთრებით გამახვილებული ყურადღება ლიტერატურული ენის მიმართ?

ლიტერატურული ენის ნიშან-თვისებები

ყველამ იცის, რომ ყოველ კულტურულ ერს თავისი ლიტერატურული ენა აქვს, ზოგს ძველისძველი, ჩვენს ვრამდე რამდენიმე საუკუნით ადრინდელი; ასეთია, მაგ.: ეგვიპტური, ხეთური, ასურული, ძველი ინდური (სანსკრიტი), ძველი ირანული (ავესტა), ჩინური, ბერძნული, ლათინური და სხვა, ზოგსაც ჩვენი ერის (წელთადრიცხვის) შემდეგდროინდელი, როგორიცაა: ქართული, სომხური, რუსული, ბულგარული, გერმანული, იაპონური,

კორეული და სხვა; ზოგს კიდევ – გვიანდელი: ლიტვური, ლატვიური (ლატიშური), ესტონური, უზბეკური... და სულ ახალი: დაღესტნის ხალხთა ენებიდან – ხუნძური, ლაკური, ლეზგიური, დარგუული და სხვა.

რამდენადაც ძველია, ერთიანია, მონოლითურია, მდიდარია და დახვეწილია ლიტერატურული ენა, იმდენად კულტურულია მისი შემქმნელი და მატარებელი ერიც. კარგად აქვს ნათქვამი ილია ჭავჭავაძეს: „ენა... ყველაზე შემძლებელია და ყველაზედ სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგანაც... ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას“.

ლიტერატურულ ენას ახასიათებს ნიშანდობლივი თვისებები, რითაც იგი არსებითად განსხვავდება კუთხური მეტყველებისაგან. ეს დამახასიათებელი ნიშნები საკმაოდ ბევრია, ზოგი მათგანი აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ არსებითს:.

ა) ლიტერატურული ენა ერს (ან ხალხს) ჩვეულებრივ ერთი აქვს, კუთხური კი რამდენიმე, ბევრი. ქართული ლიტერატურული ენა ერთი იყო და ერთია ამჟამადაც, კუთხური კი არის: ქართლური, კახური, ხევსურული, ფშაური, მოხეური, თუშური, მთიულური, მესხური, ჯავახური, იმერული, გურული, აჭარული, რაჭული და სხვა. ლიტერატურული ენის მთავარი ძალა ისაა, რომ იგი ერთიანია, მთლიანია, ყველა კუთხის გამაერთიანებელია, მთელი ერი ს ა ე რ თ ო ე ნ ა ა, კუთხური კი მხოლოდ ერთი კუთხის თუ მხარის მეტყველებაა, მცირე ენობრივი კოდექტივის კუთვნილებაა. ამიტომაც, რომ ქართულ ლიტერატურულ ენაზე ერთნაირად წერენ, კითხულობენ, საზოგადოებაში ერთმანეთის გასაგებად მეტყველებენ ქართლელი და იმერელი, ხევსური და მეგრელი, ფშაველი და სვანი, თუშქ და აჭარელი და სხვა. ლიტერატურულ ენაში საერთო სიტყვებია, საერთო გრამატიკული ფორმებია. მცირედი გადახრა

ამ საერთოსაგან მაშინვე იგრძნობა, იგი მაშინვე იქცევეს ყურადღებას და ცდილობენ, ეს სხვაობა მოიშალოს, ენის ერთიანობას ხელი არ შეუშალოს.

ენის ერთობის ძალა და მნიშვნელობა ქართველებს ყოველთვის შეგნებული ჰქონდათ – მაშინაც, როცა საქართველო სამთავროებად იყო დაყოფილი, და, მით უფრო, მაშინაც, როცა იგი მთლიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმს წარმოადგენდა. კილოებზე მეტყველნი საჭიროდ ცნობდნენ განვეითარებინათ საერთო ლიტერატურული ენა.

ბ) ლიტერატურულ ენას თვადაპირველად ერთი – პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული – კილო ედება საფუძველად. ასეთია ქართულისათვის – ქართლური კილო, რუსულისათვის – კურსკ-მოსკოვის კილო, ფრანგულისათვის – პარიზისა და იტალიურისათვის – ფლორენციის დიალექტი. მიუხედავად იმისა, რომ ამოსავალი ერთი კილოა (დიალექტია), ლიტერატურული ენა არ ემთხვევა მას: დროთა ვითარებაში ლიტერატურული ენის განვეითარებაში სხვა კილოებიც იღებენ მონაწილეობას. ეს კილოები მის მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენენ. ასეთებია ახალი ქართულისათვის კახური და ნაწილობრივ იმერული, ფშაური, უფრო ნაკლებ მოხეური, მესხური, გურული, ზოგჯერ მეგრული, სვანური და სხვ.

ლიტერატურული ენა უმთავრესად ივსება და მდიდრდება კილოებიდან შემოსული სიტყვებით, იქნება ეს მესაქონლეობის, მევენახეობა-მეხილეობის, ჩაისა და ციტრუსების თუ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის ამსახველი სიტყვები. კუთხური გრამატიკული ფორმების შემოტანა კი ენას მთლიანობას დაუკარგავს. ამიტომ უსამართლოდ არ მოეწვენება კაცს აკაკის საყვედური გაუასადმი: „ენას გიწუნებ, ფშაველო...“. გაუას მოსაზრებას გამა. . თლება მაშინ ექნებოდა, თუ ის თავის სიტყვებში – „მე არც ერთ

კილოს არ ვწუნობ, თუა ქართველის გვარისა“ – იგულისხმებდა ფშაურის, როგორც კილოს, მონაწილეობას ლიტერატურული ენის განვითარებაში.

გ) ლიტერატურული ენის განვითარების დიდ ფაქტორს წარმოადგენს კულტურულ ენებთან ურთიერთდამოკიდებულებაც, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, ურთიერთზეგაველენა. კარგი თარგმანით მაღლდება არა მარტო კულტურული დონე ხალხისა, არამედ მდიდრდება მისი ენაც: შემოდის ახალი სიტყვები და ტერმინები, ყალიბდება ახალი გამოთქმები და სხვა. მაგრამ მონურ თარგმანს შეუძლია ენა შერყენას, დაამახინჯოს. თარგმნა უადრესად განვითარებული იყო ძველად საქართველოსა და საქართველოს გარეთ არსებულ ქართულ კულტურულ ცენტრებში. თარგმნიდნენ სხვადასხვა ენიდან. ეფრემ მცირემ შექმნა თარგმნის თეორია, შემოგვენახა თარგმნილ თხზულებათა რედაქციები და სხვა. თუ რაოდენ კეთილისმყოფელია ამ მხრივ თარგმანები ივანე მანაბლის, ივანე მაჭავარიანისა, თედო სახოკიასი, გერონტი ქიქოძისა და სხვებისა, ეს ბევრგზის ყოფილა აღნიშნული. კუთხური მეტყველება კი სხვა ენათა ამ ხასიათის ფართო გავლენას მოკლებულია.

დ) ლიტერატურული ენა ჩამოკვეთილია, დამუშავებულია, ამდენად ნაწილობრივ იგი ხელოვნურია. მასში კილოებიდან თუ სხვა ენებიდან შემოსული სიტყვები შერჩეულია, ერთგვარ დარჯაკშია გატარებული, აბსტრაქტულ ცნებათა გამომხატველი ახალწარმოქმნილი სიტყვები ბევრია და მით ენა გამდიდრებულია, ფორმები დახვეწილია. ასეთი რამ კუთხურ მეტყველებას არ ახასიათებს, ამდენად იგი არაა ხელოვნური.

ე) საერთოდ ენაც და კილოც იცვლება, იცვლება არა მარტო საუკუნეთა განმავლობაში, არამედ მოკლე ხანშიც, ათეულ წლებშიც. ამის საუკეთესო ნიმუშია დღევანდელი ჩვენი ქართული; რომელიც ამ ორმოცდახუთიოდე წლის განმავლობაში გამდიდრდა,

განსაკუთრებით ბოლო ორ ათეულ წელში დაიხვეწა, გავრცელდა, ამ ენაზე შეიქმნა ფართო ლიტერატურა მხატვრულთან ერთად მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგისა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლიტერატურული ენა იცვლება უფრო ნელი ტემპით, ვიდრე ზოგი კუთხური მეტყველება, დიალექტი. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ლიტერატურული მემკვიდრეობის ათვისება წარმოებს განუწყვეტლივ, მომდევნო თაობა ეუფლება წინამორბედ თაობათა ლიტერატურულ მიღწევებს, არ წყდება წინანდელ ლიტერატურულ ენასთან კავშირი, ტრადიცია გრძელდება. ამდენად ლიტერატურული ენა მეტ-ნაკლებად კონსერვატიულია. იგი ძლებს დიდხანს. ამიტომაც, რომ ჩვენ დაუბრკოლებლად გვესმის V, X, XI, XII და შემდეგ საუკუნეთა ენა, ენა იაკობ ცურტაველისა, გიორგი მერჩულისა, მთაწმიდლებისა, შოთა რუსთაველისა და სხვებისა. მაგრამ ლიტერატურული ენის ცვლა-განვითარება ხდება არა ნებისმიერად, არამედ ჩარევით: ენას ეწევა მეთვალყურეობა, ერთგვარი კონტროლი, რომ უმართებულო ფორმები არ გავრცელდეს და არ დაინერგოს, ენის დანაგვიანება არ მოხდეს, მხოლოდ მართებული და საჭირო სიტყვები დამკვიდრდეს. მართალია, ზოგჯერ მწერალი თავისუფლებას იჩენს და შემოიტანს ახალ სიტყვას, გამოთქმას თუ კუთხურ ფორმას, მაგრამ მისი მიღება და ენაში დამკვიდრება მწერლის ძალას აღემატება, ახალი მოვლენის განმტკიცება საჭიროებასა, სიტუაციასა და მკითხველთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზეა დამოკიდებული.

ამგვარად, ლიტერატურული ენა მეთვალყურეობას ექვემდებარება. ჩვენს პერიოდში მისი მართებულად წარმართვისათვის იღვეწიან მწერლები, ჟურნალისტები, მეცნიერები, მასწავლებლები, საზოგადოებრიობა, ზრუნავს სახელმწიფო; ასეთი მეთვალყურეობა, კონტროლი კი კუთხურ მეტყველებას არ ეწევა.

ვ) ლიტერატურული ენა სამწერლობო ენაა. სამწერლობო ენის

მეშვეობით იქმნება მხატვრული ნაწარმოებები, სამეცნიერო და ტექნიკური, პოლიტიკური და პუბლიცისტური ლიტერატურა, იგი პრესის ენაცაა. ლიტერატურული ენა ისწავლება სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, მას ვეუფლებით და ვიყენებთ წერის თუ ზეპირი მეტყველების დროს, კუთხურ მეტყველებას კი ბავშვობიდანვე ვიძენთ სოფელში, ოჯახში და ვხმარობთ ვიწრო წრეში, ჩვენი კუთხის მოსახლეობასთან, ოჯახის წევრებთან ურთიერთობის დროს. მაშასადამე, ლიტერატურული ენა ა უ ც ი - ლ ე ბ ლ ი ვ უ ნ დ ა შ ე ი ს წ ა ე ლ ო სასწავლებელში, თუ გინდა წიგნიერი გახდე, კუთხური კი არ ისწავლება.

როგორც ვხედავთ, ლიტერატურულ ენასა და კუთხურ მეტყველებას შორის თვალსაჩინო განსხვავებაა.

ქართული ლიტერატურული ენის ჩამოყალიბების პირობები

ქართული ლიტერატურული ენა მდიდარ და კულტურულ ენად ითვლება. ქართულ კულტურას თავისი საწყისები შორეულ წარსულში აქვს. ამ კულტურის ნაყოფია და იმავე დროს მისი განვითარებისა და წინსვლის ძალუმი იარაღი – ლიტერატურული ენა. უკანასკნელი თავისი დასაბამით უკავშირდება ქართული ანბანის წარმოშობას, ხოლო განვითარებით – მწერლობის აღმავლობას. საერთოდ კულტურაში, კერძოდ კი მწერლობაში, არის ასახული ქართველი ერის როგორც დაუცხრომელი ბრძოლა სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად, ისევე ყოფა-ცხოვრება – ინტენსიური შემოქმედება და ეროვნული თვითშეგნება თავისი ხანგრძლივი ისტორიის ყველა ეტაპზე. ამით აიხსნება აუცილებლობა ენის შესწავლისა მისი შემქმნელი და მატარებელი ხალხის ისტორიასთან განუყრელ კავშირში.

საქართველო წარმოადგენდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ძლიერ სახელმწიფოთა ბრძოლის ასპარეზს მის პოლიტიკურად და ეკონომიკურად დასაპყრობად, დასამორჩილებლად. აქ ერთმანეთს ცვლიდნენ რომაელები და სპარსელები, არაბები და მონგოლები, თურქები და სხვები, შიგნითაც იყო გაჩაღებული მწვავე ბრძოლები და ეს გრძელდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობის მთელ მანძილზე.

თავისი თვითმყოფობისათვის, თავისი დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ ბრძოლასთან ერთად ქართველი ხალხი გულმოდგინედ იღწვოდა საკუთარი კულტურის, საკუთარი მწერლობისა და სწავლა-განათლების განვითარება-აყვავებისათვის. საამისოდ მას დროდადრო ექმნებოდა ხელსაყრელი პირობები. ინტენსიური იყო ლიტერატურული შემოქმედება VIII–X სს და მან განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია XI–XII საუკუნეებში. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ საქართველოში თავს იყრიდა მსოფლიო კულტურის ორი გზა – აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, რამაც შეაპირობა საეკლესიო მწრლობის გამდიდრება, სქოლასტიკური ფილოსოფიისა და თეოლოგიის და, ამავე დროს, საერო მწერლობის გაჩენა-განვითარება. სწავლა-განათლების მისაღებად და ჭეშმარიტი კულტურულ-ლიტერატურული შემოქმედების გასაშლელად საჭირო იყო ლიტერატურული ცენტრები. ასეთი ცენტრები დაარსდა როგორც საქართველოში მონასტრებთან, ისე საქართველოს საზღვრებს გარეთაც – აღმოსავლეთში: შავ მთაზე (სირიაში), პალესტინაში (იერუსალიმში) – სინას მთაზე, ბიზანტიაში – ოლიმპოს მთაზე, საბერძნეთში – ათონის მთაზე, ბულგარეთში – პეტრიწონში (ახლანდელი სოფ. ბაჩკოვო). XI–XII საუკუნეებში დაარსებული იყო აკადემია გელათში, იყალთოში და, გადმოცემით, გრემშიც. გელათი მეორე ათენად იწოდებოდა. ქართველი მეცნიერ-მოღვაწენი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს როგორც თავისიანთა შემოქმედებას, ისე მსოფლიოს მოწინავე

მოდვაწეთა აზრებსა და ფილოსოფიაში კი სხვადასხვა მიმართულებას და, როგორც უკვე გამოჩვენებულა, X-XII საუკუნეებში სამეცნიერო და ფილოსოფიურ-თეოლოგიურ დარგებში თავიანთი წვლილი შექმნდათ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია დიონისე არეოპაგელის სახელით VI საუკუნიდან ცნობილი შრომების კრებული, რომლის ავტორი შალვა ნუცუბიძისა და ბელგიელი მეცნიერის ერნესტ ჰონიგმანის თეორიით, სახელოვანი ქართველი მოაზროვნე პეტრე იბერიელი იყო.

ქართულ ენაზე შექმნილია ძალიან მდიდარი ლიტერატურა. მრავალი ორიგინალური ისტორიული და მხატვრული ღირებულების ძეგლთან ერთად მოიპოვება დიდძალი თარგმნილი ნაწარმოები სხვადასხვა ენიდან – სირიულიდან, ბერძნულიდან, სომხურიდან, არაბულიდან და პირიქითაც, ქართულიდან სომხურად, ბერძნულად. ბევრი ბერძნული ძეგლი, რომელთა დედანი უკვე დაკარგულად ითვლება, შემონახულია ქართულ თარგმანებში. ეს ლიტერატურა ჟანრობრივად მრავალფეროვანია: საეკლესიო-რელიგიური, ფილოსოფიურ-თეოლოგიური, საერო, ისტორიული, სასწავლო ხასიათისა და სხვა.

ქართველი ერის სულიერი სიმდიდრის გამომხატველი ეს ძეგლები დაცულია მრავალ ადგილას – საქართველოში (თბილისში, კაქეელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, საქართველოს არქივში, ქუთაისის, ახალციხის, ზუგდიდისა და მესტიის მუზეუმებში), რუსეთში (მოსკოვსა და პეტერბურგში და სხვაგან), საზღვარგარეთის ზემოდასახელებულ ძველ ქართულ ცენტრებში და, გარდა ამისა, საფრანგეთში, პოლონეთში, ინგლისში, იტალიაში, ავსტრიაში, გერმანიაში, ამერიკაში. მათი მარტო აღწერილობა რამდენიმე ათეულ ტომს შეადგენს.

ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, მცირე ქართველმა ერმა ხელშესახები წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში.

ორიგინალური ძეგლების შექმნასთან ერთად, ფართოდ იყო

გაშლილი თარგმნითი მუშაობა, რაც მოითხოვდა ლიტერატურულ დახელოვნებასთან ერთად მშობლიურ და მისგან არსებითად განსხვავებულ სხვა ენათა ღრმა ცოდნას. ამან გამოიწვია დიდი ფილოლოგიური კვლევა-ძიება. შეიქმნა მიმართულება თარგმნითს ხელოვნებაში. საინტერესო ცდებია ჩატარებული გიორგი მთაწმინდელის და ეფრემ მცირის მიერ სალიტერატურო ენის სტილისტიკურ დარგში. ეფრემ მცირესა და იოანე პეტრიწს განხილული აქვთ გრამატიკის ძირითადი საკითხები დიონისე თრაკიელისა და აპოლონიოს დისკოლოს გრამატიკათა საფუძველზე, მათვე დიდი და ღრმა მეცნიერული მუშაობა აქვთ ჩატარებული ქართული ფილოსოფიური ტერმინების შესაქმნელად და დასადგენად, ეფრემ მცირემ მოახდინა ქართული პუნქტუაციის (სასენი ნიშნების) რეფორმა, მანვე შეადგინა ქართულ გაუგებარ სიტყვათა ლექსიკონი და მოგვცა საგულისხმო შენიშვნები ქართული ვერსიფიკაციის (ლექსწყობის) შესახებ. საერთოდ, იმდროინდელი არც გრამატიკა და არც ლექსიკონი მთლიანი სახით ჩვენამდე არ მოღწევულა. დაცულია მხოლოდ 1210 წლის ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ოთხთავის „ძნელოან სიტყვათა“ და „ებრაელთა ენის“ საკუთარ სახელთა ლექსიკონს.

თეორიული ინტერესი ქართული ენისადმი იმდენად დიდი იყო, რომ X ხუთწუწუნეში იოანე მთაწმინდელმა, თორნიკეს გარდაცვალების შემდეგ (985წ.), განიზრახა თან წაეყვანა რამდენიმე თავისი მოწაფე და წასულიყო ესპანეთში, რადგანაც სმენოდა, რომ იქ დასახლებულია არამცირე ქართველი ხალხი. ნაგულისხმევია ბასკები, რომლებიც სახლობენ პირენეის ნახევარკუნძულზე ესპანეთში, საფრანგეთის საზღვარზე. ბასკური ენის ქართულთან ნათესაობის საკითხი ამჟამად საკმაოდ მეცნიერულ ნიადაგზე დგება.

ყველაფერი ეს შესაძლებლობას იძლევა თვალი გავადევნოთ ქართული ლიტერატურული ენის განვითარებას მწერლობის დასაბამიდან დღემდე.

ქართული ენის კვლევა

ქართული ენა ერთი უძველესი სამწერლობო ენათაგანია. იგი ძველებით წარმოდგენილია მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრიდან. აქედან მოყოლებული დღემდე ქართული ენა უწყვეტლივ ვითარდებოდა. იხვეწებოდა, ივსებოდა და მდიდრდებოდა.

ჩვენამდე მოღწეული პირველი წერილობითი ძეგლები (წარწერები, პალიმფსესტები – ტყავის ხელნაწერები, რომლებზედაც ძველი ნაწერი გადაფხევილია და ახალი ტექსტია დაწერილი) განეკუთვნება V–VI საუკუნეებს. უძველესი მათგანი ბოლნისის სიონის (თბილისის სამხრეთით 80 კმ) წარწერაა და იგი დათარიღებულია 492–493 წლით, მცხეთის ჯვრის მონასტრისა და წყისის (ახალციხის რაიონში) წარწერები VI–VII საუკუნეების მიჯნაზეა. ვარაუდობენ, რომ პალესტინაში (ბეთლემში, იერუსალიმის ახლოს) აღმოჩენილი წარწერა მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება. ხანმეტი ლექციონარი VII საუკუნისაა, ხოლო ხანმეტი და ჰაემეტი პალიმფსესტები V–VIII საუკუნეებით თარიღდება. პირველი ორიგინალური აგიოგრაფიული ნაწარმოები იაკობ ცურტაველისა (წმიდა შუშანიკის წამება) დაწერილია 476 – 483 წლებს შუა, მაგრამ XI საუკუნეზე ადრინდელი ეს ხელნაწერი ჩვენამდე არ მოღწეულა, ადრე დაკარგულა. V საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ამას უტყუარი წყარო გვაუწყებს, უკვე თარგმნილია ოთხთავი (სახარება) და ფსალმუნი. ამ უძველეს ძეგლთა ენის ლექსიკის სიმდიდრე, გრამატიკული წყობის ნორმალური ხასიათი, ენის მხატვრულობა და გამომსახველ საშუალებათა სრულყოფილება, აგრეთვე ანბანის სისრულე და ასოთა მოხაზულობის დამთავრებულობა საფუძველს იძლევა დაეუშვათ, რომ ქართული მწერლობა V საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრე უნდა ყოფილიყო აღმოცენებული და განვითარებული. არის ამ დებულების დამადასტურებელი ფაქტებიც. ქართული ისტორიული წყაროების ცნობათა მიხედვით ირკვევა, რომ სახელმწიფო რე-

ლიგიად ქრისტიანობის გამოცხადებამ, რაც მოხდა IV საუკუნის პირველ ნახევარში (337წ.), და მისმა ხალხში ძალდატანებით გავრცელებამ გამოიწვია წარმართული კულტურის ძეგლთა მოსპობა და მასთან ერთად, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, წარმართული მწერლობის განადგურებაც.

მწერლობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეიქმნა ისტორიულ ქართლში, სადაც პოლიტიკურ-კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა მცხეთა, საქართველოს პირველი სატახტო ქალაქი.

VII-VIII საუკუნეებიდან ქართლის სამეფოს ნაცვლად, სადაც არაბები ბატონობდნენ, სამი ახალი ფეოდალური სამთავრო წარმოიშვა, აღმოსავლეთ საქართველოში – კახეთში, დასავლეთსა და სამხრეთ საქართველოში. პოლიტიკურ-კულტურულმა ცენტრებმაც ადგილი იცვალეს ქართლიდან განაპირა მხარეებში. დასავლეთ საქართველოში სატახტო ქალაქი გახდა ქუთაისი, ხოლო სამხრეთ საქართველოში არტანუჯი – ციხე-ქალაქი ცნობილი ტაო-კლარჯეთის ოლქებისა. ტაო-კლარჯეთი გახდა ქართული განათლებისა და კულტურის ცენტრი, სადაც გაიშალა მშენებლობა და ლიტერატურული მოღვაწეობა. აქ და საქართველოს სხვა ცენტრებში შეიქმნა მდიდარი ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურა საეკლესიო-რელიგიური, ისტორიული, ფილოსოფიური შინაარსისა. ასეთებია: ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა (951წ.), ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა (სამცხეში, X ს. დასაწყისი), გადაიწერა ოპიზაში ოპიზის ოთხთაეი (913 წ.), შატბერდში – შატბერდის კრებული (973 წ.), რომელშიც მოთაუ-სებულია გრიგოლ ნოსელის მეცნიერულ-ფილოსოფიური თხზუ-ლების თარგმანი „კაცისა შესაქმისათვის“, ადიშის ოთხთაეი (897 წ.), ჯრუჭის ოთხთაეი (936 წ.), პარხლისა (973 წ.), ტბეთში – ტბეთის ოთხთაეი (995 წ.), ოშკში – ბიბლია (978 წ.), იოანე ოქროპირის ცხოვრება (968 წ.), ასევე გადაიწერა უდაბნოს მონასტრის მრავალთაეი (X ს.) და სხვა მრავალი. უაღრესად განვითარდა კიმნოგრაფია, საეკლესიო პოეზიის ერთ-ერთი დარგი,

შედგა საგალობელთა კრებული, რომელიც 'შეიცავს სანოტო ნიშნებს. ამას თუ დაუმატებთ საზღვარგარეთულ ცენტრებში – სინას მთაზე (ეგვიპტეს ეკუთვნის), ასევე იერუსალიმის მახლობლად საბაწმინდის მონასტერში, განსაკუთრებით კი ათონის მთაზე, სადაც ტაო-კლარჯეთიდან გამოსული პირები მოღვაწეობდნენ, – შექმნილ ლიტერატურას, მაშინ ნათელი გახდება, თუ რაოდენ დიდი მემკვიდრეობა მოგვეპოვება ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და სხვა დარგების დრმა, ყოველმხრივი შესწავლისათვის.

დათარიღებულ ძეგლთაგან ყველაზე ძველია სინური მრავალთავი, რომელიც გადაწერილია 864 წელს საბაწმინდის ლავრაში (იერუსალიმთან) და შეწირულია სინას მთის ქართული მონასტრისათვის. იგი ამუამადაც იქ ინახება, ხოლო მისი მიკროფირი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებაშია. ძეგლი სათანადოდ გამოსცა აკაკი შანიძემ.

მრავალი შესანიშნავი ძეგლი აქვთ გამოქვეყნებული ნიკო მარს, კორნელი კეკელიძეს, აკაკი შანიძეს, ექვთიმე თაყაიშვილს, ივანე ჯავახიშვილს, იოსებ ყიფშიძეს, სიმონ ჯანაშიას, ილია აბულაძეს, ლეონ მელიქსეთ-ბეგს, ნიკო ბერძენიშვილს, სიმონ ყაუხჩიშვილს, არნოლდ ჩიქობავას, თამარ ლომოურს, სერგი გორგაძეს, იუსტინე აბულაძეს, სოლომონ იორდანიშვილს, ალექსანდრე ბარამიძეს, ივანე იმნაიშვილს, მიხეილ კახაძეს, სოლომონ ყუბანეიშვილს, პავლე ინგოროყვას, ადრე კიდევ ალექსანდრე ცაგარელს, ალექსანდრე ხახანაშვილს, თედო უორდანიას, მოსე ჯანაშვილსა და სხვებს. გამოქვეყნება გრძელდება ჩვენშიც და საზღვარგარეთაც. ბევრი მათგანი თარგმნილია რუსულად და ლათინურად.

აღსანიშნავია, რომ აკაკი შანიძემ დააარსა სერია სახელწოდებით: „ძველი ქართული ენის ძეგლები“ და გამოიცა მეცნიერებათა აკადემიაში თერთმეტი წიგნი, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტში – ოთხი.

ქართული ლიტერატურული ენის განვითარების მოკლე განხილვა

ენა ამ IX–XI სს და ადრინდელი ძეგლებისა ერთიანია, უაღრესად განვითარებული და მოქნილი, მეტად მდიდარი და მრავალმხრივია აზრის გადმოსაცემი საშუალებებით, გრამატიკული წყობა ნორმალურივითაა...

საქართველო ამ დროს არ წარმოადგენს ერთ მთლიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმს, იგი სამთავროებადაა დაყოფილი. მაგრამ ერთობის შეგნება, რომელიც უმთავრესად დამკარებელი იყო ეროვნულ და საეკლესიო-კულტურულ კავშირებზე, აპირობებდა, რომ ქართლში, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში ქართული ენა ყოფილიყო „მწერლობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და ეკლესიის ერთადერთი ენა“ (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია“). ერთობის შეგნების გამომხატველია X საუკუნის შესანიშნავი მწერლის გიორგი მერსულის დებულება: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.

ლექსიკა ამ ერთიანი ენისა მრავალფეროვანია და ძირითადად საერთო. ნასესხები სიტყვები იხმარება წარმოთქმის შესაბამისად და არა მათი გრაფიკის, დაწერილობის მიხედვით. ამიტომ რაც ნასესხებია და ენაში შემორჩენილი, გაქართულებულია.

მიუხედავად იმისა, რომ სპარსელები, არაბები, რომაელები, მონგოლები ხანგრძლივად ბატონობდნენ საქართველოში, მათი ენის გავლენა გრამატიკასა და ფონეტიკას სრულებით არ დასტყობია, ლექსიკაში საკმაოდაა შემოსული სიტყვები ზეპირი ან წიგნის გზით, მაგრამ ენამ შემოინახა მხოლოდ ის, რასაც გამართლება ჰქონდა, სახელდობრ, ეკვივალენტი ქართული სიტყვა არ მოიპოვებოდა. აღსანიშნავია, რომ ბევრი აღმოსავლური სიტყვა,

ნახმარი მხოლოდ თხზულებაში და თვით ისეთ ავტორიტეტულსა და პოპულარულ ნაწარმოებშიც კი, როგორიცაა „ეფეხისტყაოსანი“, საერთო სახალხო ენის კუთვნილება არ გამხდარა. ასევე შეიძლება ითქვას ზოგ კალკუე.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა საუკუნისა და საქართველოს ყველა ლიტერატურულ-კულტურულ ცენტრში შემნილი ნაწარმოების ენის გრაფიკული მოვლენები და სიტყვობრივი შემადგენლობა საესებით ერთნაირია. ქართული ენის დიდი ღირსება ის არის, რომ ყოველთვის ხ ა ლ ხ უ რ ი , დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ი ყ ო . საეკლესიო რელიგიური წიგნები (საღვთო წერილი, წმინდანთა ცხოვრება, ქადაგება და სხვ.) ხალხისათვის იყო დანიშნული, მრევლს უნდა მოესმინა და გაეგო ის და ამიტომ ცოცხალ მეტყველებას თვისი ასახვა უნდა ეპოვა მეტ-ნაკლებად. ეს ჩანს იქიდან, რომ ძველ, გაუგებარ სიტყვას ხსნიდნენ ახალი, გასაგები სიტყვით (მაგ., X საუკ. მქადაგებელი იოანე ბოლნელი თავის მრევლს უხსნიდა მ ე ზ ე ე რ ე და ს ა ზ ე ე რ ე სიტყვებს მ ე ბ ა ჟ ე დ და ს ა ბ ა ჟ ო დ), ან პარალელურად ხმარობდნენ სინონიმებს, რომელთაგან ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო ძველი, ან დიალექტური, ან უცხოური, ხოლო მეორე – ახალი, გასაგები, ქართული, ან კიდევ ორივე ქართული (მაგ.: სახე და ხატი, რიცხვი და ჰამარი...). უთუოდ ამ გარემოებით აიხსნება ერთისა და იმავე ტექსტის სხვადასხვა რედაქციაში ერთი ცნების გადმოსაცემად სხვადასხვა სიტყვის ხმარება; მაგ.:

ოპიზურ ოთხთავშია

ადიშის ოთხთავშია

(ორივე გადაწერილია ტაო-კლარჯეთში, მაგრამ წარმოშობით სხვადასხვა ადგილისაა)

განსიქეტაკება განთეთრება

განასხამს განჰკდის

‘სრახვიდეს იტყოდეს

კარაული ვირი და სხვა მრავალი.

ასევე ხშირია ცალკეულ სიტყვათა სხვა და სხვა ფორმით ან ფუძით გადმოცემა: ჩ ა ს და ჩ ა ნ ს, ი ც ა ვ და ი ც ე ვ, დ ა უ წ ე რ ი ე ს და დ ა უ წ ე რ ი ა და სხვა.

სხვადასხვაობა ჩანს ფუძის რედუქციაში (შეკუმშვაში: მყინვართა ან მყინვრითა, მამალად ან მამლად...). არის ტენდენცია ადამიანის საკუთარი სახელის ბრუნების გათანაბრებისა ზოგად სახელთან, მაგალითად, მოთხრობითში: ისაკ და ისაკმან, სოლომონ და სოლომონმან და ა. შ.

ეს თავისებურებები დიალექტიზმია. დიალექტიზმები შემოქმონდათ ავტორებსა და გადამწერლებს და ამით უახლოებდნენ წიგნის ენას ცოცხალ მეტყველებას. ეს შეცვლა ეხებოდა არსებითად ცალკეულ სიტყვათა წარმოთქმას, ლექსიკურ მხარეს, მაგრამ გრამატიკული აღნაგობა და ძირითადი ლექსიკური ერთეულები, როგორც საერთო-სახალხო ენის სპეციალური კუთვნილება, უმთავრესად მანამ რჩებოდა უცვლელად, სანამ ცოცხალ მეტყველებაში ფეხს არ მოიკიდებდა ახალი მოვლენა.

ამ მხრივ აღსანიშნავია XI საუკუნეში დაწერილი გიორგი მთაწმიდლის თხზულების „იოანე და ეფთვიმეს ცხოვრების“ ენა. ამ ძეგლის ენის მკვლევარი აკაკი შანიძე ასკვნის, რომ „კლასიკური ქართულის ძეგლებზე აღზრდილი, ის [გიორგი მთაწმინდელი] ცდილობს ძველი სალიტერატურო ქართულის უკანასკნელი პერიოდის (IX–Xს.) ნორმების მიხედვით წეროს, მაგრამ ვერ ახერხებს, თავი დააღწიოს ცოცხალი ენის ძლიერ გავლენას. ეს გავლენა თავს იჩენს ყველგან: ფონეტიკურ საკითხებში, სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღლებაში, სინტაქსურ მოვლენებსა და სიტყვების შერჩევაში... [იგი] უმეტესად საშუალო ქართულის დასაწყისი პერიოდის ნიშნებს ატარებს“. ცოცხალი მეტყველების ასეთივე გავლენა შეიმჩნევა XI საუკუნის სახელმოსხვეჭილი მოღვაწისა და მოაზროვნის იოანე პეტრიწის ენაში.

ახალი ქართული ენა ძველი ქართულის შემდგომი განვი-

თარებაა. ის დასაბამს იღებს საერო მწერლობაში და, უნდა ვიფიქროთ, მდიდარ ხალხურ პოეზიაში. ძველი საეკლესიო მწერლობის გვერდით არსებობდა და ვითარდებოდა ზეპირი ხალხური სიტყვიერება, რომელიც გავლენას ახდენდა საეკლესიო მწერლობაზედაც. X საუკუნის მოღვაწეები იოანე-ზოსიმე და ფილიპე იყენებდნენ საერო პოეზიის საზომს – შაირს. ხალხურმა ეპიკურმა თქმულებებმა პოვეს ადგილი ლეონტი მროველის, ჯუნანშერისა და სხვათა ისტორიულ თხზულებებში.

XI–XII სს. ქართული კულტურის აყვავების ხანაა. ამ დროს შეიქმნა საერო მწერლობის საუკეთესო ძეგლები: შავეთელისა და ჩასრუხაძის ოდები, „ამირანდარეჯანიანი“, სპარსულიდან ითარგმნა „ვისრამიანი“, დაიწერა შესანიშნავი საისტორიო თხზულებები, უკედავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ენა ამ ძეგლებისა უპირატესად ახალი, ხალხურია, უადრესად მხატვრული, მარტივი და ადვილ-გასაგები. მართალია, ზოგი ძეგლის (მაგ.: შავეთელის ოდის) ენა წიგნურ-არქაულია, მძიმე და ხელოვნური, მაგრამ „ვისრამიანის“, „ვეფხისტყაოსნის“ ენა თავისი ბუნებრიობით, სიმარტივეთა და ხალხური ენობრივი თავისებურებებით საერო მწერლობის ენაში გარდატეხას გვიჩვენებს.

„ვეფხისტყაოსნის“ ენისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში არნოლდ ჩიქობავას ასეთი დასკვნა აქვს მოცემული: „ვეფხისტყაოსნის“ ენა აღარაა ძველი ქართული, სალიტერატურო სარბიელზე გამოსულია ახალი სალიტერატურო ქართულის წინაპარი“.

XI–XII საუკუნეებში დასრულდა X საუკუნეში დაწყებული დაქუცმაცებულ სამთავროთა გაერთიანება. წარმოიშვა მძლავრი ფეოდალური სახელმწიფო. მომრავლდა მოსახლეობა, გაფართოვდა მეურნეობა, განვითარდა ვაჭრობა და ხელოსნობა. გაძლიერდა ქვეყნის ეკონომიკური ბაზა, პოლიტიკურ-კულტურული ცენტრი კვლავ თბილისი გახდა, კვლავ აღზევდა ქართლი, სადაც ძველ

სალიტერატურო ქართულ ენას დასაბამი მიეცა V საუკუნეში. ოთხი საუკუნის შემდეგ ლიტერატურული ენა კვლავ უბრუნდება თავის დედადიალექტს, ქართლურს, მაგრამ ძველისაგან უთუოდ დაშორებულს. სალიტერატურო ენამ, თავის მხრით ახალი მოვლენებით გამდიდრებულმა, ორიენტაცია აიღო ქართლურ და კახურ დიალექტებზე.

როგორც ითქვა, საერო ლიტერატურის განვითარებამ ხელი შეუწყო ახალი ქართული ლიტერატურული ენის წარმოქმნას. ამ დროიდან (XI ს.) ძველი ქართული ენა ემსახურებოდა მხოლოდ სასულიერო მწერლობას და დიდხანს გამოიყენებოდა როგორც საეკლესიო ენა.

ამგვარად, ახალი ქართული ლიტერატურული ენა წარმოადგენს ძველი ქართულის შემდგომს განვითარებას აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტების საფუძველზე. ლიტერატურული ენა თანდათან უახლოვდება ცოცხალ სასაუბრო ენას, თავიდან იცილებს მკედარ ფორმებს. ამით აიხსნება, რომ უკვდავ პოემა „ვეფხისტყაოსანში“ ერთბაშად თვალში გვეცემა ძველი ქართულისათვის სრულიად უჩვეულო ფორმები. ეს ფორმები არსებობდა ცოცხალ მეტყველებაში, მაგრამ მათთვის კარი დახშული იყო ლიტერატურულ ენაში.

ახალი ქართული ენა ერთბაშად არ დამკვიდრებულა. მისი ჩამოყალიბება და დანერგვა ხდებოდა თანდათანობით, ახალი ელემენტების ნელი შემოსვლისა და ძველი სტრუქტურის ელემენტთა თანდათანობით შეცვლით ან გაქრობით.

XIII–XIV საუკუნეების ქართული მწერლობა საკმაოდ ღარიბია ძეგლებით. საქართველოს ისტორიის ავტორებმა მდგომარეობამ აქაც დაანჩია თავისი კვალი. ამის გამო შეუძლებელია სრული წარმოდგენა შევიმუშაოთ ამ ხანის ლიტერატურულ ქართულზე.

XVI–XVIII სს. ძეგლთა ენის შესწავლა გვიხვენებს, რომ

არსებითად იგი წინა ხანის, XII-XIV სს. მწერლობის ენის თვისებათა შემცველია. მის საფუძველს წარმოადგენს ძველი ქართული და აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მეტყველების დამახასიათებელი მოვლენები. ლიტერატურული ძეგლები დასავლეთ საქართველოშიც იქმნებოდა (მაგ.: „რუსუდანიანი“)... აქ, როგორც ჩანს, ძველი ქართული ლიტერატურული ენის გადამუშავება ხდებოდა დასავლური კილოების საფუძველზე. ამგვარი ძეგლი დასავლეთ მწერლობის ენის სინკრეტიზმით (შერწყმით) წარმოიქმნა გარდაამატებელი, საშუალო ქართული. ამ საშუალო საუკუნეთა სამწერლობო ენის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას იღებენ დიალექტები და დიდ გავლენასაც ახდენენ მასზე. ამას თავისი მიზეზი აქვს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ხასიათისა. საშუალო ქართული ენა გამოყენებულია XII-დან XVII საუკუნის პირველ ნახევრამდე (ამ მოსაზრებას ადასტურებს ივანე ჭავჭავაძის საყურადღებო გამოკვლევა, რომლის I ტომიც დაიბეჭდა).

საშუალო ქართული ლიტერატურული ენის პოზიციათა გამაგრებისა და მისი დამკვიდრებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქონდა „ვეფხისტყაოსანს“. მის ძლიერ გავლენას განიცდიდა XVI-XVIII საუკუნეთა მთელი ლიტერატურა, განსაკუთრებით კი ამ ხანის ძეგლთა ენა. „ვეფხისტყაოსნის“ ენის მომხიბვლელი, ფორმათა სიუხვე, რითმის მუსიკალობა, მწკობრივ რიტმში ქმნიდნენ პირობას, რომ იგი გამხდარიყო მისაბაძი. ვეფხისტყაოსანი წარმოადგენდა ერთ-ერთ ფაქტორს ერთნაირი ლიტერატურული ენის დაცვისა და გავრცელებისას (ივ. გიგინეიშვილი).

აქ არ ვეხებით, თუ რით განსხვავდება საშუალო ქართული ძველი ქართულისაგან და რა ნიშნებით უახლოვდება ახალს.

ცხადია, რომ საშუალო ქართულის შემდგომი განვითარებაა ახალი ქართული, რომელსაც იმდენი მსგავსება აქვს საშუალო ქართულთან, რომ ზოგი მკვლევარი სრულებით გამორიცხავს საშუალო ქართულს, როგორც ლიტერატურული ენის განვითარების ერთ-ერთ საფეხურს, და ახალ ქართულს თვლის ძველის უშუალო გაგრძელებად.

ამგვარად, თანამედროვე ქართული ლიტერატურული ენა მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი მემკვიდრეობის მქონე ენაა, ჩვენდა საბედნიეროდ, ასეთი ენის მფლობელი და პატრონი ჩვენა ვართ.

ქართული ენა ჩვენი დედაენაა

ამ ენაზე ჩვენ, ქართველები, ერთმანეთს აზრებს ვუზიარებთ, გულისნაღებს ვუმღაღვენებთ მაშინაც, როცა ერთმანეთს ვესაუბრებით, და მაშინაც, როცა ვწერთ ან ვკითხულობთ. ამ ენაზედვე მოგვეპოვება დაუფასებელი საუნჯე – მრავალჟანრობრივი ლიტერატურა.

ეს ენა ჩვენი ბრძოლისა და განვითარების შეუცვლელი იარაღია.

კარგად თქვა ილია ჭავჭავაძემ: ქართული ენა არის „ჩვენი საყვარელი ენა, ის ენა, რომელზედაც დაიღიღინა ჩვენმა უკვდავმა რუსთაველმა თავისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“... რომელზედაც დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ... რომელზედაც ნიკოლოზ ბარათაშვილმა, მაგ უდროოდ დამარხულმა ჩვენმა იმედმა, ჰარმონიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბედი“ და თავისი მართლადა ზეგარდმო შთაგონებული წვრილი ლექსები“.

დღეს მეტიც შეიძლება ითქვას. იგი არის არა მარტო საოჯახო-

სახაუბრო და სამწერლობო ენა, როგორც იყო (კარიზმის დროს, არამედ, როგორც ძველად, სახელმწიფო ენაც. ამ ენაზე მოქმედებენ ჩვენი სკოლა, სასამართლო, კულტურული და სხვა დაწესებულებანი, ვითარდება მწერლობასთან ერთად ქართული მეცნიერება და ტექნიკა, იგი საერთოდ ქართული კულტურის შემდგომი განვითარებისა და გაფურჩქნის საფუძველია.

ქართული ენა ქართველი ერის დიდი და ხანგრძლივი შემოქმედების პროდუქტია. იგი ისევე ძველია, როგორც თვით ქართველი ხალხი და მისი სახელოვანი ისტორია. ამ ენაში ასახულია, როგორც ეს ყველა ენაში ხდება ხოლმე, მისი შემოქმედი და მატარებელი ხალხის, ამ შემთხვევაში ქართველი ერის წარსული, აწმყო და მომავალი, მისი ზნეობრივი და გონებრივი ცხოვრება. ენის ეს მნიშვნელოვანი მხარე დიდი ხანია შენიშნული ჰქონდათ მეცნიერებს, პედაგოგებს. სახელგანთქმული რუსი პედაგოგი კონსტანტინე უშინსკი ჯერ კიდევ ადრე წერდა: „ენაში იხატება მთელი ერი და მისი სამშობლო... დედაენა არის უცხოველესი და უმტკიცესი კავშირი, რომელიც აერთებს წარსულთა, ცოცხალთა და მომავალთაობათა და ხდის მათ ერთ დიდ ისტორიულ ორგანიზმად. იგი არამცთუ გამომხატველია ხალხის სიცოცხლისა, იგი არის თვითონ ეს სიცოცხლე. როდესაც ქრება ერის ენა, ერი აღარ არსებობს“.

ამასვე დადასტოვებდა ჩვენი დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი ქართული ენის შესახებ: „ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სახე მრავალგვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა“... (ტ.2, გვ. 205).

მშვენიერად აღნიშნა ქართული ენის გამძლეობა, მისი სიტყვის ძალა და ხატოვანება სახელოვანმა მოაზროვნემ, მწერალმა და მთარგმნელმა გერონტი ქიქოძემ თავის ერთ-ერთ წერილში: ქართულმა ენამ „წარსულში სტიქიონური ძალების შემოტყუვას და ქარტეხილებს გაუძლო. მას ძალიან მაგარი წონხი აქვს. მისი

შემწეობით ენერგიულად შეიძლება აზრის გადმოცემა. ამ ენის სახით ჩვენმა წინაპრებმა ეროვნული ენაობის თავდაცვის იარაღი გვიანდერძეს, შეუღარებელი თავისი გამძლეობის თვალსაზრისით“... (ტ. II, გვ. 207).

ქართული ენის გავრცელებულობა

ქართული ენა გავრცელებულია საქართველოში კავკასიის მთაგრებიდან მოყოლებული შავ ზღვამდე. იგი ქართველი ერის სახელმწიფო ენაა, ქართველ ტომთა გამაერთიანებელი და ერთიანი საერთო-სახალხო ენა. ამ ენაზე მეტყველებენ ქართველთა გარდა სხვა ერის წარმომადგენლებიც, საქართველოშივე დაბადებული და აღზრდილი: სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, ქურთები, თათრები, ოსები, ბერძნები და სხვები. ქართველები საქართველოს საზღვრებს გარეთაც სახლობენ. ბევრი მათგანი დაუნდობელმა მტერმა მოსწყვიტა დედასამშობლოს და მისთვის უცხო მხარეში დაამკვიდრა.

საქართველოს ბედუკუღმართი ისტორიით ცნობილია, რომ შაჰ-აბას პირველმა XVII საუკუნის დასაწყისში ააოხრა და გაანანაგა კახეთი და საინგილო, ამოელიტა მოსახლეობა და ასი ათას სულზე მეტი სპარსეთში გადაასახლა, ნაწილი მიეარდნილ პროვინციაში, ფერეიდანში, მომთაბარე უკულტურო ტომების – ბახტიარების, ლურების – მესობლად დაამკვიდრა, რჯული შეუცვალა, ადათ-წესები დაავიწყა, მაგრამ შეგნება იმისა, რომ ქართველია, ვერ აღმოუფხვრა. ამ ასი ათასი სულის ნაშთია, რომ დღეს ფერეიდანის 14 სოფელში თორმეტი ათასი ქართველი ქართულად მეტყველებს და თავისი 14 სოფლის მთა-ბარს „პატარა საქართველოს“ უწოდებს.

იგივე ბედი ეწია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილსაც.

ორას წელზე მეტ ხანს ებრძოდა ოსმალეთი საქართველოს, რომ მისთვის სამცხე-საათაბაგო ჩამოეგლიჯა. და ოსმალეთის მიერ მიტაცებულ მიწა-წყალზე (ტაო-კლარჯეთში), სადაც ერთ დროს ქართული სამეფო იყო, ქართული კულტურა ყვაოდა, იქმნებოდა ცოდნის წყარო – აუარებელი წიგნი, შენდებოდა ხელთუქმნელი ეკლესია-მონასტრები, დღეს ცხოვრობს რამდენიმე ათეული ათასი ქართველი, რომელთაც ქართულად მეტყველებენ და ქართველობას გულში წმინდად ინახავენ.

ინგილო ქართველებმა, მიუხედავად თავის დროზე მაჰმადიანთა დიდი შემოტყვისა, დაიცვეს ქართული ენა საინგილოში. საინგილო ამჟამად შედის აზერბაიჯანის კახისა და საქათალის რაიონებში, სადაც ორ ათეულამდე ქართული სოფელია, რამდენიმე ათასი კომლი მცხოვრებია და მათი შვილები ქართულ სკოლაში სწავლობენ.

გარდა ამისა, ძველ დროში მიწის უქონლობა და სიღარიბე ქართველ მთიელებს ატოვებინებდა მამა-პაპათა სახლ-კარს, ერეკებოდა რუსეთის სხვადასხვა კუთხეში და იქ აძებნინებდა საცხოვრისს. ამის შედეგია, რომ დღეს ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ ვლადიკავკასში მკვიდრობენ ქართველები, აქეთ ქართული სკოლა და მტკიცედ იცავენ მშობლიურ ენას.

ქალაქ სოჭში, რამდენიმე ას კომლამდე ქართველი ცხოვრობს და ქართულ ენას არ ივიწყებს. ასევე სოჭის ახლოს მდებარე სოფელ პლასტუნკაში ქართველი მოსახლეობაა და აქეთ ქართული რვაწლიანი სკოლა, ბავშვები მშობლიურ ენაზე სწავლობენ.

ყაბარდოს ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქალაქ ნალჩიკში 300 კომლამდე ქართველი მკვიდრობს.

1724 წელს ქალაქ ყიზლარში დაარსდა ქართველთა ახალშენი. მოსახლეობა თავის დროზე მატულობდა, მაგრამ შემდეგ თანდათანობით შემცირდა: ზოგს ქართული დაავიწყდა, ზოგიც სხვაგან

გადასახლდა. დარჩენილთა რაოდენობა, აღრიცხვის თანახმად, 1929 წელს ყიზლარის ყოფილი ოლქის ორ სოფელში – სარაფანსა და სასოფლოში – ასზე მეტი კომლი იყო. გარდა ამისა, ქალაქ მოზდოკსა და ყიზლარში არის ქართული მოსახლეობა. ესაა, მოსახლეობა რუსულ გარემოცვაშია და ბუნებრივია, რომ ბევრს დაეიწყებულნი აქვს დედაენა. ზოგი მათგანი დანანებით აღნიშნაეს, რომ „ვინც იცის ცოტა ქართული ლაპარაკი, იმასაც სცხვენიან ლაპარაკი, რომ არ დასძრახონ“.

ამგვარად, ქართული და ქართულად მოლაპარაკე პირი, საფიქრებელია, გაცილებით მეტია, ვიდრე ეს აღრიცხულია.

ქართული კულტურული ენაა

მსოფლიოში ორი ათას ორასზე მეტი ენა ითვლება. ზოგი მათგანი მკვდარია, სალაპარაკო ენას აღარ წარმოადგენს, დიდი წილი კი ცოცხალია და ადამიანთა ურთიერთგაგებინების საშუალებაა. ბევრ მათგანს აქვს ძველი მწერლობა, ზოგმაც დიდი ხანი არ არის, რაც გაიჩინა. ძველი მწერლობის მქონე ენას კულტურულ ენას უწოდებენ.

ქართული ენა კულტურულ ენათა შორის ითვლება და სამართლიანადაც.

დედაენის სწავლება აუცილებელია

დედაენის, კერძოდ მისი ლიტერატურული ენის შესწავლა-შეთვისება შეიძლება სკოლის, უმაღლესი სასწავლებლის მეშვეობით. ამიტომ იყო, რომ მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობას დაბეჭდითებით ასაბუთებდნენ და მის განხორციელებას მოითხოვდნენ ჩვენი დიდი წინაპრები.

იაკობ გოგებაშვილი წერდა: „დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ სკოლაში შესყლის დროს ბავშვმა სრულად იცოდეს დედაენა, ეს უმდიდრესი საუნჯე. ბავშვს გაცნობილი აქვს მხოლოდ მცირედი ნაწილი დედაენისა, ის კუნტული, რომელიც საჭიროა მისთვის სხვადასხვა პირებთან და საგნებთან ყოველდღიური დამოკიდებულებისათვის. ის ნაწილი კი დედაენისა, რომელშიაც გამოიხატება ნაყოფი მთელი ხალხის სულიერი ცხოვრებისა, სრულიად უცნობია მისთვის.“ (თხზ. I, გვ. 109).

და ჩვენი სამშობლოს ისტორია, ჩვენი ერის წარსული შემოქმედება, თვითყოფობისათვის ბრძოლა და სულიერი ცხოვრება რომ გავიცნოთ, ამისთვის საჭიროა ჩვენმა ახალგაზრდობამ შეისწავლოს თავისი ხალხის ენა, ლიტერატურა, ისტორია. ეს შეიძლება მხოლოდ მშობლიურ ენაზე მოქმედ სკოლაში, ჩვენი შეილები ასეთ სკოლაში აღზრდით.

იაკობ გოგებაშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა: „როდესაც რომელიმე მშობელი თავის შვილს დედაენას აშორებს... იგი ხელიდან ართმევს თავის შვილს ერთადერთ ძლიერ ღონისძიებას გონების სწორე გახსნისთვის... მის შესაბამის იარაღს, რომლის ხმარება და გამოყენება ბავშვს ძლიერ ეადვილება“ (ი. გოგებაშვილი).

ეს უმჭრელესი იარაღი ხელთ რომ გვექონდეს, ამისთვისაა გახსნილი მშობლიურ ენაზე სკოლები. ჩვენი მშობლების ვალია ეს უდიდესი მონაპოვარი (დედაენაზე სწავლება) დავიცვათ, გამოვიყენოთ და ჩვენი ახალი თაობა ვაზიაროთ ქართველი ერის შემოქმედებითს მიღწევებს, რომ მათი შესწავლითა და გამოყენებით განვაავითაროთ და შევქმნათ ახალი, კიდევ უფრო მაღალი კულტურა.

ქართული ენის შესწავლა უცხოეთში

(მეოცე საუკუნის სამოციანი წლების მონაცემებით)

ქართული ენა და მწერლობა დიდი ხანია განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა და იქცევს, ქართველ მწერალთა და მეცნიერთა გარდა, უცხოელი სწავლულებისა და მკვლევარებისა. თავი რომ დავანებოთ სხვა ენებთან ქართული ენის ნათესაობის მრავალ თეორიას და მათ წამომყენებელ მეცნიერთა ვინაობის რკვევას, რაც თავისთავად საინტერესო საკითხს წარმოადგენს, ქართულს მეცნიერული, ლიტერატურული თუ პრაქტიკული მიზნით სწავლობდნენ და სწავლობენ ცნობილი უცხოელი მკვლევრები და ლიტერატორები. მარტო ის რად ღირს, რომ მოვიგონოთ გერმანელი ართურ ლაისტი, ინგლისელი და-ძმა უორდროპები და სხვები, რომლებიც საფუძვლიანად დაეუფლნენ ქართულ ენას და ევროპას გააცნეს ჩვენი მდიდარი მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. ამით მათ დიდი ამაგი დასდევს ქართულ ენას.

უცხოელთაგან პირველნი იყვნენ მაჯო, პაოლინი და სხვა რომაელი მისიონერები, რომლებმაც პრაქტიკული საჭიროებისათვის შეადგინეს ქართული ენის გრამატიკა, მაჯომ ლათინურ და სხვებმა იტალიურ ენაზე. მაჯოს გრამატიკა გამოქვეყნდა რომში 1643 და მეორედ 1670 წელს; სტეფანე პაოლინიმ და ნიკიფორე ირბახმა შეადგინეს ქართულ-იტალიური ლექსიკონი (გამოვიდა რომში 1626 წ.). ეს სახელმძღვანელოები თავიანთი შეცდომებით დაედო საფუძვლად უცხოელთა მრავალ შრომას და დიდი ხანი მოუწია ამ შეცდომების გამოსწორებას.

აქ არ ვეხებით ი. გიულდენშტედტისა და ი. კლაპროთის ლექსიკურ მასალებსა და უკანასკნელის ფრაზა-წინადადებებს. ეს გიულდენშტედტის მიერ მოგზაურობის დროს შეკრებილი სიტყვებია.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფრანგმა მარი ბროსემ, ვიდრე ის რუსეთის აკადემიის წევრი გახდებოდა და საქართველოში იმოგზაურებდა, გამოაქვეყნა ქართული ენის ორი გრამატიკა ფრანგულ ენაზე, ერთი საკუთარი, ორიგინალური და მეორე ი.კლაპროთის დაწყებული, მაგრამ საკუთრივ (მ. ბროსეს მიერ) შევსებულ-შესწორებული, მანვე მონაწილეობა მიიღო დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონის გამოქვეყნებასა და შეფასებაში, გამოსცა ეპიგრაფიკული მასალები, სხვებთან ერთად „ვეფხისტყაოსანი“ და თარგმნა ფრანგულ ენაზე ისტორიული ძეგლები („ქართლის ცხოვრება“). მარი ბროსეს შრომებმა ეპოქა შექმნეს. მათ დიდი სამსახური გაუწიეს ქართულ ენასა და ისტორიოგრაფიას ევროპელთა გასაცნობად.

ავსტრიელი სახელგანთქმული ენათმეცნიერი ჰუგო შუხარტი, ჩვენი ცნობილი მეცნიერის პეტრე მელიქიშვილის მეგობარი, საქართველოში არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ შესანიშნავი გამოკვლევები მიუძღვნა ქართულ ენას. მანვე გადმოუგზავნა აკაკი შანიძეს თავისი შენიშვნები ქართულ ხელნაწერთა და ხელნაწერი ხანმეტი ლექციონარის (VII საუკ.) შესახებ. ლექციონარი სანიშნოდ გამოსცა აკაკი შანიძემ. კ. შუხარტსავე უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ქ. გრაცში (ავსტრიაში) დაცულია რამდენიმე ქართული ხელნაწერი.

ავსტრიელივე იყო ფრიდრიხ მიულერი, რომელმაც ქართული ენის გრამატიკულ მიმოხილვასთან ერთად წამოაყენა თეორია ქართველურ ენათა შესახებ, რომლის თანახმადაც ეს ენები არ განეკუთვნება არც ინდოევროპულ, არც სემიტურ და არც ალათაურ ენათა ოჯახს, იგი გადმონაშთია დიდი ოჯახისა და იზოლირებულ წრეს ქმნის. ეს თეორია გაიზიარა ალ. ცაგარელმა.¹

1 ალექსანდრე ცაგარელის ცნობილ გამოკვლევაში, „О грамматической литературе грузинского языка“, პეტერბურგი, 1873 წ., მიმოხილულია, თუმცა

ვენაშივე გამოვიდა რ. ფონ ერკერტის წიგნი კავკასიური ძირის ენათა შესახებ, სადაც შეტანილია ქართველურ ენათა და მათ დიალექტთა მიმოხილვა.

ავსტრიელი რ. ბლაიხშტაინერი სწავლობდა ქართულ ენასთან ერთად ლიტერატურასაც. გამოაქვეყნა გამოკვლევები გურული დიალექტისა და ქართულ და მასთან დაკავშირებულ ძველ ენათა შესახებ და თარგმნა ქართული პოეზიის ნიმუშები. მცირე ხნით იყო თბილისში.

გერმანელმა ად. დირმა გამოსცა ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა და მოგვცა ქართველურ ენათა მიმოხილვა თავის კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალში. მოღვაწეობდა კავკასიაში.

ნ. მარმა და მ. ბრიერმა ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნეს დიდტანიანი ქართული ენის გრამატიკა. მ. ბრიერმა მონაწილეობა მიიღო ქართული ტექსტების გამოცემაშიც.

გერმანელმა რიხ. შეკელაინმა, ქართული ენის სასწავლო წიგნის გარდა, გამოსცა ორორტომიანი ქართულ-გერმანული და გერმანულ-ქართული ლექსიკონები.

ბელგიელმა პ. პეეტერსმა თვითონაც გამოსცა, ლათინურად თარგმნა სხვათა გამოცემული ფასდაუდებელი ქართული ძეგლები და მსოფლიოს გააცნო ქართული მწერლობის სიმდიდრე და მისი უაღრესი მნიშვნელობა.

ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა გერმანელმა ა.

არასრულად, ქართველ და უცხოელ გრამატიკოსთა და ენათმეცნიერთა შრომები, კრიტიკულად განიორიეულია მათი შეხედულებანი ქართული ენის აგებულებისა და მისი სხვა ენებთან ნათესაობის თეორიათა შესახებ. უცხოელთაგან დასახელებულია: მ. მაჯო, ფ. ადელუნგი, ს. ფატერი, ჯ. დან-ორსია, მ. ბროსე, ი. კლაპროთი, გ. ლაიბნიცი, ე. ბიურნუფი, ფრ. და მ. მიულერები, ფრ. ბოპი, შიიგელი, გ. როზენი და სხვები.

ჰარნაკმა და ივ. ჯავახიშვილმა გერმანულად გამოაქვეყნეს „ევსტათე მცხეთელის წამების“ თარგმანი. ეს ა. ჰარნაკი იყო, რომ 1902 წელს წერდა „...გამოინდებიან განა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომელნიც შეძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია იმ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და გაგვაცნონ ახლოს მისი საუნჯე?“ და კორნელი კეკელიძე დასძინა: „... დღეს არ შეიძლება ძველი ლიტერატურის ისტორიიდან დამუშავება არც ერთი საკითხისა, თუ სათანადო ანგარიში არ გაეწია ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს“.

ამერიკელი ფილოლოგი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ ბლეიკი თბილისში ყოფნისას დაეწაფა ქართულ ენას და იმდენად დაეუფლა მას, რომ დაბეჭდა რამდენიმე საყურადღებო ძეგლი ლათინური თარგმანითურთ და აღწერა ათონის მთაზე და იერუსალიმში დაცული ქართული ხელნაწერები, 1927 წელს გაეცნო სინას მთაზე დღემდე დაცულ ძეგლებს.

გერმანელმა გ. დეეტერსმა სხვა გამოკვლევებთან ერთად გამოაქვეყნა ქართველურ ენათა ზმნის შესახებ ფასეული მონოგრაფია, აგრეთვე თავისი შენიშვნებით უდროოდ გარდაცვლილი ფ. ნაისერის საყურადღებო შრომა ქართული ენის სიტყვაწარმოების შესახებ.

ნაყოფიერი შრომა გასწიეს ქართული ენისა და ლიტერატურის პრობლემებზე ქართული ენის საფუძვლიანად მცოდნე პირებმა. დავასახელებთ ზოგ მათგანს: ი. ასფალგმა და მ. თარხნიშვილმა თარგმნეს გერმანულ ენაზე კ. კეკელიძის კაპიტალური შრომა „ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I“ და დაურთეს მას ზოგი მასალა. ი. ასფალგმა აღწერა გერმანიაში სხვადასხვა ადგილას დაცული ქართული ხელნაწერები.

ინგლისელი დევიდ ლენგი ფართოდ იკვლევს ქართული

ლიტერატურის ისტორიის პრობლემებს. მანვე გამოაქვეყნა ინგლისურ ენაზე დიდი მონოგრაფია ქართული ნუმიზმატიკის შესახებ, პირველხარისხოვანი ქართული ძეგლის „ბალავარიანის“ თარგმანი, აგრეთვე ნაბეჭდ წიგნთა კატალოგი. რამდენჯერმე ჩამოვიდა და კიდევ იმოგზაურა საქართველოში.

რ. სტივენსონმა ინგლისურად თარგმნა შუა საუკუნეთა ლიტერატურული ძეგლი ამირანდარეჯანიანი და გამოაქვეყნა წერილები.

პ. პეტერსის დაწვებულ სასარგებლო საქმეს განაგრძობენ ბელგიაში ჟ. გარითი და ა. ჟაკობი, რომელთაც გამოსცეს რამდენიმე ქართული ძეგლი და ლათინური თარგმანი დაურთეს. ასევე საფრანგეთში ძველ ტექსტებზე მუშაობდა შ. მერსიე. მასთან თანამშრომლობდნენ მ. ბრიერი და ლ. მარიესი. პროფესორ ჟ. გარითის ხელმძღვანელობით კონგრესის ბიბლიოთეკის (ვაშინგტონში) ექსპედიციამ გადაიღო სინას მთის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები, რომლებიც ამჟამად ჩვენი აკადემიის კუთვნილებას შეადგენს, ხოლო თვითონ გამოსცა ამავე ძეგლთა ვრცელი აღწერილობა. უცხოეთში გამოქვეყნებულ ძეგლთა შესახებ დაწერილებითი ცნობები აქვს ილია აბულაძეს.

ფრ. ცორელმა შეისწავლა ბიბლიის თარგმანის ძველი ქართული ენა და მოგვცა მისი გრამატიკული მიმოხილვა გერმანულ ენაზე.

ო. მოლიტორმა ძველი ტექსტების შედარებითი შესწავლის შედეგებისა და სხვა შრომების გარდა გამოაქვეყნა ძველქართულ-გერმანული ლექსიკონი ახალი აღთქმის წიგნების მიხედვით.

უნგრელი ფოლკლორისტი მარტონ იშტვანოვიჩი, რომელმაც თბილისში გაიარა ასპირანტურა და ქართულ მასალაზე დაწერა დისერტაცია და ქართულადვე დაიცვა თბილისის უნივერსიტეტში, თარგმნის ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს და ქართველ მეც-

ნიერთა გამოკვლევებს უნგრულ ენაზე. რამდენიმე თარგმანი გამოსცა კიდევც.

საფრანგეთში, ქ. ბორდოში, მოღვაწეობდა რ. ლაფონი, რომელიც იკვლევდა ქართველურ ენებს კავკასიურ და ბასკურ ენებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. მისი ბოლო ხანს გამოსული შრომები ვაჟა-ფშაველას ენის შესახებ და ა. შანიძის გამოკვლევის თარგანი ფრანგულ ენაზე ნათლად მეტყველებენ, რომ მან კარგად იცის ქართული ენა. საყურადღებოა მისი შრომა ბასკურ ენასთან ქართულის ურთიერთობის შესახებ. უნდა ითქვას, რომ ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ მიმართულებით გადადგმული. შრომა ითარგმნა ქართულად.

მნიშვნელოვანია ფრანგი პროფესორის ჟორჟ დიუმეზილის გამოკვლევები, რომლებიც მან მიუძღვნა იბერიულ-კავკასიურ ენებს, და მის მიერ შეკრებილი და გამოქვეყნებული უბიხური ენისა (ორ ტომად) და ზანური ენის ჭანური კილოს ტექსტები. ეს ტექსტები გამოყენებულია და შეფასებულია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. პროფ. ჟორჟ დიუმეზილი მცირე ხნით იყო თბილისში ოცდაათიან წლებში.

გ. დეეტერსის მოწაფე კარლ ჰორსტ შმიდტი ფართო კვლევა-ძიებას ეწევა ქართველურ ენათა ნათესაობის პრობლემის გადასაწყვეტად. მან გაარკვია ქართული ენის რამდენიმე თავისებური მოვლენა, დაბეჭდა საფუძვლიანი გამოკვლევა. ეს შრომა ქართულად ითარგმნა და გამოიცა.

იენის უნივერსიტეტის პროფესორი, ფერდინანდ-ჰესტერმანის ინსტიტუტის დირექტორი გერტრუდ პენი მოწადინებით სწავლობს ქართულ ენას, რომელსაც მიუძღვნა თავისი დისერტაცია, მოხსენებით გამოვიდა ლექსიკის შესახებ ორიენტალისტთა XXV კონგრესსზე და შრომაც გამოაქვეყნა ინტერნაციონალურ სიტყვათა თაობაზე ქართულში. ერთ თვეს იმყოფებოდა თბილისში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის თვალსაჩინო დამსახურება, რომელიც მიუძღვის ნორვეგიელ ჰანს ფოგტს ქართული ენის სტრუქტურის შესწავლაში. ის ღრმად დაეუფლა ქართულ ენას თბილისში ყოფნის დროს. სამი ათეული წლის განმავლობაში გამოაქვეყნა მეტად საყურადღებო გამოკვლევები ქართული ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის შესახებ, აგრეთვე ქართული გრამატიკა ფრანგულ ენაზე, რამდენიმე მისი შრომა ქართულად ითარგმნა.

ჩეხეთში ფართო თარგმნითს მოღვაწეობას ეწევა იარომირ იედლიჩკა. მან ქართველ მწერალთა (დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის და დანიელ ჭონქაძის) თხზულებების გარდა ჩეხურ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ორჯერ გამოიცა. მისი ხელმძღვანელობით ქართულ ენას დაეწაფნენ ახალგაზრდა მწერალ-მთარგმნელები და ქართველ მწერალთა შემოქმედებას აცნობენ ჩეხ მკითხველებს. აღსანიშნავია, რომ იარომირ იედლიჩკა განიხილავდა ქართული ენის სტრუქტურის საკითხებსაც და აქვეყნებდა სხვადასხვა ენაზე. მანვე გამოსცა ძველი ტექსტიც და აღწერილობაც. ელენე ერისთავთან ერთად შეადგინა ჩეხური ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის. ეს მისასაღმებელი საქმეა.

ვაცლავ პოლაკმა ჟურნალ „Archiv Orientální“-ში წამოაყენა თეორია ქართველური ენების წინაენისმიერ სპირანტთა და აფრიკატთა შესატყვისობის ოთხი რიგის სისტემისა. ეს თეორია გაიზიარა ზოგმა მკვლევარმა მთლიანად ან მცირე შესწორებით.

პოლანდიელი ენათმეცნიერები კ. ებელინგი, ა. კვიპერსი მონდომებით იკვლევენ კავკასიის ენებს და მათთან ურთიერთობაში ქართულსაც. იყვნენ თბილისში.

პოლონელმა იან ბრაუნმა თბილისში შეისწავლა ქართული ენა და მან ქართული პოეზიის ნიმუშები თარგმნა პოლონურ

ენაზე, გამოაქვეყნა კრაკოვში დაცულ ხელნაწერთა აღწერილობა.

ცნობილი რუმინელი ენათმეცნიერი ელად ბენეცციანუ სომხურ და ურარტულ ენებს რომ იკვლევდა, საერთო მოვლენათა ახსნისას ყურადღებას აქცევდა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემებს. იგი შეუდგა ქართულის შესწავლას და მის ლექსიკურ და გრამატიკულ მოვლენათა გამოყენებას ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა.

არ ვასახელებთ იმ მკვლევრებს, რომელნიც იყენებდნენ ან იყენებენ ქართულ მასალებს, მაგრამ უშუალოდ არ სწავლობდნენ ამ ენას (მეგრულ-ჭანური და სვანური აქ განხილული არაა).

სომხეთში ქართული ენის მცოდნე მეცნიერები იკვლევენ საკითხებს ენისას ა. მურვალისანი, ლიტერატურის ისტორიისას პ. მურადისანი და სხვ.

რუსეთში, პეტერბურგში, ბ. რუდენკომ, რომელმაც კარგად იცოდა ქართული ენა, თარგმნა რუსულ ენაზე „ვისრამიანი“ და სხვა ძველიც, გამოსცა ქართული ენის გრამატიკა.

გ. კლიმოვი, რომელმაც თბილისში დაასრულა ასპირანტურა, მოსკოვში ნაყოფიერად მუშაობს ქართველურ ენათა შედარების საკითხებზე. გამოქვეყნდა მისი რამდენიმე შრომა, მათ შორის ეტიმოლოგიური ლექსიკონი.

თვალსაჩინო ირანისტი ვ. აბაევი, რომელმაც იცის ქართული ენა, ფართოდ იყენებს ქართველურ ენათა მონაცემებს თავის ფუძემდებელ „ოსური ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ და სხვა გამოკვლევებში.

როგორც ვხედავთ, ქართული ენა, როგორც ძველი და კულტურული ენა, დიდ ინტერესს იწვევს მრავალ ქვეყანაში. იგი კვლევის ობიექტს წარმოადგენს სომხეთში, რუსეთში, გერმანიაში, ნორვეგიაში, საფრანგეთში, პოლონეთში, უნგრეთში, ბელგიაში, ინგლისში, ჰოლანდიაში და სხვაგან. ეს გარემოება ავალებს

ქართველ მეცნიერებს კიდევ უფრო გააძლიერონ ქართული ძეგლების გამოცემა, კიდევ უფრო გაშალონ და გააათქვინონ ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და სხვა დარგების პრობლემათა კვლევა-ძიება. ეს ბუნებრივიცაა.

ასეთია მოკლედ ქართული ენის განვითარებისა და შესწავლის სოციოეტიკური მხარე.

ლიტერატურული ენის ნორმათა დარღვევის მიზეზები

უნებლიეთ იბადება კითხვა: რატომ უნდა იდგეს მართლწერის საკითხები ხანგრძლივი ისტორიის მქონე ლიტერატურულ ენაში, რომელიც ასე წარმატებით ემსახურებოდა და ემსახურება ქართულ კულტურას, საიდან ჩნდება სადავო საკითხები? უწინარეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი კითხვა დაისმის ყველა ლიტერატურული ენის მიმართ, რარიც განვითარებული და გავრცელებულიც უნდა იყოს იგი (იქნება ეს რუსული, გერმანული, ფრანგული თუ სხვა). არ არის ენა, რომ მართლწერის საკითხები არ ჩნდებოდეს და გადაჭრას არ მოითხოვდეს.

რა არის მიზეზი ქართული ენის წესების, ნორმების დარღვევისა, უმართებულო ფორმების შემოჭრისა და ხმარებისა? მიზეზი ბევრია. ჩვენ აქ დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს.

ა) ზემოთ აღინიშნა, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურული ენა შემდგომი განვითარებაა ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვა მოღვაწეთა მიერ დამკვიდრებული ენისა. მათ დაუახლოვეს წინა ხანის კლასიკოსთა ენა ხალხურს, განავითარეს და განამტკიცეს, მაგრამ შეითვისეს და მიიღეს არქაიზმები, ძველი სიტყვები და ფორმები, რომლებიც ჯერ კიდევ ლიტერატურული ტრადიციით მომდინარეობდა XVII–XVIII სა-

უკუნეებიდან და რომელთაგან ბევრი ანტონის „შემონაქმედები“ იყო. ამ გაეღენის კვალს ვხედავთ რომანტიკოსთა ენაში, ილია ჭავჭავაძის ნაწერებშიც კი. მაგალითად, ნიკოლოზ ბარათაშვილი ხმარობდა ასეთ ფორმებს: „მსცნა, მსდუმდა, მსწრაფლ, დამეცემიან ციურნი ცვარნი“ და სხვა. ასევე გრიგოლ ორბელიანი წერდა: „მსცნობთ, მსჯობს, მჭკნების“, კიდევ მეტი: „მსჯული“ და სხვა. ილიაც ხმარობდა: „მსცა, მსჯობია, მსდუმობ, წამოჰდგა... ჩემის ქვეყნისაკენ, ერთს ქართველს მოღვაწესა“ და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ილია თავგამოდებით იბრძოდა ანტონის გრამატიკის მეშვეობით დანერგილ სქოლასტიკურ ნორმათა აღსაკვეთად და ხალხური ენის დასამკვიდრებლად, იგი ხარკს უხდოდა ადრინდელ ენას და თვითონაც იყენებდა უმართებულო ფორმებს. აი, ამ ადრინდელი ლიტერატურული ენის გადმონაშთია, თანამედროვე ქართულში რომ ორი – უ მ ა რ თ ე ბ უ ლ ო და ს წ ო რ ი – ფორმა ებრძვის ერთმანეთს როგორიცაა: „სწანს და ჩანს, შესდგება და შედგება, ჰყვავის და ყვავის, აღსდგა და აღდგა“, ან, თუმცა სწორი, მაგრამ ძველი და ახალი ფორმები: „აღვიარებ და ვაღვიარებ, ერთის სიტყვით და ერთი სიტყვით“ და სხვა მრავალი.

მაშასადამე, ერთ-ერთი წყარო სადავო საკითხების გაჩენისა არის ადრინდელი ლიტერატურული ენის ფაქტები. ეს ადრინდელი ფორმები, თუ ძველია, სწორია, ხოლო თუ XVIII საუკუნის მოღვაწის ანტონის გაეღენითაა შექმნილი და შემოსული, უმართებულოა და მიუღებელი.

ბ) ცნობილია, რომ კილოები იღებენ ფართო მონაწილეობას ლიტერატურული ენის განვითარებაში. ასე იყო ძველადაც და ასეა ახლაც. ქართული და კახური კილოს ზეგავლენაა, დღეს რომ დაჟინებით წერენ: „შ ე ვ ი ტ ყ ე, დ ა ვ ა წ ყ ე, ბ ა მ ო ვ ა ც ხ ე, მ ო ვ ა წ ყ ე“, ნაცვლად მართებულ ლიტერატურული ფორმებისა: „შ ე ვ ი ტ ყ ე ე, დ ა ვ ა წ ყ ე ე, ბ ა მ ო ვ ა ც-

ბ ვ ე, მ ო ვ ა წ ყ ვ ე“ (რომ უკანასკნელი სწორია, ეს ჩანს შემდეგი ფორმებიდან: „შემიტყვია, დამიწყვია, გამომიცხვია, მომიწყვია“). კუთხური იყო აგრეთვე ზმნაში მრავლობითი რიცხვის დაბოლოება როგორც –დენ, ისე –დნენ: „წერდენ და წერდნენ, აკეთებდენ და აკეთებდნენ“... პირველი იმერულიდან და ფშაურიდან შემოვიდა და მეორე – ქართლურიდან და კახურიდან. XX საუკუნის ოცდაათიან წლებამდე ორივე იხმარებოდა ლიტერატურულ ენაში. ამჟამად –დნენ დაბოლოებაა მიჩნეული ნორმად და ამიტომ იწერება: წერდნენ, აკეთებდნენ, იტყოდნენ..

XIX საუკუნის სამოციან წლებში ხალხურ ენას ფართოდ გაეღო კარი. ამან შესაძლებლობა შექმნა, რომ ქართლურთან და კახურთან ლიტერატურული ენის განვითარებაში მონაწილე ყოფილიყო მოხეური, ფშაური, იმერული და სხვა. განჩნდა ორი მიმდინარეობა ამერ-იმერეთისა და წარმოიშვა პარალელური ფორმები: „გაულეწია, გაულეწნია და გაულეწავს; გაუბეღია, გაუბეღნია და გაუბეღავს; გაელეწა და გაელეწნა, გაეყიდა და გაეყიდნა; წაეინხუბეთ და წაეინხუბენით; გაატეხინა და გაატეხინა; გააკეთებინა და გააკეთებია; ჰქონოდა, ჰქონებოდა და ჰქონიყო; ნდომოდა, ნდომებოდა და ნდომიყო“ და სხვა მრავალი (შდრ. ერთმანეთს ამ მხრივ ილიას, ნიკო ლომოურის, სოფრ. მგალობლიშვილის, აკაკის, გ. წერეთლისა და სხვათა ენა).

ამგვარად, სადავო ფორმების წარმოშობის მეორე წყარო არის კუთხური ენა, დიალექტები.

გ) საქართველოს ყოველთვის ჰქონდა პოლიტიკური თუ კულტურულ-ისტორიული კავშირები საბერძნეთთან, აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებთან, შემდგომ –რუსეთთან. ამ კავშირის შეშვეობით ზეპირი თუ წიგნის (თარგმნის) გზით ქართულში შემოვიდა აუარებელი სიტყვა თუ გამოთქმა. მაგ.: ბერძნულიდან შემოსულია გ-ს შემცველი სიტყვები და გადმოცემულია ხან გ-თი

და ხან ღ-თი: „გიორგი, გრიგოლი“, მაგრამ „აღათი, ლენტორი, ლოდიკა, ტრადედიან“; შეადარე აგრეთვე „გეოგრაფია და ლეოღრაფია, გრამმატიკა და ლრამმატიკა“... შემოვიდა რუსული გზით უცხოური სიტყვები, ერთი მხრივ, ბოლო -ა-ს მოკვეციით: „გაზეთ-ი, ციფრ-ი, პუდრ-ი, ნოტ-ი, ჰილ-ს-ი“ და სხვ. მეორე მხრივ, -ა-ს მოუკვეცივლად: „ლოჟა, აფიშა, ანკეტა“ და სხვ. როგორც ვხედავთ, ერთნაირი მოვლენა სხვადასხვანაირადაა გადმოვლენული.

ასევე: ო-ს შემცველი სიტყვები გადმოვიდა რუსულის გზით ო-თი: „კომისია, კონტროლი, ოფიცერი, ტალსტი“ და სხვ., მაგრამ გვაქვს ო-ს ნაცვლად ა: „კანფეტი, პამიდორი, ვაგზალი, კამოდი“ და სხვა. შემოსული სიტყვების ბოლოკიდური დ ან ტ იქცა თ-დ: ლიმონათი (ფრანგული ლ ი მ ო ნ ა დ შემოვიდა რუსულის გზით); სალდათი (გერმანულად ზოლდატ, რუსული გზით солдат) და სხვ.

გაეღენა სინტაქსსაც დაეცყო. რუსულის გაეღენით არის ტენდენცია შემასმენელი შეუთანხმით უსულო ქვემდებარეს მრავლობით რიცხვში: „მანქანები დგანან“, „ტრაქტორები წერდებიან“, „ხეები ხმებიან“ და სხვა; ცდილობენ მოქმედებითი გვარის ზმნა შეცვალონ ვნებითით: „ვაშლი იკრიფება“, „ეურძენი იჭყლიტება“, „ყანა ითესება“, „პური იმკება“, ან კიდევ: „გარიცხულ იქნა, აღდგენილ იქნა, მოკლულ იქნა“ და სხვა. რუსულის შეგავლენითაა, რომ ზოგჯერ ხმარობენ „დღეს გაყიდვაშია“ „ძირითადში მისაღებია“, „დროის ეკონომიის მიზნით“, „სწავლის მიზნით“, „განცხადება გააკეთა“, „ბურთი თამაშში შეიყვანა“, „მაგიდა გაშალეს და სტუმრები მაგიდას მოუსხდნენ“ და სხვა მრავალი. რუსულის წაბაძეითაა, რომ ქართულში შემოსული იყო: „ღუარსაბ ბუხუტიევი“, „მანასე მანუჩაროვი“, „დავით ბიჭიევი“, ან ფაშილარულად: „კოხტაევი“, „როსტევიანოვი“, „შალეოვი“ ან კიდევ ასეთი არაქართული მიმართვა: იორამ მახარეს ძევ, პაპუნა როინის ძევ და სხვა, რაც გაუმართლებელია ქართულში.

ამგვარად, მესამე წყარო სადავო საკითხების გაჩენისა არის სხვა ენიდან სესხება თუ სხვა ენის „ზეგავლენა“.

დ) ხდება ხოლმე, რომ მნიშვნელობათა განსასხვავებლად სიტყვებს ასხეაფერებენ და ამით პარალელური ფორმები ჩნდება. მაგალითად, მნიშვნელობით რომ გაარჩიონ ერთმანეთისგან „ადგენს პროექტს“ და „ადგენს საბუთებს“, ცვლილება შეაქვთ და ამბობენ: „ადგენს პროექტს“, მაგრამ „არდგენს საბუთებს“. ეს უკანასკნელი კი ლიტერატურული ფორმა არ არის, შეცდომაა. ასევე ცდილობენ განასხვავონ „გაზრდა“ და „აღზრდა“-სგან მიღებული „ზმნის ფორმები: ზ რ დ ი ს (ეთქვათ, შინაურ ცხოველს) და ა ღ ზ რ დ ი ს (ახალგაზრდობას). უნდათ აგრეთვე გაარჩიონ ა ღ ძ რ ა გ ე ს და დ ა ძ რ ა ვ ს ზმნები აწმეოში და ამბობენ: დ ძ რ ა ვ ს შ უ ა მ დ გ ო მ ლ ო ბ ა ს, მაგრამ: ძ რ ა ვ ს ქ ვ ა ს. ცხადია, ა რ დ გ ე ნ ს, ღ ზ რ დ ი ს და დ ძ რ ა ვ ს, რა განსხვავებული მნიშვნელობითაც უნდა ვიხმართ ისინი, არაა სწორი ფორმა. წყარო შეცდომისა ის არის, რომ ძველი წარ-, აღ- ზმნისწინები უმართებულოდაა შეკვეცილი: ძველი წ ა რ ა დ გ ე ნ ს და ახალი წ ა ა დ გ ე ნ ს ზმნებს ერთნაირად აქვს მოკვეცილი წა ზმნისწინი და აქედანაა მიღებული ა-დგენს და ა-რდგენს. ასევე შეცდომითაა წარმოქმნილი „ანვითარებს, ანსხვავებს, ანზოგადებს“ და სხვები, სადაც ძველი გან- ზმნისწინის ნ არის დარჩენილი.

ამგვარად, მეოთხე წყარო შეცდომათა წარმოშობისა არის სიტყვის არასწორი ანალიზი და მისწრაფება მნიშვნელობათა სხვაობის დამყარებისაკენ.

ე) ენაში არის ტენდენცია, რომ ერთი და იმავე მნიშვნელობის სხვადასხვა ფორმა დაყვანილი იქნეს ერთ ფორმამდე, უნიფიკაცია ეყოს, გაერთიანდეს; მაგ.: ზმნა „ესივარ, ზიხარ, ზის“ ქართული ნორმის თანახმად მრავლობით რიცხვში იხმარება: „ესხედვართ, სხედხართ, სხედან“, მაგრამ გაერთიანების გამო მხოლოდითი

რიცხვის ფუძეს მრავლობითშიც იყენებენ: „ვზივართ, ზიხართ, ზიან“, რაც არაა გამართლებული.

წესით ნამყო სრულში მოქმედებითი გვარის ზმნებთან ქვემდებარე იხმარება მოთხრობითში, დამატება კი სახელობითში და ითქმება, „ბავშვმა დაწერა წერილი“, მაგრამ (ანალოგიით) ამას ავრცელებენ ვნებითი გვარის ზმნებთანაც და ამბობენ: „ბავშვმა შეეკითხა ამბავი“, ნაცვლად სწორი წინადადებისა: „ბავშვი შეეკითხა ამბავს“ (იხ. ქვემოთ) და სხვა.

უნიფიკაციის, ერთნაირად ხმარების ტენდენციით არის გამოწვეული ასეთი უმართებულო ფორმების ხმარება: „უთქვია, დაუბია, წაუკითხია, ჩაუცვია, გაუბედია ან გაუბედნია, გაულეწია“ და სხვა, ნაცვლად კანონიერი ფორმებისა: „უთქვამს, დაუბამს, წაუკითხავს, ჩაუცვამს, გაუბედავს, გაულეწავს“... ეს -ი-ა დაბოლოება განნდა „დაუწერია, გაუტეხია, გაუკეთებია“ და მსგავს მაგალითთა მიბაძვით, მათთან მიმსგავსებით.

მაშასადამე, მეხუთე წყარო შეცდომებისა არის ენის ტენდენცია ფორმათა დამსგავსებისა, ენის მიდრეკილება განახორციელოს გაერთფორმიანება.

ვ) მწერალი ცდილობს საკუთარი სტილი შეიმუშაოს და გამოირჩეს სხვა მწერლებისაგან, სტილებრივი სხვაობა შეიტანოს სამწერლოთ ენაში. ამისათვის ის მიმართავს საშუალებას: არქაიზმების (ძველი სიტყვებისა და ფორმების) ხმარებას, სიტყვათა გადასმას, ფორმათა შეცვლას, ახალი სიტყვების წარმოქმნას (ნეოლოგიზმებს) და სხვებს. ზოგჯერ ამით ირღვევა ენის ბუნებრიობა. ამის მაგალითებს ვხედავთ ჩვენი სახელოვანი მწერლების ენაში. ამას ემატება ლექსთწყობით გამოწვეული პოეტური ნებისმიერობანი (licentia poetica), მაგალითად, სიტყვათა უჩვეულო შეკუმშვა თუ შეკვეცა, შემოკლება და სხვა. ისეთ შედეგში, როგორიცაა ილიას „ქართულის დედას“, „ქართულის“ ფორმა არაა გამართლებული.

შეგნებულნი ჩარევა ენაში ან ლექსოწყოთით გამოწვეული არასიზუსტე არის მეექვსე წიარო უმართებულ ფორმების განენისა.

ზ) ერთი სიტყვის თუ ფორმის მიმსგავსებით მასთან ახლო მდგომ მეორე სიტყვაში, რომელიც მნიშვნელობით საპირისპიროა, კონტრასტია ან ასოციაციით გამოიწვევა მსგავსების თუ მეზობლობის გამო, ჩნდება განმასხვავებელი ბგერა; მაგ., ა დ მ ა ე ა ლ ი ს ანალოგიით დ ა მ ა ე ა ლ შ ი ც განდა ლ ბგერა და ამბობენ დ ა ლ მ ა ე ა ლ ი, რაც არაა სწორი (ასეა გავრცელებული). ასევე ღ ჩაერთო ა ღ მ ა რ თ ი ს გავლენით სიტყვებში: დ ა ღ მ ა რ თ ი, წ ა ღ მ ა რ თ ი, უ კ უ ღ მ ა რ თ ი. ა დ ე ქ ზმნაში ბოლო ქ გაყრუებული ძირისეული გ თანხმოვანია პირვანდელი ა დ ე გ ფორმისა. ამ ა დ ე ქ - ის წაბადებით ქ განდა დ ა ჯ ე ქ ზმნაში (უნდა ყოფილიყო დ ა ჯ ე დ). იგივე ქ შკვიდრდება დ ა წ ე ე ზმნაში და იქცევა დ ა წ ე ქ სახედ.

ჩანს, ა ნ ა ლ ო გ ი ა საკმაოდ მოქმედია და მისი შედეგი ზოგჯერ ბატონდება ენაში.

თ) ხდება ერთი და იმავე მნიშვნელობის ორი სხვადასხვა ფორმის კონტრამინაცია (შერწყმა), მათი შერევით ახალი ფორმის განენა. იხმარება შ ე შ ი ნ დ ა და იხმარებოდა შ ე ე შ ი ნ ა, მათი შერწყმით მიღებულია შ ე ე შ ი ნ დ ა და ეს არასწორი ფორმა დამკვიდრდა კიდევც. ასევე გავრცელებულია გ ა უ ხ ა რ დ ა და ზოგან გ ა ე ხ ა რ ა, მათი შეერთებით განენილი გ ა ე ხ ა რ დ ა ლამობს დღეს გაბატონდეს ლიტერატურულ ენაში (მით უფრო, ზოგს სწორადაც მიანია იგი). მაგრამ ეს არ იქნებოდა გამართლებული, რადგან გ ა ე ხ ა რ დ ა (გამიხარდა, გაგიხარდა) ფორმა გრამატიკულად სწორია, ცოცხალია, მოქმედია და უნდა დარჩეს ამ სახით (არის საკუთარი სახელიც გ ა მ ი ხ ა რ დ ი), ხოლო გ ა ე ხ ა რ დ ა, როგორც უმართებულ ფორმა, უკუეადლოთ.

გამოდის, რომ ერთ-ერთი მიზეზი ფ ო რ მ ა თ ა შ ე რ წ ე მ ა ც ა ა.

არის სხვა მიზეზებიც.

როგორც ვხედავთ, შეცდომათა წარმოშობას თავისი მიზეზები, თავისი წყარო აქვს.

ი) ერთი მნიშვნელოვანი მხარეკაა გასათვალისწინებელი. ენაში სიწმინდის დაცვისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მართლმეტყველებას და ამის მიხედვით მართლწერას. სოფჯერ ესენი ემთხვევიან ერთმანეთს: კარგ მთქმელს კარგი წერა შეუძლიაო, – იტყოდა კაცი, მაგრამ ყოველთვის ასე არ არის. სოგ ენაში წარმოთქმა და წერა ძალიან დაშორებულია ერთმანეთისაგან, მაგ.: ფრანგულში, ინგლისურში და სხვ. ასეა რუსულშიც. წერენ ფრანგულად tu manges „ტიუ მანჟეს“ (შენ ჭამ), beaucoup „ბეაიუკოიუჰ“ (ბევრი), maison „მაიზონ“ (სახლი) ... ინგლისურად dilate „დილატიე“ (გაფართოება)... გერმანულად deutsch „დეუტსცჰ“, რუსულად сераце (გული), солице (მზე)... და წარმოთქვამენ ფრანგები „ტიუ მანჟ, ბოკუ, მეზონ“... ინგლისელები – დაილეიტ... გერმანელები – დოიჩ... რუსები – სერცე, სონცე და სხვა; რუსულში конечно ისმის როგორც კ ა ნ ე შ ნ ა და სხვა. თუ წარმოთქმა და წერა ერთად შეთვისებული არა გვაქვს, შეცდომა მოსალოდნელია წერაში ან წარმოთქმაში.

ქართული ამ მხრივ იდეალური ენაა: ყოველი ბგერა შესაბამისი ნიშნით (ასოთი) იწერება და ამიტომ ამბობენ: როგორც წარმოთქვამ, ისე წერეო, მაგრამ ეს ყოველთვის არ მართლდება. წარმოთქმის დროს ყოველი ბგერა ერთნაირად გარკვევით არ ისმის სხვა ბგერასთან შეხობლობის გამო; ვწერთ მ ს გ ა ე ს ი, მაგრამ წარმოთქმის მ ს გ ა ე ს ი. ეს დამოკიდებულია იმაზე, ვის როგორ ესმის. ასევე ბ რ ტ ყ ე ლ ი სოგმა შეიძლება დაწეროს სწორად, სოგმა შეცდომით: ბ ტ ყ ე ლ ი ა ნ პ ტ ყ ე ლ ი, რადგანაც აქ თანხმოვანთა შორის რ კარგად არ ისმის, თანაც ბტყ თანხმოვანთა კომპლექსი უფრო პტყს მთაბეჭდილებას ქმნის.

წარმოთქმაში ს თითქოს დაიკარგაო და ამიტომ ხშირად ამბობენ და წერენ „შ ე უ რ ა ც ყ ი ფ ა ს“, ნამდვილად კი უნდა ვთქვათ და ვწეროთ „შეურაცხყოფა“ და ა.შ. ძნელია იმის თქმა რა ისმის ბოლოში – დ თუ თ: „კაცად, დიდად, ორად თუ კაცათ, დიდათ, ორათ...“ უფრო თ გვესმის. ასევე გამოსარკვევია, „აკეთებ, აშენებ, თამაშობ“ და სხვათა ბოლოს ბ ნამდვილად ბ-დ ისმის თუ ფ-დ, ამიტომ ქართულშიაც წარმოთქმას ყოველთვის არ უნდა დაეყვრდნოთ, წერა გარკვეულ წესებს უნდა დავუქვემდებაროთ; მაგ., დ ბოლოსართით იწერება სახელი, თუ მიუგებს კითხვაზე „რად, როგორ, რანაირად, რამდენად“: კაცად, ხედ (რად?), დიდად, კარგად (როგორ?), ორად, ხუთად (რამდენად?), მაგრამ ზ ე მ ო თ, ქ ე ე მ ო თ, გ ა რ ე თ, წ ი ნ ა თ, იწერება -თ-თი, რადგანაც მიღებულია ზ ე მ ო - x თ, ქ ე ე მ ო x თ, გ ა რ ე ი თ, წ ი ნ ა მ თ ფორმებისაგან. სიტყვა ა ლ ბ ა თ არაბულია და ბოლოს თ ბგერას შეიცავს, ასედაც იწერება.

რაც შეეხება „აკეთებ, აშენებ, თამაშობ“ ზმნებს, ბოლოში ბ ექნება, რადგანაც „კეთება, შენება, თამაშობა“ წარმოდგენილია ბ ბგერით.

ამგვარად, სწორი წარმოთქმა აუცილებელია სწორი მეტყველებისა და წერისათვის.

კ) არის აგრეთვე არსებითი მიზეზი ლიტერატურული ენის დამახინჯებისა. ესაა ჩვენი დ ა უ დ ე ვ ა რ ი, უ ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო მ ო პ ყ რ ო ბ ა ლიტერატურული ენის ნორმათა დაცვისათვის. ოღონდ აზრი გადმოვცეთ და ზოგს სულ ერთი ჰგონია, როგორ გადმოვცემთ მას – სწორად, მართებულად თუ არასწორად, უმართებულად. ამიტომაც, რომ ერთმანეთში ურკვენ ლიტერატურულ და კუთხურ ფორმებს: „დაიწყებს და დაიწყობს“, „სვამს და აჯენს...“ წარამარა უნაცვლებენ: „მოიტანენ დ მოიტანებენ“, „ქქონოდა და ჰქონიყო“, რუსულ სიტყვებს უფრო ხმარობენ, ვიდრე

ქართულს: „კრანი, პილესოსი, პესოკი, ნასკი, იუბკა“ და სხვა. მართალია, ამათი შესატყვისი ქართული სიტყვები გვაქვს, მაგრამ არ გვენადვლება, ქართულად ვიტყვით თუ არაქართულად.

მხოლოდ უყურადღებობას მიეწერება, მაგალითად, თბილისში გაკრული ფირნიში წარწერით: „თავსამკაული“, „ბაკალია“... ან მაღაზიაში საქონელზე დადებული იარლიყი უცნაური ქართულით.

უყურადღებობის გამოა, რომ შეცდომებით ბეჭდავენ თეატრების აფიშებს, პროგრამებს: „დადგმა ჭაბუკიანის, მუსიკა მაჭავარიანის“, ნაცვლად სწორი ფორმებისა: „დადგმა ჭაბუკიანისა, მუსიკა მაჭავარიანისა“ და სხვა, ან, ზოგჯერ, არასწორად თარგმნიან ფილმების სახელწოდებებს. ასეთი შეცდომები იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენს დედაენას უ დ ა რ დ ე ლ ა დ, ა გ დ ე ბ უ ლ ა დ ვეკიდებით. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ილია ჭავჭავაძე ქართული ენის უფულებობის დროს წერდა: „ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას, ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა“.

ლ) ზედმეტი არ იქნება, თუ აქვე დავასახელებთ ზოგიერთი სახელოვანი მწერლისა და ასევე სახელოვანი მეცნიერის ცდას, რომ დღეს ახალი ქართულისათვის ზოგიერთი არაბუნებრივი მოვლენა აღვადგინოთ და დავამკვიდროთ. ასეთი ცდის განხორციელება შეიძლება გახდეს მიზეზი მრავალი შეცდომისა.

ზოგი ავტორიტეტული მწერალი მოითხოვს, რომ შემოვიღოთ ძველი ქართული ენის **მ** ასო. **მ**-ს აღდგენას იმით ამართლებენ, რომ სხვა ენათა ბგერა, მაგალითად, ფრანგული **u**, გერმანული **ü**, რუსული **ю** კარგად გადმოიცემა **მ** უ ასოებით: „ევოლმუცია, რეზმემე, კოსტემი, ნემუ-იორკი“ და სხვა, და ასაბუთებენ იმით, რომ „**მ** იხმარება დასაბამიდან“ და იგი დღესაც **ც** ისმის ქართულ დიალექტებში.

მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ **მ**

1) ძველ ქართულში იხმარებოდა მხოლოდ ხმოვნის შემდეგ და არა ხმოვნის წინ: „დედამ, ყრმამ, ნებაამ, რამთა, ვამ, უჭველომ“ და სხვა მრავალი;

2) ქართულ კილოებში მ მოგვიანებით შეიცვალა ი ხმოვნით და ითქმის: „დედაი, ძმამი“ და სხვა. იგი შემოგვრჩა ისეთ კილოებში (თუშურში, ინგილოურში...), რომლებიც ლიტერატურულ ენაზე გავლენას ვერ ახდენენ, ან კიდევ მ მონაცვლევა კახურში, ნაწილობრივ ქართლურში და სხვაგანაც ს ან ჰ ბგერებისა: მ ტ უ-მ ა რ ი (=სტუმარი) დ ა მ დ ე ვ ს (=დასდევს), შ ე შ ა მ-ვ ე ძ ა ხ ი თ (=შეშას ვეძახით) გ ო გ ო-მ ყ ა ე (=გოგო ჰყავს) და სხვ.;

3) ძველი და ახალი ქართული ადვილად ახერხებს იო-ს გადმოცემას მ ასოს გარეშეც. ბერძნულიდან შემოსულ სიტყვებს თუ თავში ჰქონდა v, მის აღსანიშნავად ძველ ქართულში ხმარობდნენ ენაში არსებულ ყ ასოს: ყ პ ა ტ ო ს ი (=მთავარი, ქვეყნის მმართველი“); თუ სიტყვის შიგნით ან ბოლოში იყო v, მაშინ გადმოსცემდნენ ვი ბგერათა კომპლექსით; კ ვ ი პ რ-ო ს ი, კ ვ ი პ ა რ ო ს ი, და სხვა; უფრო მოგვიანებით კი ი-თ: სინდისი, იპოლიტე, კიროსი (შდრ. კვიროსი) და სხვა; ხოლო ახალ ქართულში იო წარმოითქმის რ და ლ ბგერებთან უ-დ, როგორც ეს ლათინურშია: ევოლუცია, რეზოლუცია, გერმანულში: რუკაჰაი..., ხოლო სხვა შემთხვევებში იუ-დ: ბიურო, ბიუჯეტი, გრავიურა, კოსტიუმი, ნიუანსი, პიურე, სიუჟეტი და მისთანანი;

4) რაც მთავარია, უცხოურ სიტყვათა ზუსტად გადმოსადებად არც ერთი ენა არ ცდილობს ძველი ასოს აღდგენას თუ ახლის შექმნას და მით თავის ანბანის შეცვლას. ასე რომ ყოფილიყო, ფრანგებს დასჭირდებოდათ ხ, ჩ, ჯ ასოების შემოღება, ყველა ენას კი რუსული ძ-სი, რუსულს – ქართულ გვარებსა და სახელებში არსებულ წ, ჭ, ძ, ჯ... ბგერათა ნიშნებისა (წერეთელი, ჭავჭავაძე, ძიძაძე, ჯორჯაძე...). რომც შემოედოთ, იგი მარცხით

დამთავრდებოდა, როგორც ეს მოუვიდა უცხოური სიტყვებისათვის XVIII საუკუნეში ქართულში შემოღებულ ფასოს (ფილასოფოსი) . ჩვეულებრივ ყველა ენა თავისი ანბანით კმაყოფილდება და ნასესხებ სიტყვებს უგუებს თავის წარმოთქმას ან უხამებს ასოთა კომბინაციას (მაგ., ხ-სათვის ch ან kh...). არის გამონაკლისებიც.

მ) ზოგი მეცნიერი და მწერალი დაჟინებით მოითხოვს ნასესხებ სიტყვებში ორმაგი თანხმოვნის დაცვას და ქართულად ასე წერას: „აკორდი, ანოტაცია, ბარრიკადა, დისერტაცია, კომმუნისტი, კომმისია, პრესსა“ და სხვა. უნდა ითქვას, რომ საქმე ეჭება ორი ერთნაირი თანხმოვნის და არა ხმოვნის ხმარებას. ქართული ადვილად იტანს ორ და სამ ერთნაირ ხმოვანსაც და თანხმოვანსაც: გააკეთა, გააიფა... შეერთდა... გაახალგაზრდავა... ექიმი, პირველ მაისს, გამოცხადდა და მისთანანი, მაგრამ ნასესხებ სიტყვებში არსებული ორი ერთნაირი თანხმოვნიდან, ტრადიციის თანახმად, ერთს ხმარობს: „აკორდი, ანოტაცია, დისერტაცია, პროფესორი, კომუნისტი, კომისია, პრესა...“ ამას თავისი გამართლება აქვს.

1) ძველ ქართულში ბერძნულიდან ან სხვა ენებიდან შემოსული ორკეცთანხმოვნიანი სიტყვები ერთი თანხმოვნითაა ჩვეულებრივ დაწერილი: „ა ბ ა (ზოგ ძეგლში: ა ბ ბ ა „მამა“), იოანე, იესე, მანასე, სადუკეველნი, ალილუია...“ ბერძნულშია: „იოანეს, იესსაი, მანასსს, სადუკაიოი, ალელუია)... XIII – XIX საუკუნეებში გაერცელებული წერა „ლრამმატიკა, ეკლესია“... შემდეგ გამარტივდა და გაბატონდა: „ლრამატიკა, ეკლესია“ და სხვა. თვით ძველი ქართული სიტყვები თ თ ე ე, ნ ნ ე ე ი ი ლ ი, რომელთა ორი ერთნაირი თანხმოვნით წერას ეტიმოლოგიური გამართლება ჰქონდა, ამჟამად ერთი თანხმოვნით იწერება: თ ე ე, ნ ე ე ი ი... ანტონის ცდა გაორკეცებული თანხმოვნების ხმარებისა ნასესხებ სიტყვებში ვერ განხორციელდა.

დღეს ერთი ს თანხმონით იწერება რთული სიტყვები, სადაც თავს იყრის ორი ს. ასეთებია: ტანისამოსი (შედგება სიტყვებისაგან: ტანის+სამოსი), ზმინსართი (=ზმინის+სართი), ცისარტყელა (=ცის+სართყელა) და სხვები.

2) თვით იმ ენებშიც, სადაც წესადაა ნასესხებ სიტყვებში ორმაგი თანხმონის ხმარება, ეს ნორმა ყოველთვის არ არის დაცული; მაგ., რუსულში ასე იწერება: галерея, компас, комиссия, ресурс, маршрут. მაშინ, როცა იტალიურშია „გალლერეა, კომპასსო“, ლათინურში – „კომმისსიო, ფრანგულში – „რესსურს“, გერმანულში – „მასსშტაბ“ და სხვა.

3) დღეს რუსული მართლწერის პროექტში დასმულია საკითხი უცხოურ სიტყვებში ორმაგი თანხმონის გამარტივებისა და მათი ერთი თანხმონით წარმოდგენისა (მაგ.: აკლიმატიზაცია, აკორდი, ალეგორია, ბალასტი, ირიგაცია, კოლეჯი, კოლექტივი და სხვა მრავალი). ამას ამართლებენ იმით, რომ წარმოთქმაში არ ისმის ორი თანხმოვანიო.

საგულისხმოა, რომ რუსულთან ახლო მდგომ უკრაინულ ენაში ნასესხები ორმაგთანხმონიანი უცხოური სიტყვები ჩვეულებრივ ერთი თანხმონით არის გადმოცემული; მაგ.: агресія, акліматизація, акорд, алегорія, асиміляція, грамати́ка, група.. колона, комісія, комуна და სხვა მრავალი. მაგრამ ორმაგი თანხმოვანი დაცულია საკუთარსა და ზოგიერთ სასოგადო სახელში, აგრეთვე სედა-სართაეებსა და ნაზმნარ (მოქმედების) სახელებში: მაგ.: Агіппіна, Адіс-Абеба, Брюссель, Ассіріа, ассіріолог, апперцепція.. колонний.. командування (=командование), лікування (=лечение) და სხვა. ამას თავისი გამართლება მოეპოვება. მთავარი მაინც ისაა, რომ ერთგვარ თანხმოვანთა გამარტივება მოხდა.

ამგეარად, ორმაგი თანხმონის შემოღებითა და ხმარებით შეცდომათა ახალ წყაროს გავანხნო. ასეთი შეცდომა რომ შე-

უძლებელი არ არის, იქიდან ჩანს, რომ ორი თანხმომენის დაცვის ზოგი მომხრე გაუმართლებლად წერს სიტყვას: „რასსა“, მაშინ როცა რუსულშია *раса* ფრანგულში კიდევ „რას“ (*race*) და სხვა. მაშასადამე, ჯობს ტრადიცია დავიცვათ და ერთი თანხმომენი ვიხმართ, ვიდრე ვიკვლიოთ სიტყვის ეტიმოლოგია, მისი წარმოშობა და ვეძიოთ, თუ როგორ იწერება ესა თუ ის უცხოური სიტყვა სხვა ენაში (ბერძნულში, ლათინურში, ფრანგულში...). დღეს, როცა წერითი მეტყველების მომხმარებელთა კონტინგენტი უწყველად დიდი გახდა, მწვავედ დადგა საკითხი ენის გამარტივებისა და ამან გამოიწვია რუსულშიც სხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვებში ორმაგი თანხმომენის გაუქმების საჭიროება და ერთის ხმარება. ქართულმა ეს მტკივნეული საკითხი თავიდანვე სწორად გადაწყვიტა და მისი დასმა ამჟამად ყოველად გაუმართლებელი ჩანს.

ბ) შემოაქვთ წინადადება, რომ რუსულ და ევროპულ ენათა მსგავსად, საკუთარი სახელებისა და წერტილის შემდეგ წინადადების პირველი წევრის დასაწყისი ბგერები დიდი, მთავრული ასოებით დაიწეროს. ეს ცდა ახალი არ არის. მთავრული ასოების ხმარება დაიწყო ბეჭდურად XVIII საუკუნეში (ა. შანიძე), მოგვიანებით მისი შემოღების საკითხი დასვა გაზ. „დროებაში“ და გაზეთთან ერთად ის პრაქტიკულად განახორციელეს ცნობილმა პედაგოგებმა იაკობ გოგებაშვილმა და სილოვან ხუნდაძემ. ს. ხუნდაძე ხმარების თეორიულ და პრაქტიკულ საჭიროებას გულმოდგინედ იცავდა 1901 წელს თავის „სალიტერატურო ქართულში“: „მთავრულები დიდათ უადვილებს მკითხველს წაკითხულის გამეორებას, საკუთარი სახელებისა და ცალკე აზრების გამოძიებას; თვით კითხვის დროსაც უფრო ახერხებს მკითხველი თავ-თავის ადგილას დროზე შეჩერებასა და დასვენებას“ (გვ. 200). ერთხანს იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში და ქუთაისში დაბეჭდილ სილ. ხუნდაძის და ზოგი სხვა ავტორის წიგნში საამისოდ

შავ შრიფტს იყენებდნენ, მაგრამ ამაზე მალე აიღეს ხელი. ასედაც უნდა მომხდარიყო და აი რატომ:

1) ქართულ ენას წერის დასაბამიდანვე არა აქვს დიდი, მთავრული ასოები საკუთარი და ზოგადი სახელების განსასხვავებლად და მისი შემოღების საჭიროება არც უგრძნია მას თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში. დღემდე მოღწეულ VI, VII, VIII, IX, X და შემდგომ საუკუნეთა წარწერებსა და ხელნაწერებში არსად არ არის განსხვავებული საკუთარი და საზოგადო სახელი მთავრული ასოებით, არც ახალი წინადადების დასაწყისი პირველი ასო; მაგ.: დაწერილია VII საუკუნეში: „მოვიდა სიმონ პეტრეცა“; „ხოლო ხიყვნეს მაგდანელი მარიამ და იოჰანა და იაკობისი“... მთავრული ასოები იხმარებოდა წიგნის დასაწყისის – აბზაციისა და სხვა შემთხვევათა სამკაულად. ეს კი საბუთად არ გამოდგება მთავრული ასოების შემოღებისათვის.

ბევრი ენა (არაბული, ებრაული, სანსკრიტი...) დღესაც არ ხმარობს მთავრულ ასოებს და იოლად მიდის.

მთავრულების შექმნა არსებული შრიფტისათვის ძნელია, ძნელია იმის გამო, რომ ხაზზედა ასოები ბ, ზ, მ, ნ, კ, რ და სხვები ისედაც მთავრულებს ჰგვანან, ხოლო შემოთავაზებული პროექტის თანახმად ძველი ასომთავრულების (ხუცურის) აღდგენა და დამკვიდრება ორი სხვადასხვა ანბანის შერევას ნიშნავს და ახალი ანბანის დასწავლას მოითხოვს, რაც ქართულ იდეალურ ანბანს არაიდეალურს გახდის. იგი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ქართული ენის მომხმარებელს: ორი სხვადასხვა ანბანის დასწავლას აიძულებს, 33 ასოს ნაცვლად 66 ასოს გაცნობა-დაწერას მოსთხოვს და მით აღვიღ წერას მეტისმეტად გაართულებს.

4) ამჟამად რუსეთში ტარდება ცდები, რომ მთავრული ასოებიც ისე იწერებოდეს, როგორც ნუსხური, მაგ., **р** და სხვა (შდრ. **е Е, э Э, и И, л Л...**).

როგორც ვხედავთ, მთავრულების გამოყენება წერის ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი გართულება და გაძნელებაა, რის გამართლებაც არ შეიძლება. ამდენად მართალი იყო სახელმწიფო კომისია, როცა წერდა 1921 წელს: „კომისია საჭიროდ არა სთვლის მთავრულების ხმარებას“.

ო) დაესძინთ, რომ ცვლილების შეტანას ცდილობენ არა მარტო წერაში, არამედ მეტყველებაშიც.

ქართულ ენას ახასიათებს თვლის ოცობითი სისტემა (ორმოც-დახუთი, სამოცდაათი, ოთხმოცდათხუთმეტი...), რუსულს, გერმანულსა და სხვებს – ათობითი სისტემა, ფრანგულს კი შერეული – ათობით-ოცობითი. ციფრებით გამოხატვისას ოცობითი თვლის გადმოცემა ჭირს: წარმოითქმის ოთხმოცდახუთი (4–20 და 5) და იწერება 85. ამ გარემოებამ მიიქცია ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის ფუძემდებელთა უურადლება და შემოიტანეს წინადადება, რომ შემოეღოთ რუსულისა და სხვა ენათა მსგავსად ათობითი თვლა: სამათი, ოთხათი, ხუთათი და სხვა. ტექნიკურ და მათემატიკურ მეცნიერებათა ენისათვის იქნებ ეს გამართლებულიც იყოს, მაგრამ სასაუბრო და სამწერლობო ენისათვის მიუღებელია, რამდენადაც ეს ცოცხალი ენის სისტემის შეცვლას ნიშნავს. მიუხედავად პროექტის ავტორთა დიდი ავტორიტეტისა, წინადადება ვერ განხორციელდა ვერც მეცნიერებაში და, მით უფრო, ვერც ცოცხალ ენაში. ამ ბოლო დროს საკითხი კვლავ ამოატივტივეს, აქაოდა ოცობითი თვლის მიხედვით მოღარეებს უჭირთ ფულის დათვლა-მიღება და ტელეფონისტებს ტელეფონის ნომრის აკრეფაო. ამიტომ ათობითი თვლა იდეალურია და უნდა გავაბატონოთ, ოცობითი კი უკუვაგდოთო. ადვილი სათქმელია! თანაც უხერხულობას გრძნობენ, რომ ს ა მ ა თ ს ა მ ი, ო თ ხ ა თ ხ უ თ ი და სხვა შეიძლება გაიგონ მსმენელებმა, როგორც ს ა მ ა დ ს ა მ ი, ო თ ხ ა დ ხ უ თ ი... და ცდილობენ ა თ ი შეცვალონ

მეგრული სიტყვით ვ ი თ-ი (რაც ნიშნავს ა თ ს) და ამ გზით ლამობენ დაამკვიდრონ: ს ა მ ე ი თ ს ა მ ი =33), ო თ ხ ე ი თ ხ უ თ ი (=45), შ ე ი დ ე ი თ ც ხ რ ა (=79) და სხვა.

უნდა გვახსოვდეს, რომ:

თვლა ენის სისტემის ძველისძველი და თანაც ძირითადი ნაწილია. ის არაა სიტყვა ან გამოთქმა (ფრაზა), რომ მეორე სიტყვით ან გამოთქმით შეეცვალოს, არამედ სისტემაა ოციდან მოყოლებული ასამდე. ენის დასაბამიდანვე დამკვიდრებული სისტემის ხელოვნური შეცვლა მიუღწეველი საქმაა.

შეცვლის საჭიროებას იმით ასაბუთებენ, წერა დაშორებულია მეტყველებასო.

ჯერ ერთი, წერა ტექნიკური საშუალებაა მეტყველების ასახვისა, მეტყველება კი აქტია ენისა, რომელიც აზროვნების იარაღიცაა და პროდუქტიც. ტექნიკური საშუალება არსებითად ვერ შეცვლის ენის სისტემას;

მეორეც, ვერც ერთი ენის თვლის სისტემა ზუსტად ვერ გადმოიცემა ციფრებით: წარმოთქვამენ *пятьдесят пять* (5-10, 5) და წერენ 55, ამბობენ *восемьдесят девять* (8-10, 9) და გამოხატავენ 89... ცხადია, წარმოთქმა და წერა აქ ისევე დაშორებულია ერთმანეთისაგან, როგორც ქართულში. უშეცდომოდ ვწერთ იმის გამო, რომ ციფრების გაცნობისას ესწავლობთ წესს: ბოლოდან პირველი ციფრი ერთეულს გამოხატავს, მეორე – ათეულს, მესამე – ასეულს და ა. შ. ასევე საჭიროა დასწავლა ქართულისაც.

მესამეც, წარმოთქმა და წერა უფრო დაცილებულია გერმანულში, ვიდრე რომელიმე სვენთვის ნაცნობ ენაში. გერმანულად ითვლიან *drei und zwanzig* (3 და 20) და წერენ 23; ამბობენ *zwei und fünfzig* (2 და 50) და გადმოსცემენ 52... მიუხედავად ამისა, არც ერთ გერმანელს ახრად არ მოსვლია შეეცვალა თავის მშობლიური

ენის სისტემა არაბული ციფრების შესაბამისად. ამას ხელი არ შეუშლია აგრეთვე იმისათვის, რომ გერმანელებმა კარგად იცოდნენ ანგარიში:

მეოთხეც, მათემატიკის მეთოდისტების დაკვირვებით და დასაბუთებით, ქართული ზეპირი თვლა და ოთხი მოქმედება გაცილებით უფრო ადვილი დასასწავლი და ასათვისებელია, ვიდრე სხვა რომელიმე ათობითი სისტემის ენისა;

მეხუთეცაადა, ვ ი თ სიტყვის შეტანა ქართულ ბუნებრივ თვლაში მარევენებელია უსისტემობისა.

ეტყობა, ეს ცდაც მიუღებელია: იგი თვლას უფრო ართულებს, ვიდრე აადვილებს, ენაშიც არა მარტო სადაეო საკითხს ბადებს, არამედ გასაჭირს აჩენს და, შეიძლება ითქვას, მეტყველებას ამახინჯებს კიდევც.

კ) მწერალი ცდილობს შექმნას თავისი ინდივიდუალური სტილი და გამოირჩეს სხვებისაგან. ამისათვის იყენებს ის ენის ყველა საშუალებას: ცვლის ბუნებრივ სინტაქსურ წყობას, უნაცვლებს ერთმანეთს წინადადების ტიპებს (მაგ.: რთულ წინადადებას აქცევს მარტივად, რთულ ქვეწყობილს – მიმღეობურ კონსტრუქციად, შემასმენლიანს – სახელდებით წინადადებად, კავშირიანს – უკავშიროდ), მიმღეობებს აცლის ზმნისწინებს, ამდიდრებს ლექსიკას სიტყვათა სესხებით ქართველური და უცხოური ენებიდან, ასევე ქართული დიალექტებიდან ამოღებული სიტყვებითა და გამოთქმებით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ვასილ ბარნოვი. ის შეგნებულად ახდენს ხშირად არაბუნებრივ ოპერაციებს, ამას სწადის იმისათვის, რომ, მისი თვალსაზრისით, პროზა უნდა დაუახლოვდეს პოეზიას, პროზამ უნდა შეითვისოს პოეზიის ელემენტები: მარცვალთრაოდენობის თანაბრობა, ალიტერაცია, რიტმულობა, ზოგჯერ რითმაც და სხვა, რისთვისაც მწერალი ძალაუნებურად კვეცს სიტყვებს (ზმნას აცლის ზმნისწინს, შე-

უფერებლად კუმშავს სიტყვის ფუძეს, ამოადგებს წინადადებაში საჭირო კავშირს...), ცვლის წინადადების წევრთა წყობას ან წინადადების ტიპებს, მეტრიკის ან ალიტერაციისათვის არჩევს შესაბამის სიტყვებს და სხვა (ივ. გიგინეიშვილი, ე. კოშორიძე). თავისებურად ეპყრობა ვასილ ბარნოვი სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკსაც. იგი მას ურთავს წინადადების ბოლოშიც, ხოლო შემასმენელთან ხმარობს თავისუფლად, იქნება შემასმენელი წინადადების თავში თუ შიგნით, და ამის გამო რთულ თუ შერწყმულ წინადადებაში -ო ნაწილაკი, ნაცვლად ერთგზისისა, შეიძლება იხმაროს ორგზის ან მეტჯერაც; მაგ.: „გ ა დ ა რ ჩ ა ო იმპერატორი, მ ო ა ს წ რ ე ს ო დასაუღელთში მისი გადაყვანა“...

სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის ასეთი თავისებური გამოყენება სისტემად აქცია საკუთარი სტილის მქონე თანამედროვე ცნობილმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ. ყველას მოგვაგონდება მის თხზულებათა ეს ადგილები: „ლომკაცია... ციხიდან გაქცეულაო ამ ორი კვირის წინად. სამი წელი ყაჩაღობდაო აფხაზეთში. ჯამლეთი ჰქვიანო ამ ტარბას“...

მაგრამ ილიას მახვილგონიერი თქმისა არ იყოს, „მწერალს აქვს უფლება თქვას ისრე, როგორც მოსწონს, როგორც ეხერხება, კრიტიკოსს – შენიშნოს და ხალხსა – მიიღოს მწერლის ნათქვამი: მხოლოდ ეს უფლება ხალხს ეკუთვნის“.

როგორც შეცდომების მიზეზთა მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, ზოგი შეცდომა წარმოშობილია ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპის, სხვადასხვა ფენის მონაცემთა ურთიერთმოქმედებით, ზოგიც სხვა ენათა ზეგავლენით, ზოგიც კიდევ ჩვენნი ჩარევით, თუ შეიძლება ითქვას, ჩვენი მცდარი მიდგომით.

ასეთ პირობებში ისმება საკითხი:

როგორ დავიცვათ სიწმინდე, როგორ ავიცილოთ შინაგარეობა?

ენის სიწმინდის დასაცავად ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოები დიდ ღონისძიებას ახორციელებენ: დაარსებულია ქართული ლიტერატურული ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია. იგი განიხილავს და ამტკიცებს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ მიღებულ პროექტებს სადავო საკითხების შესახებ, ადგენს ნორმებს. ამ დადგენილებათა საფუძველზე დამზადდა ქართული მართლწერის სხვადასხვა სახელმძღვანელო და ორთოგრაფიული ლექსიკონი, სოფი მიღებული წესი აქ არის განხილული.

სალიტერატურო ქართული ენის ნორმათა დამდგენის პრინციპები

ზედმეტი არ იქნება აქაც გავიმეოროთ ის პრინციპები, რომლებიც მიიღო სახელმწიფო კომისიამ და საფუძვლად დაუდო ნორმების დადგენას. აი, ძირითადი მათგანი:

1) თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა წარმოადგენს XIX საუკუნის კლასიკოსთა დამკვიდრებულ ენას, საბჭოთა პერიოდში გამდიდრებულსა და დახვეწილს.

2) უცვლელი რჩება ისეთი ლექსიკური და გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) მონაცემები, რომლებიც ერთია და სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულია, თუნდაც ის გრამატიკულად არ იყოს სწორი (ასეთია, მაგალითად, „ვწევარ, დავდევ ვაღიარებ“ და სხვა, წარმოშობით კი არის: „ვწევვარ, დავდევვ ვაღვიარებ“ და სხვ.).

3) ორი და მეტი მოცილვე ლექსიკური, ორთოგრაფიული და გრამატიკული მოვლენიდან რჩება ის ფორმა, რომელიც

ა) გამართლებულია თანამედროვე ქართული ენის აღნაგობით და, მაშასადამე, კანონიერია;

ბ) დამკვიდრებულია და გაერცვლებული კლასიკოსთა ენაში და ექვემდებარება ლიტერატურული ენის განვითარების ტენდენციას;

გ) უფრო მარტივია წარმოების თვალსაზრისით და

დ) უფრო ნათელია მნიშვნელობის მიხედვით.

4) თუ პარალელურად ხმარებული ორი ან მეტი მოვლენა თანაბრად კანონიერია, მაშინ დარჩება ყველა, მაგრამ უპირატესობა მიენიჭება და ძირითადად გამოცხადდება ის ფორმა, რომელიც უფრო ახალია, მარტივია და ნათელია, ხოლო დასაშვებად მიიჩნევა სხვა ფორმები.

მართლწერის (ორთოგრაფიის) მოსაწესრიგებლად ასახელებენ რვა პრინციპს, მაგრამ მათგან მისაღებია სამი: ფონეტიკური, მორფოლოგიური და ისტორიული.

ფონეტიკური პრინციპი მოითხოვს წერას ისე, როგორც წარმოთქვამენ. ეს საკითხი მწვავედ დგას განსაკუთრებით ფრანგულში, ინგლისურში, სადაც წერა და ლაპარაკი ძალზე დაშორებულია ერთმანეთისაგან, რუსულში კი დაცილება შედარებით ნაკლებია. ცნობილი მკვლევრის მ.პეტერსონის გამოანგარიშებით რუსულში წერა შეესაბამება წარმოთქმას 77 პროცენტით, არ შეესაბამება 23 პროცენტით. შესატყვისობა თანხმოდანთა წერასა და წარმოთქმას შორის 67 პროცენტს შეადგენს, ხოლო ხმოვნებისა 33 პროცენტს. ქართულში ეს შეფარდება თუმცა საგანგებოდ შესწავლილი არ არის, მაგრამ განსხვავება წარმოთქმასა და წერას შორის, შეიძლება ითქვას, შედარებით მცირე იქნება. ვამბობთ და ვწერთ: „თვრამეტი, ფრინველი, ბრწეინვალე, მტრედი...“, თუმცა

წარმოშობით არის „ათრვამეტი, მფრინველი, მბრწყინვალე, ტრედი“ და სხვა.

მორფოლოგიური პრინციპი მოითხოვს ყველა შემთხვევაში სიტყვის ნაწილების (ფუძის, პრეფიქსების, სუფიქსების...) ერთ-ნაირად წერას, მიუხედავად წარმოთქმის სხვადასხვაობისა, რაც ყველაზე უკეთ ჩანს რუსულ ენაში; მაგ.: ამბობენ ნ ა გ ა და წერენ ногà („ფეხი“), წერენ წარმოთქმული ა-ს ნაცვლად ო-ს იმიტომ, რომ ბრალდებით ბრუნვაში ითქმის ногу, მრავლობით რიცხვში – ноги. ასევე ო იწერება ამ ფუძისაგან ნაწარმოებ სიტყვებში ножной („ნაწილი“ – „ფეხისა“), ножища („ნაჭიშნა“ – „დიდი ფეხი“) და სხვა. ქართულშიც ეს პრინციპი გამოსაყენებელია მოცილე ორი და მეტი ფორმიდან ერთ-ერთის შესარჩევად და დასადგენად; მაგ.: ერთმანეთში ურევენ „იღვწის“ და „იღვწის“, ამათგან მართებულია პირველი „იღვწის“, რადგანაც ვ თანხმოვანი მოქცეულია თავში ღ-სა და წ-ს შორის: „იღვაწა, ღვაწლი, მოღვაწე“ და სხვა.

მწერლობაში გამოყენებულია ფორმები: ვინმეს, ვისმე და ვისმეს. ამათგან სწორია ვინმეს და ვისმე. ორივე მიცემით ბრუნვაშია და აქვს ბრუნვის ნიშანი -ს, პირველს – ბოლოში (ახალი მოვლენაა), მეორეს – შიგნით (ძველი, არქაული ფორმაა). რაც შეეხება მესამე ფორმას – ვისმეს, ისიც მიცემით ბრუნვაშია, მაგრამ აქვს ერთი და იმავე ბრუნვის ნიშანი ს (შიგნით, ძველებურად, და ბოლოში, ახლებურად, მაშადამე, შერწყმულია ძველი და ახალი ფორმა) რაც გრამატიკულად სწორი არ არის. ამდენად ვისმეს, როგორც უმართებულო ფორმა, უკუსაგდება. დადგენილი ორი სწორი ფორმიდან (ვინმეს და ვისმე) ძირითადად მიღებულია ახალი – ვინმეს, როგორც უფრო გავრცელებული, სხვა ფორმათა მსგავსი (დედას, მეზობელს) და ადვილმოსახმარისი; დასაშვებია მეორე, არქაული – ვისმე, როგორც სწორი, ნაკლებ გავრცელებული.

მაგრამ ისტორიული ვითარების ამსახველ ენაში გამოსაყენებელი, სტილისტიკურად მისაღები.

ისტორიული პრინციპი ფართოდ არის აღებული: იგი მოიცავს გენეტიკურს (წარმოშობითს), ეტიმოლოგიურს (პირვანდელი შედგენილობისა და მნიშვნელობის) და ტრადიციულს (დროთა განმავლობაში დამკვიდრებულ) საწყისებს. მას იყენებენ, როცა სადავო საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა ფორმის წარმოშობისა და განვითარების გარკვევა. მაგალითად, ძველსა და ამ საუკუნის ოცდაათიან წლებამდე ახალ ქართულში ხმარობდნენ ფორმებს: „შეცთომა, შეცთა, მცთარი“... ახლა წერენ: „შეცდომა, შეცდა, მცდარი“. გამოირკვა, რომ თავდაპირველი ძირი ამ სიტყვისა ყოფილა ცედ, უხმოვნოდ ცდ, რომელიც ც-სთან დ-ს დამსგავსების გამო შეცვლილა ცთ-დ. ბოლო ხანებში აღდგენილ იქნა ადრინდელი სახე, რასაც ხელი შეუწყო წარმოთქმამაც და ახლა წერენ: „შეცდომა, შეცდა, მცდარი“.

ერთხანს ფართოდ გამოყენებული იყო კეთილხმოვანების პრინციპი. მისი დამნერგავი სილ. ხუნდაძე და შემდეგ სერგი გორგაძე განმარტავენ, რომ „კეთილხმოვანი სიტყვა ის არის, რომელიც გამოსათქმელად აღვილია და სმენისათვის სასიამოვნო“. უნდა ითქვას, რომ კეთილხმოვანება ობიექტური სასიამოვნო არ არის, იგი სუბიექტურია. ერთისათვის აღვილი და სასიამოვნო მეორისათვის შეიძლება არ იყოს აღვილი და სასიამოვნო. ყოველ შემთხვევაში, ეს პრინციპი ნორმათა დადგენისათვის გამოუსადეგარია. ენათმეცნიერი მას ვერ დაემყარება. მაგრამ კეთილხმოვანება, როგორც „ენის ესთეტიკურ-მუსიკალური მხარე“ შეიძლება საყურადღებო იყოს მწერლისათვის, პოეტისათვის, რომელსაც „სიტყვის ხმარებაში ათასნაირი მოსაზრება ამოძრავებს“; მწერალი თავისი გემოვნების შესაბამისად არჩევს სიტყვებს, რამდენად არის სიტყვა უღერადი, ახალი იდეის, ახალი კულტურის ამსახველი.

თუ სიტყვა გაცვეთილია, გამოფიტული, ბლაგვი ან ხორკლიანია, იგი მას უკუაგდებს. ეს მწერლის საქმეა (კ.გამსახურდია). მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ სიტყვა ჟღერადია, სასიამოვნო, მაგრამ უმართებულოა ან უადგილოდ შერჩეული, აქ კეთილხმოვანება საქმეს ვერ უშველის, მას უკუაგდებენ. ეს კი ყველას საქმეა.

ამგვარად, მართლწერაში ვემყარებით ერთ-ერთ ზემოდასახელებულ პრინციპთაგანს. თუ ერთი საკმარისი არ არის, ვიშველიებთ მეორეს. ყოველ შემთხვევაში, ყველა სავალდებულოდ გამოცხადებული ნორმა დასაბუთებული უნდა იყოს. ამ მიდგომით შევვხებით რამდენიმე სადავო საკითხს.

წ ა რ მ ო თ ქ მ ა

მართლწერის (ორთოგრაფიის) საფუძველს წარმოადგენს მართლმეტყველება (ორთოქმია). მართლმეტყველების არსებით მხარეს ლექსიკასთან და გრამატიკულ წყობასთან ერთად შეადგენს წარმოთქმა. წარმოთქმის ელემენტებია, არტიკულაციის გარდა, ტემპი, რიტმი, ინტონაცია. წარმოთქმით განსხვავდება როგორც სხვადასხვა ენა, ისე ერთი ენის სხვადასხვა დიალექტი. ამ მხრივ თვალსაწიწო სხვაობას გვიჩვენებს ხევსურისა თუ მოხევის, კახელისა თუ იმერლის, გურულისა თუ რაჭველის წარმოთქმა.

როგორც თავის ადგილას ითქვა, იდეალურია ის ენა, რომლის სიტყვიერი მხარე და წერა თუ სავესებით არ ემთხვევა ერთმანეთს, დაშორება მაინც მათ შორის მინიმალურია. ამ მხრივ ქართული ლიტერატურული ენა ბედნიერ გამოჩნადისს წარმოადგენს. მაგრამ წარმოთქმის ელემენტების – ტემპის, რიტმის, მელოდიის გამოხატვა წერაში ჩვეულებრივ ვერ ხერხდება, ყერც ინტონაცია აისახება სრულად: ხმარებული პუნქტუაცია (სასვენი ნიშნები) ამას არ ემსახურება.

ლიტერატურული ენა საერთოა, ერთიანია, მაშასადამე, წარმოთქმაც ერთიანი, საერთო უნდა იყოს. ობიექტურად შეიძლება წარმოთქმის თვისებათა აღნიშვნა. ქართულ ლიტერატურულ ენას, როგორც ცნობილია, საფუძვლად უძვეეს ქართლური კილო. ამდენად, წარმოთქმის საფუძველს იგივე კილო უნდა ქმნიდეს. გასაზიარებელია დებულება, რომ საერთო ქართული ლიტერატურული ენის წარმოთქმა ესაა საქართველოს სახელმწიფოებრივი, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრის – თბილისის – ქართველი ინტელიგენციის მკაფიო და დინჯი მეტყველება, შეფერილი დასავლურ კილოთა ტემპისა და ინტონაციის მხრივ.¹ ეს წარმოთქმა უნდა ბატონობდეს არა მარტო სცენასა და სასწავლებლებში, არამედ დაწესებულებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ოჯახებში.

წარმოთქმის მხრივ წესის დარღვევა შეიმჩნევა, მაგალითად, კითხვითი წინადადების ინტონაციაში. შეკითხვის გადმოსაცემად ორი საშუალება აქვს ქართულ ლიტერატურულ ენას. ესაა: კითხვითი სიტყვების (ვინ? რომელი? როგორი? სადაური? რამდენი? სად? როდის? რად? რისთვის? რატომ?) ან ნაწილაკების (ხომ? ნუთუ? განა?...) გამოყენება ან წინადადების ბოლოს ხმის აწევა (ამაღლება).

თუ წინადადებაში გვაქვს კითხვითი სიტყვა ან ნაწილაკი, იგი ჩვეულებრივ წინადადების თავში დაისმის (იშვიათად კი შიგნით ან ბოლოს) და ხმის ამაღლებით წარმოითქმის: ვინ ეკითხები? რწ თქვა? რამდენი კაცი იყო? მამულო საყვარელო, შენ რისღა აყვავდები? – კითხულობდა – ილია. ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკელავეები? ნუთუ მისაღებია? ხრმ გესმის?

¹ გ. ახელედიანი, სასცენო მეტყველების ზოგიერთი საკითხისათვის: საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოაზრება, I, 1963, გვ. 5-6.

თუ კითხვითი სიტყვა არ არის წინადადებაში, მაშინ ხმის აწვეით წარმოთქმის ის სიტყვა (განსაკუთრებით მისი უკანასკნელი ხმოვანი), რომელსაც შეკითხვა ეხება და იგი წინადადების ბოლოს დაისმის; თუ შემასმენელია შეკითხვის საგანი, ისიც ჩვეულებრივ წინადადების ბოლოსაა, მაგრამ ზოგჯერ თავში ან შიგნით შეიძლება შეგეხედეს; მაგ.:

„მოშორდი და სულ აქ მარტო ხარ?“

„შენ არა ხარ ბლატიაშვილი?“ „ეერ მიმასწავლებ კუდიგორის გზას?“ (ილია). ამისდა კვალობაზე გვაქვს „გუშინ განცხადება წაიკითხე?“ (იშვიათად) შეიძლება ასედაც: „წაიკითხე გუშინ განცხადება?“ ან კიდევ: „გუშინ წაიკითხე განცხადება?“ აქ შეკითხვა ეხება წ ა ი კ ი თ ხ ე - ს. მაგრამ თუ შეკითხვის საგანი იქნება გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ა ნ გ უ შ ი ნ, მაშინ ასე ითქმის: „წაიკითხე გუშინ განცხადება?“ „განცხადება წაიკითხე გუშინ?“

ამ წესის მიმსგავსებით ხშირად კითხვითსიტყვიან წინადადებაშიც ბოლოს უწვევენ ხმას და წარმოთქვამენ: ვის ეკითხები? რა თქვა? ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები? აქ წარმოთქმის დამახინჯებაცაა და აზრობრივი შეცდომაც. ასე შეიძლება ითქვას კითხვის შებრუნების, ჩაკითხვის დროს: როცა შეკითხვის სისწორეში გვინდა დავერწმუნდეთ, კითხვას შევუბრუნებთ: ვინ თქვა? და განვაგრძობთ: ვინ თქვა და ამხანაგმა და სხვა.

მიზეზი წარმოთქმის ამ ნორმის დარღვევისა მარტო მიმსგავსება არ არის. აქ უთუოდ მოქმედებს შეკითხვის გრაფიკული ნიშანი

(კითხვითი ნიშანი), რომელთანაც ხშირად ხდება ხმის აწევა. წიგნის კითხვის დროს კითხვითი ნიშნის გაკლენით მასთან მყოფ სიტყვაზე ხმას ვამაღლებთ. ეს კი თვალსაჩინო ნიშნებია ნაწერის უკუმოქმედებისა წარმოთქმაზე.

ჩანს, უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ დაწერილის ზეგაკლენით წარმოთქმა არ დაგამახინჯოთ.

ს ე ს ხ ე ბ ა

სესხება ენის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებათაგანია.¹ არ არსებობს წმინდა ენა. ყოველი ენა მეტ-ნაკლები რაოდენობით შეიცავს სხვა ენიდან შემოსულ (ნასესხებ) სიტყვებს. რაც უნდა შეგნებულად ვიბრძოლოთ და ვეცადოთ უცხოურ სიტყვათა განდევნას, არ შეიძლება სხვა ენის ადრინდელი გაკლენის კვალი მაინც არ დარჩეს ან ახალმა ნასესხებმა სიტყვებმა არ შემოკონოს ენაში. ახალი ვითარების, ახალი კულტურის ამსახველი სიტყვები ფართოდ ვრცელდება ყველა ენაში.

სესხება ხდება ხალხთა, სახელმწიფოთა პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის დროს. ეს ურთიერთობა შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ან ძალმომრეობითი. ქართულ ენაში ხელშესახებად ასახულია ერთი-ც და მეორეც. კულტურული ურთიერთობის შედეგია ძველ ქართულში ბერძნული, სირიული ენებიდან ნასესხები (უმთავრესად რელიგიური ხასიათის) სიტყვები და გამოთქმები, ხოლო სპარსელთა, მონღოლთა, არაბთა თუ თურქთა ძალმომრეობის შედეგია სამოხელეო, საზომ-საწყაოსა

¹ ესა და ზოგი სხვა საკითხი მოკლედია გადმოცემული ჩვენს ბროშურაში „ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის“, თბილისი, 1964.

და ხარკის სახეობათა სახელწოდებანი, როგორიცაა: პიტიახში, ეჯიბი, ამირეჯიბი, სპასალარი... თადარი, ბათმანი, ოყა... ხარკი, ბეგარა, ელანი, კულუხი და სხვა მრავალი.

სესხების გზა შეიძლება იყოს სხვადასხვა: ზეპირი და წიგნური. ზეპირი გზით შემოსული სიტყვა წარმოთქმასა და მოსმენას ემყარება და ამიტომ სმენით აღქმული სიტყვა შეიძლება დამსესხებელი ენის ნორმებს დაექვემდებაროს და დასცილდეს პირველ წყაროს, ხოლო წიგნის გზით შემოსული ეყრდნობა დაწერილსა და წაკითხულს და ამის გამო განსხვავებას არ იჩენს, თუმცა შესაძლებელია წიგნური წარმოშობის უცხოური სიტყვა დროთა ვითარებაში შეიცვალოს და ზეპირის იერი მიიღოს. მაგალითად, უთუოდ წიგნურია ძველ ქართულში სახელი „სტიფანოსი, ეპისკოპოსი“..., ხოლო ზეპირი გზითაა შემოსული ან წიგნურია შეცვლილი, როცა ნახმარია „სტიფანე, ეპისკოპოსი“ და სხვ.

სესხება ხდება ჩვეულებრივ ენათა უშუალო კონტაქტის გზით ან არაპირდაპირ – სხვა ენის მეშვეობით. უკანასკნელ შემთხვევაში ნახეხები სიტყვა დაქვემდებარებულია შუამავალი ენის ნორმებს და ხშირად სახეცვლილია. არის შემთხვევები, როდესაც სიტყვა რამდენიმე ენაში გაივლის და შემდეგ სხვა სახითა და შინაარსით უბრუნდება „მშობელ“ ან შუამავალ ენას. ამის წინეული მაგალითი მოკვავს ა. შანიძეს მეცხრე საუკუნის ტექსტს დართულ გამოკვლევაში. სპარსული სიტყვა კ ი შ კ ი ქართულში დადასტურებულია IX საუკუნის ძეგლში. სპარსულიდან გადასულმა ამავე სიტყვამ თურქულში სახე იცვალა კ ე ო შ კ -ად, ხოლო აქედან ფრანგულში კ ი ო ს კ (kiosque) გახდა და ფრანგულიდან რუსული გზით ქართულში სხვა მნიშვნელობის სიტყვად დაბრუნდა киоск – კ ი ო ს კ ი. დღეს ქართულში ორი სხვადასხვა სიტყვა (კ ი შ კ ი და კ ი ო ს კ ი) ერთი და იმავე სიტყვისაგანაა მიღებული და ორივეს

ეხმარობთ. ასეთი „ნახეტილები“ სიტყვა არა ერთი და ორი მოიპოვება ენებში.

სესხებას განეკუთვნება კ ა ლ კ ი ც. კალკი ფრანგული სიტყვაა და ენათმეცნიერებაში გულისხმობს სიტყვის, უმთავრესად რთული სიტყვისა და გამოთქმის იმგვარად აგებას, როგორადაც სხვა ენაშია. მაგ.: კალკს წარმოადგენს ქართულში მრავალი სახელწოდება და ტერმინი: газоловитель – აირსაჭერი, дымоотвод – კვამლსარიანი, землечерпалка – მიწახაპია, парораспределение – ორთქლგანაწილება და ბევრი სხვა. ასეა წარმოქმნილი რუსულის მიხედვით: ავიაფოსტა, ავტოქარხანა, ანტისაბჭოთა, პარტგანათლება, პროფკავშირი და სხვა მრავალი. ასე წარმოიშვა ბერძნულის მიხედვით: ღვთისმშობელი, მთავარდიაკონი, ოქროპირი, ვერცხლის-მოყვარე და სხვ. გამოთქმათა კალკიც ბევრია: „როლს თამაშობს“, „მოხსენებას აკეთებს“...

სესხება სიტყვებისა ენიდან ენაში ყოველთვის ხდება და მომავალში უფრო მეტიცაა მოსალოდნელი. მართალი იყო ილია, როცა წერდა: „ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებითა ენას არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებს...“ ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგვარი სიტყვები... ქართული სიტყვები არ არის, მთელი კაცობრიობა კი ხმარობს... არც ჩვენთვის არის დასაძრახი, რომ ჩვენც ვიხმაროთ...“ მაგრამ სესხებას შეზღუდვა სჭირდება. როცა გ ვ ა ქ ვ ს ს ა კ უ თ ა რ ი ს ი ტ ყ ვ ა, მაშინ სესხება გაუმართლებელია.

უცხოური სიტყვა გადმოგვაქვს მაშინ, როცა საკუთარი არ მოგვეპოვება, ან ვთარგმნით, თუ ამის საჭიროება იგრძნობა მნიშვნელობის ადვილად გაგებისათვის. ამით აიხსნება, რომ არაუცხადია ეთარგმნა: აეროდრომი, ავტომობილი, კოსმონავტი, ლაურეატი, მონოპოლია, უნივერსიტეტი, ფაქულტეტი და სხვადასხვა. მაგრამ ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ი ს პარადელურად თუ

გზმარობთ წ ი გ ნ ს ა ც ა ე ს, მ ა ნ უ ს კ რ ი პ ტ ი ს გვერდით
- ხ ე ლ ნ ა წ ე რ ს, ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ა ს თ ა ნ - ხ უ
რ ო თ მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა ს... ან გვიან შემოსულ უცხოურ სიტყვას
შეეცვლით ადრე ნასესხებით. მაგ.: სარკინიგზო ტერმინს პ ლ ა ტ-
ფ ო რ მ ა ს - სიტყვით ბ ა ქ ა ნ ი, მ ე ტ ა ლ ს - ლ ი თ ო-
ნ ი თ, მ ი ნ ე რ ა ლ ს - მ ა დ ნ ი თ; ბ ა ლ ს - მ ე ჯ ლ ი-
ს ი თ და სხვა, ამით ჩვენი ენის სიმდიდრეს დავიცავთ და ენასაც
არ გავაფუჭებთ.

დიდი სიფრთხილე გვმართებს კალკის დროსაც. აქ ხშირია
ენის დამახინჯების შემთხვევები. რუსულ *налицо* -ს შესაბამისად
გავრცელდა ს ა ხ ე ზ ე ა (მაგ.: „ორმოცი კაცი სახეზეა“).
ტრიფონ ჯაფარიძის შენიშვნისა არ იყოს, კაცი სახეზე და მით
უფრო ორმოცი არ შეიძლება იყოს. ასე არასწორადაა თარგმნილი:
в основном - ძირითადადში (უნდა იყოს: ძ ი რ ი თ ა დ ა დ);
дождь идет, снег идет - წვიმა მოდის, თოვლი მოდის¹ (შეიძლება
მარტივად ითქვას: წ ე ი მ ს; თ ო ე ს; აკი ხალხურ ლექსშიც
ასეა: „თოვს, თოვს, ხოშაკლავს...“); *берегись автомобиля* -
„გაუფრთხილდით ავტომობილს“ (უნდა ვიხმართ: ე რ ი დ ე თ
ა ვ ტ ო მ ო ბ ი ლ ს) და სხვა. (ბევრი ასეთი გამოთქმა აღნიშნული
ქპონდა სილოვან ხუნდაძეს, გაირჩა გაზ. „თბილისში“ და საკმაო
რაოდენობით გასწორდა).

აქედან ჩანს, რომ უნდა ვეცადოთ - მონურად კი არ ვთარ-
გმნოთ, არამედ გადმოვცეთ ქართულის ბუნების შესაბამისად,
თანაც საჭიროების მიხედვით.

¹ ქართულადაც ითქმის, მაგრამ მის გაერცვლებას რუსული უწყობს
ხელს. საერთოდ, გამოთქმათა მსგავსება სხვადასხვა ენაში თარგმანს არ
ნიშნავს; მაგ. „სოგს ჰგონია, რომ „მშობლიური ენა“ თითქოს კალკია რუსული
გამოთქმისა „родной язык“, ნამდვილად კი ბუნებრივი ქართულია

როგორ გადმოიცენ ნასესხები სიტყვები და საკუთარი სახელები?

ნასესხებ სიტყვათა და საკუთარ სახელთა გადმოცემისას მოქმედებს ორი პრინციპი: ფონეტიკური და გრაფიკული.

პირველი (ფონეტიკური) პრინციპის თანახმად სიტყვა გადმოიცემა წარმოთქმის შესაბამისად; მაგ.: კ უ რ დ ღ ე ლ ი, ვარაუდობენ, რომ წარმოშობით არის ყურგრძელი; ადესა – ვაზის ჯიშია, იზაბელა, შემოსულია ქ. ოდესიდან; ბ უ ღ ა ლ ტ ე რ ი, წარმომდგარია სიტყვისაგან *бухгалтер*; კ ა ზ ლ ო ვ ი ს ლექსები (ნახმარია ილია ჭავჭავაძის სტატიაში), ნაცვლად კ ო ზ ლ ო ვ ი ს ა და სხე.

მეორე (გრაფიკული) პრინციპი გულისხმობს სიტყვის გადმოცემას დაწერილობის მიხედვით; მაგ.: გ ო დ უ ნ ო ვ – Годунов, ითქმის კ ი გ ა დ უ ნ ო ვ; გერმ. Heine – წერდნენ ღ ე ი ნ ე, ხ ე ი ნ ე, გ ე ი ნ ე-ს, წარმოითქმის კ ი შ ა ი ნ ე; ფრანგ. Marat – მარატ, ფრანგები წარმოთქვამენ მ ა რ ა და სხე.

ძველ ქართულში გაბატონებული იყო ფონეტიკური პრინციპი. ამიტომ ბერძნული ხ ქართულში გადმოიცემოდა ძველ და მოგვიანო პერიოდში ქ-დ წარმოთქმის მიხედვით; მაგ.: ქორონიკონი, სქემა, სტომაქი, იქედნე, პასქა, პატრიარქი... აქაია, ანტიოქია, ქრისტე, აქედან მიღებულია: ქრისტიანი, ქრისტეფორე, ქრისტინე, ქრისტესია (კუთხურ მეტყველებაში ქიტესა, ქიტიაშიელი) და სხე.

ბოლო საუკუნეებში მოქმედებდა გრაფიკული პრინციპი. ამის შესაბამისად იხმარებოდა გვარები ბ რ ო ს ე ტ ი (ფრანგულად წარმოითქმის: ბროსე), გ ე ტ ე (ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ რუსული დაწერილობის მიხედვით Гёте), ასევე რუსულის მიხედვით: ესტეტიკა, გიგიენა, გიპნოზი, გონორარი და სხვა ც ბევრი.

ზეპირი გზით შემოსული სიტყვები, რა თქმა უნდა, წარმოთქმის შესაბამისი იყო. ამიტომ იხმარებოდა: აფიცერი (აფიცარი), კამისია, იარანალი (=გენერალი) და სხვ.

ამჟამად დამკვიდრებულია ძირითადად ფონეტიკური, ზოგჯერ გრაფიკული, მაგრამ, ტრადიციის გამო, პარალელურად – ნარევი პრინციპიც: ფონეტიკურ-გრაფიკული. ფონეტიკური პრინციპის შესაბამისად ვამბობთ და ვწერთ: რ ა ი ნ ი (გერმანულად იწერება რეინ), კ ა პ ე ლ მ ა ი ს ტ ე რ ი (გერმ. Kapelmeister)... გრაფიკის (დაწერის) მიხედვით: იტალიურად იწერება Alighier, Adagio, Boccaccio, მაგრამ ითქმის და უნდა ვწეროთ: ალიგიერი, ადაჯო, ბოკაჩო... წარმოთქმისა და დაწერის მიხედვით: გოეთე (Goethe), ალფიოროვ (Алфёров), ყ ა ვ ა (სპარს. კაჰვა, არაბ. კაჰვათუნ) და სხვა.

არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ტრადიციას, როდის და საიდანაა შემოსული სიტყვა და როგორი გავრცელება პოვა მან. ნასესხები სიტყვა, თუ ეს ადრიდანვე დამკვიდრებულია და მასობრივად გამოყენებული, თუნდაც უკანონო იყოს, დარჩება ენაში. ასეთია: ფერშალი (Фельдшер), ლატარია (лотерея), კონფეტი (конфета), კაპიკი (копейка), ფარანი (Фонарь ბერძნ. ფანარიონ), აფთიაქი (ბერძნ. აპოთეკე), ხარიტონი, ხარლამპი, ვალტერ სკოტი და სხვ.

ამჟამად საკუთარ სახელთა გადმოცემის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ ფონეტიკური (და ზოგჯერ ფონეტიკურ-გრაფიკული) პრინციპით.

ა) თუ საკუთარი სახელი საერთოა ქართულთან, მას ვიხმართ ქართულის თანახმად Алексей – ალექსი, Георгий – გიორგი, Амвросий – ამბროსი, Павел – პავლე, Матвей – მათე და სხვა, მაგრამ თუ თვალსაჩინოდ დაშორებულია, მაშინ გადმოიცემა იმ ენის წარმოთქმის შესაბამისად, საიდანაც შემოდის; მაგ.: თურქული

ი ს კ ა ნ დ ე რ (=ალექსანდრე), უკრაინული მ ი კ ო ლ ა (= Николай), ფრანგული პ ო ლ (= პაელე), უ ო ზ ე ფ (= იოსები), ინგლისური დ ე ვ ი დ (= დავითი), იტალ. ჯ ო ვ ა ნ ნ ი, ფრანგ. უ ა ნ (=იოანე), ფრანგული უ ო რ ჯ, ინგლისური ჯ ო რ ჯ (=გიორგი) და სხვა.

ბ) ტრადიციით გადმოცემული უცვლელად დარჩება: ჰიუგო, ბეთჰოვენი, ნიკოლოზი, გრიგოლი... მოსკოვი და სხვ.

ბერძნული და ლათინური წარმოგავლობის სიტყვათა გადმოცემა ქართულში

ხ გადმოიცემა **ქ**-თი. ბერძნული და ლათინური **ხ** წარმოითქმოდა **ქ**-დ და ასედაც არის გადმოცემული: არქაული, სტიქიონი, ქრონიკა, ქრესტომათია... და ამათ მსგავსად წინათ რუსული გზით **ხ**-თი შემოსული სიტყვებიც **ქ**-თი ითქმის და იწერება:

ბრონქები, ბრონქიალური...

ტექნიკა, ტექნიკუმი, პოლიტექნიკური, პოლიტექნიზაცია, ტექნოლოგია...

ფსიქიკა, ფსიქოლოგია...

და ასე: ექინოკოკი, ექო, იქთიოზაერი, იქთიოლოგია, სპიროქეტა, ქოლერა (=cholera) ქორდა და სხვ.

th = თ, t = ტ

ბერძნული **თ** და ფრანგული და გერმანული **th** გადმოცემულია ქართულში **თ**-თი, ხოლო **ტ** - **ტ**-თი; მაგ.: აპათია, სიმპათია, ანტიპათია, დითირამბი, ეპითეტი, ენთუზიასტი, კათეტი... გერმ. დოროთეა...

მაგრამ : ეტიოლოგია, ტერმინი, ტერმინოლოგია და ასე: ფრანგ. ბატალიონი, კაბინეტი და სხვ.

$$h = \text{ჰ}$$

ბერძნულსა და ლათინურში, აგრეთვე გერმანულსა და ინგლისურში დაწერილი h (ჰ) ქართულში გადმოდის ჰ-თი; მაგ.: ჰიდროლოგია, ჰიბრიდი, ჰიპნოზი, ჰიპოთეზა... ჰალსტუხი, ჰოფმარშალი, ჰამბურგერი, ჰეგელი, მაგრამ რუსულში დამკვიდრებული გ ე რ ც ე ნ ი გ-დ დარსა.

$$gu = \text{კვ}$$

გერმანულ-რუსული გზით შემოსული ლათინური სიტყვების კვ გადმოცემულია უცვლელად არა მარტო სიტყვებში კვადრატი, ლიკვიდაცია, არამედ სხვა შემთხვევებშიც: ადეკვატი, ადეკვატური, აკვარელი, აკვარიუმი; ეკვივალენტი, ეკორუმი, კვანტი და სხვ. ასეა იტალიური, ფრანგული, გერმანული სიტყვების მართლწერაც: კვინტეტი, კვარცი და სხვ.

$$ks = \text{ქს}, ps = \text{ფს}$$

ქს და პს კომპლექსების შემცველი ბერძნული სიტყვები ეფარდება ქართულ ქს და ფს კომპლექსებს და ასედაც ითქმის და იწერება: ექსორია, ქსესტი, ჰექსამეტრი... ელიფსი, ფსიქოლოგია, ფსორიაზი და სხვა. ასე გადმოიცემა სხვა ენებიდან (ლათინურიდან, ინგლისურიდან, რუსულიდან...) ნასესხები სიტყვებიც: ლათინურ-ინგლისური ე ქ ს კ ა ვ ა ტ ო რ ი, ფრანგ. ე ქ ს პ ე რ ტ ი ზ ა; რუსული ქალაქი ფ ს კ ო ვ ი და სხვ.

არის შემთხვევები, რომ ქს იქცა ქართულში გზ კომპლექსად და ასედაც იხმარება სიტყვებში: ეგზამენი (უმჯობესია ვთქვათ და ვწეროთ გ ა მ ო ც დ ა), ეგზემპლარი (უფრო მისაღებია ც ა ლ ი), ე გ ზ ო ტ ი კ ა, ე გ ზ ო გ ა მ ი ა.

ასევე იქცევა აშ და აც ქართულ ბუნებრივ კომპლექსთა შესაბამისად ფშ, ფც-დ: ფ შ ი ბ ი შ ე ვ ს კ ი, ლ ა ფ შ ი ნ ი... ლ ა ი ფ ც ი გ ი, კ ო ნ ც ე ფ ც ი ა, ტ რ ა ნ ს კ რ ი ფ ც ი ა და სხვ.

გერმანული ei-ს შემცველი სიტყვები

გერმანული, რუსული და ქართული ა ხმოვნის შესწავლით გამოირკვა, რომ რუსული ა შეესატყვისება გერმანულ ა-ს, ხოლო ქართული ა – გერმანული ei დიფთონგის ა-ს. ამიტომ გერმანული ეი, რომელიც წარმოითქმის აი-დ, ზუსტად შეეფარდება ქართულ აი-ს და ასედაც უნდა გადმოიცეს (ს. ჯანაშია). ამიტომ გვაქვს: „აინშტაინი, ლაიბნიცი, ცვაიგი, ჰაინე... ვაიმარი, ლაიფციგი, რაინი... ლაიბგვარდია, რაიხსტაგი, ცაიტნოტი, მაისტერი“ და ამის შემცველი „ბალეტმაისტერი, გროსმაისტერი, კაპელმაისტერი, ქორმაისტერი“...

მაგრამ რუსული ენის ნორმებს დაქვემდებარებულ და დამკვიდრებულ გერმანული წარმოშობის სახელებსა და გვარებში ეი დარჩება: ეიზენშტეინი, ბრონშტეინი, რუბინშტეინი... პოლიცმეისტერი და სხვ.

ქონების (კუთვნილების) გამოთხატველ

სიტყვათა წარმოება

ქართულში ქონების (კუთვნილების) გამოსახატავად სხვადასხვა ბოლოსართია გამოყენებული (-იან, -ოვან, -ოსან, -იერ, -ედ და სხვ.).

ყველაზე უფრო გავრცელებულია იან. იგი დაერთვის თანხმონით ან ხმონით დასრულებულ ფუძეს.

მაგალითად: -იან ბოლოსართის დართვისას თანხმონით დასრულებული ფუძე ან უცვლელად რჩება (ცოლ- – ცოლ-იან-ი, შვილ- – შვილ-იან-ი, ხარ- – ხარ-იან-ი, ყურ- – ყურ-იან-ი...), ან ფუძის წინაგანი ხმოვანი ა თუ ე იკარგება, ხოლო ო იქცევა ვ-დ (ქმარ- – ქმრ-იან-ი, კედელ- – კედლ-იან-ი, ნიორ- – ნივრ-იან-ი...).

ამავე -იან სუფიქსის გამოყენებისას ფუძის ბოლო ხმოვანი -ა თუ -ე იკვეცება (კოკა – კოკ-იან-ი, ფხა – ფხ-იან-ი, ტყე – ტყ-იან-ი, მზე – მზ-იან-ი...)

-იან- დაბოლოების შემცველია ცნობილ ნაწარმოებთა სახელებიც: თამარიანი, ამირანდარეჯანიანი, დაყითიანი და სხვები. ეს სახელები გამოხატავენ, თუ ვის მიეძღვნა თხზულება, ვის შესახებ ან ვის მიერაა დაწერილი.

მაგრამ ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი თუ არ იკვეცება (ასეთია ზოგჯერ -ა), მაშინ ქონების სუფიქსად იხმარება -ან: კობა – კობა-ან-ი, ოთარა – ოთარა-ან-ი („ოთარაანთ ქერივი“), სოსიკა – სოსიკა-ან-ი, მესობტე შავთელის ნაწარმოები აბდულმესიანი (ა ბ დ უ ლ მ ე ე ს ი ა ნიშნავს „მესიის, ქრისტეს მონას“).

ამ უკანასკნელ წესს ექვემდებარება -ია-ზე დასრულებული სახელებიც, რომელთაც ბოლო -ა ეკვეცებათ და -ან სუფიქსი დაერთვით. ასეთია ქართულში დამკვიდრებული მაგალითი:

ჭ ი ა – ჭ ი-ან-ი (ჭიანი ვაშლი), აქედან: ჭიანობა, ჭიანდება, დაჭიანება, დაჭიანებული.

ასევე: ს ე ი ა (=ფშალა) – სვიანი („სვიანი ლუდი“: „შესვი, მინდიავე, ეტყვიან, კაი ლუდია, სვიანი“. ვაჟა)

-ოვან, -ოსან

ქონების (კუთვნილების) გამომხატველი სხვა სუფიქსებიც იწვევენ ფუძეში ცვლილებებს, კერძოდ -ოვან, -ოსან ბოლოსართების

გამოყენებისას შეიძლება ამოვარდეს ფუძის შინაგანი ა ან ე ხმოვანი ან ო გადაიტყვეს ე-დ, ხოლო ბოლოკიდური ხმოვანი -ა ან -ე მოეკეცოს; მაგ.:

-ოსან ბოლოსართის დართვისას ეიღებთ:

კალამი – კალმოსანი

მედალი – მედლოსანი (თუმცა გაბატონებულია მ ე დ ა ლ-
ო ს ა ნ ი)

ჩოხა – ჩოხოსანი, ფრთა – ფრთოსანი და სხვ.

-ოვან:

თელა – თელოვანი

კლდე – კლდოვანი

მხცე – მხცოვანი და სხვ.

ან ფუძის ვ იკარგება ხმოვანთა შორის ამ სუფიქსთა წინ:

ვეფხის ტყავი – ვეფხისტყაოსანი

პატივი – პატიოსანი, პატიოსნება

თავი – თაოსანი, თაოსნობა

შავი – შაოსანი

ნავი – ნაოსნობა და სხვ.

შდრ. (მრავალრიცხვი –) მ რ ა ე ა ლ რ ი ც ხ ო ვ ა ნ ი,
მაგრამ სხვა შემთხვევაში ფუძის თანხმოვნის მომდევნო ე
შემონახულია -ო ე ა ნ სუფიქსის წინ: ჩირგვი – ჩირგოვანი,
ძარღვი – ძარღოვანი და სხვ.

მკრეფავი თუ მკრეფი

ბოლო ხანებში მკვიდრდება თანამედროვე ქართულში უ ს-
წ ო რ ო დ ნაწარმოები მიმღეობის ფორმები, როგორიცაა:

მკრეფავი (ჩაის მკრეფავი, ყურძნის მკრეფავი)

მწველავი (მწველავი ქალი)

მწმენდავი (ფეხსაცმლის მწმენდავი)

და ამათ მსგავსად: მკენეტაეი, მხხელეტაეი, მჩხრეკაეი, მხერეტაეი და სხვებიც: მწონაეი, მხედნაეი და მისთანანი.

ეს ფორმები წარმოქმნილია -აე ბოლოსართიან ზმნათაგან ნაწარმოებ მიმღეობათა მსგავსად (ანალოგიით), როგორიცაა:

ბეჭდაე - მბეჭდაეი	ღარაე - მღარაეი
ზეერაე - მზეერაეი	ყვინთაე - მყვინთაეი
კერაე - მკერაეი	ცურაე - მცურაეი
კაზმაე - მკაზმაეი	ხერხაე - მხერხაეი და სხვ.
კეებაე - მკეებაეი	

თუ -აე სუფიქსი არ მოეპოვება ზმნას, მაშინ მისგან წარმოქმნილ მიმღეობას ან სულ არ უნდა სუფიქსი, ან დაერთვის -ელ, ზოგჯერ -არ ბოლოსართი; მაგ.:

კვეთ - მკვეთ-ი, მკვეთ-ელ-ი, მყოფადის მიმღეობაში:

საკვეთ-ი, საკვეთ-ელ-ი

კვეც - მკვეც-ელ-ი; საკვეცი, მოსაკვეცი, შესაკვეცი

ტეხ - მტეხი, გამტეხი; სატეხი, სატეხელი

ჩეხ - მჩეხი, გამჩეხი, დამჩეხი; საჩეხი

ჩენ (იჩენ) - მჩენ-ი, მჩენელი; საჩენი, საჩენელი

წერ - გადამწერ-ი, დამწერ-ი, ჩამწერ-ი, მწერ-ელ-ი;

საწერი, საწერელი და სხვ.

-აე სუფიქსი არ მოეპოვება ფუძედრეკად (ხმოვანმონაცვლე) ზმნებს, როგორიცაა: გლეჯ-ს - გლიჯ-ა, გრეხ-ს - გრიხ-ა, დრეკ-ს დრიკ-ა, დღეებ-ს - დღეიბ-ა, კრეფ-ს - კრიფ-ა, ჟლეტ-ს - ჟლიტ-ა, ჭყლეტ-ს - ჭყლიტ-ა და სხვებს. მაშასადამე, არც ერთ მათგანს არ უნდა ჰქონდეს -აე ბოლოსართი მიმღეობაშიც. ამის კვალობაზე სწორი ფორმა იქნება:

(კრეფ-ს - კრიფ-ა) - მკრეფი, მომკრეფი, მკრეფელი; საკრეფი (ჩაის მკრეფი ქალი, ჩაის საკრეფი მანქანა)

(კენეტ-ს – კენიტ-ა) – მკენეტი, მკენეტელი (რკინის მკენეტელი); საკენეტი.

(წმენდ-ს – წმინდ-ა) – მწმენდი, გამწმენდი, მწმენდელი;
საწმენდი

(ჩხელეტ-ს – ჩხელიტ-ა) – მჩხელეტი, მჩხელეტელი;
საჩხელეტი

(ჩხრეკ-ს – ჩხრიკ-ა) – მჩხრეკი, დამჩხრეკი, მჩხრეკელი;
საჩხრეკი

(ხვრეტ-ს – ხვრიტ-ა) – მხვრეტელი; დასახვრეტი

ასეა საკმაოდ ბევრი მაგალითი:

გლეჯ-ს – მგლეჯი, წამგლეჯი; საგლეჯი

გრეხ-ს – დამგრეხი; საგრეხი

დრეკ-ს – დამდრეკი; სადრეკი, მოსადრეკი

დღეებ-ს – მდღეებელი; სადღეებელი

ჟლეტ-ს – გამჟლეტი; გასაჟლეტი

წყვეტ-ს – გამწყვეტი; გასაწყვეტი

ჭვრეტ-ს – მჭვრეტი, მჭვრეტელი; საჭვრეტი

ჭყლეტ-ს – გამჭყლეტი, გამჭყლეტელი; საჭყლეტი

ზელ-ს – დამზელი, მზელელი; საზელი და სხვ.

-ავ არა აქვს აგრეთვე -ი დაბოლოებიან ზმნებს, მაშასადამე, მიმღეობაშიც არ უნდა იყოს -ავ და უნდა ეთქვათ და ეწეროთ:

წველ-ი-ს – მწველელი, გამომწველი; საწველი, საწველელი

ხედნ-ი-ს – გამხედნი, მხედნელი; სახედნი

წონ-ი-ს – ამწონი, გადამწონი; საწონი და სხვ.

ამდენად, უნდა გასწორდეს მწერლობაში ნახმარი

თ ბ ა რ ი, მ ო მ კ ე დ ა რ ი, მ ო მ ს კ დ ა რ ი, მ ო მ ტ-
 ე დ ა რ ი, მ ო მ ც დ ა რ ი, მ ო მ წ ვ ა რ ი, მ ო მ წ ე დ ა-
 რ ი, მ ო მ ჭ კ ნ ა რ ი, მ ო მ ხ დ ა რ ი, მ ო მ ხ ტ ა რ ი...
 დისიმილაციით: მ ო მ ხ რ ჩ ე ა ლ ი და სხვა. ამათ ამოსავალ
 ზმნას აქვს მო- ზმნისწინი (პრეფერბი) და მისი მოცილება ბევრგან
 შეიძლება: მ დ გ ა რ ი, მ დ ე ვ ა რ ი, მ კ ე დ ა რ ი, მ ჭ კ ნ ა-
 რ ი... ან ზმნის ფორმა მო-თი იხმარება: მომდგარი=ვინც ან რაც
 მო-ადგა, მომღვეარი=ვინც მოსდევს, მ ო მ თ ბ ა რ ი=რაც მოთბა
 და სხვა. ამათი მიმსგავსებით მ გაინდა მ ო მ ღ ი მ ა რ და
 მსგავს მაგალითებში.

აქედან ჩანს, რომ სწორი ფორმებია: მ ო ღ ი მ ა რ ი, მ ო-
 ჩ ი ნ ა რ ი, მ ო ჩ ი ვ ა რ ი (ან მ ო მ ჩ ი ვ ა ნ ი), მ ო ტ ი-
 რ ა ლ ი (=ვინც ტირის, ვინც დასტირის), მაგრამ მ ო მ ტ ი რ ა-
 ლ ი (=ვინც მო-ტირის).

მოქმედი თუ მომქმედი?

ორად ორი მიმღეობაა, რომელთაც აწარმოებს მო- პრეფიქსი
 და -ედ სუფიქსი: ერთია მ ო ქ მ ე დ ი და მეორეა მ ო რ ბ ე დ ი.
 ამათგან პირველს ჩაერთო მიმღეობათა ანალოგიით მ და წარმოიშვა
 უკანონო ფორმა მ ო მ ქ მ ე დ ი. მაგრამ როგორც არ ითქმის
 მ ო მ რ ბ ე დ ი, ისევე არ შეიძლება ვთქვათ მ ო მ ქ მ ე დ ი,
 ერთადერთი მართებული და ძველიდანვე გავრცელებული ფორმაა
 მო-ქმედი. აქედანაა წარმოქმნილი: მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, მ ო ქ მ ე-
 დ ე ბ ი თ ი, ს ა მ ო ქ მ ე დ ო, უ მ ო ქ მ ე დ ო, უ მ ო ქ მ ე-
 დ ო ბ ა... ეს ნაწარმოები სახელებიც ნათლად გვიჩვენებენ, რომ
 მ ო მ ქ მ ე დ ი შეუძლებელია გამოიყენოთ, თორემ გვეჩვენებოდა მ ო მ-
 ქ მ ე დ ე ბ ა, ს ა მ ო მ ქ მ ე დ ო, რაც არსად არ გვხვდება.

აღსანიშნავია, რომ უახლეს ქართულში მო- გაიგეს ზმნისწინად

და მისი ჩამოცილებით შექმნეს ტერმინები: ქ მ ე დ ი თ ი, ქ მ ე დ ი თ ო ბ ა, ქ მ ე დ ო ბ ა (ქ მ ე დ ო ბ ს). მართალია, ეს ტერმინები არაა კანონიერად ნაწარმოები, მაგრამ იმდენად მოიკიდეს ფეხი, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლა ამას გამოვსა.

მხოლოობითი თუ მხოლობითი?

სახელთა გრამატიკული რიცხვის კატეგორიის გამოსახატავად იხმარება ორი ტერმინი: მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ ი და მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი. მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ შ ი ო რ ი ო გამართლებულია იმით, რომ ერთი ო ამოსავალი ფუძისაა, მეორე ო კი -ობა სუფიქსისა. ასეა წარმოქმნილი სხვა სახელებიც:

მარტო - მ ა რ ტ ო ო ბ ა, უცხო - უ ც ხ ო ო ბ ა, კალო - კ ა ლ ო ო ბ ა, კერძო - კ ე რ ძ ო ო ბ ა (აქედან კ ე რ ძ ო ბ ი თ ი), გოგო - გ ო გ ო ო ბ ა („გოგოობა და ბიჭობა“ = გოგო-ბიჭები)...

შესაძლებელია პრეფიქსთან ერთად -ო სუფიქსი დაერთოს და ორი ო გვექნეს: უცხო - ს ა უ ც ხ ო ო, ბოლო - ს ა ბ ო ლ ო ო, უ ბ ო ლ ო ო -დ. მაშასადამე, საესებით კანონზომიერად არის ნაწარმოები მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ ი, რომელსაც ჩვენი გრამატიკოსები იყენებდნენ ტერმინად (ს. დოდაშვილი - 1830 წ., პლ. იოსელიანი - 1840 წ., დიმ. ყიფიანი - 1882 წ., თ. ჟორდანიანი - 1889 წ. და სხვები) ბოლო ხანებამდის.

უკანასკნელ, აკაკი შანიძემ შემოიღო მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი ს მიმსგავსებით ფორმა მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ ი (ერთი ო-თი). დღეს ეს ფორმა (მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ ი და მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი) ორივე ხმარებაშია და არ იცის კაცმა, რომელი მათგანი დამკვიდრდება საბოლოოდ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი ფორმა ჯერ კიდევ

წმინდა გრიშობა და გ) სუფთა (წმინდა სამოსელი). უკანასკნელი მნიშვნელობა (სუფთა) დღესაც შემონახულია სიტყვებში: გაწმენდა, გადაწმენდა, დაწმენდა და გამოთქმებში: იატაკის გაწმენდა, ყვესხაცმლის (ტანისამოსის) გაწმენდა, იარაღის გაწმენდა, ეზოს (გზის, ყანის, მიწის) გაწმენდა... ფეხსაცმლის მწმენდელი (და არა მწმენდავი), დაგვილ-დაწმენდილი, დაწმენდილ-დარეცხილი, დაწმენდილ-დასუფთავებული და სხვ.

მოგვიანებით შემოვიდა იმავე მნიშვნელობის სიტყვა ს უ ფ თ ა. ვარაუდია, რომ იგი სპარსულიდანაა ნასესხები. ძველ ქართულსა (IX-X საუკუნის სახარებაში) და „ვეფხისტყაოსანში“ ეს სიტყვა არ იხმარება. იქ ყველგან წ მ ი დ ა გეხედება. შემოსული სიტყვა რომ დამკვიდრებულიყო ენაში, მას მანამდე არსებული სიტყვა უნდა ამოეგდო, დაეკარგა, ან მნიშვნელობაში ცვლილება უნდა შეეტანა. ასედაც მოხდა: ორივე სიტყვა დარჩა ხმარებაში, მაგრამ მნიშვნელობაში თვალსაჩინო სხვაობა განჩნდა. ეს განსხვავება კარგად აქვს აღნიშნული სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში. მისი ახსნით წ მ ი ნ დ ა შეიძლება იყოს ნაკურთხი პური, ღვინო, წყალი, ზეთი, კურთხევით გაწმენდილი ადამიანი, მაგრამ ს უ ფ თ ა ითქმის იმაზე, რაც განიბანება ან გაირეცხება (სამოსელი, ჭურჭელი).

აქედან ჩანს, რომ ს უ ფ თ ა ა, რაც არაა ბინძური, ჭუჭყიანი, რასაც მტვერი, ტალახი, ჭუჭყი, ქონი, ჟანგი და მსგავსი რამ არა აქვს და, თუ აქვს, ბანით, რეცხვით, წმენდით მოსცილდება, ჰიგიენური საშუალებით მოწმორდება.

წ მ ი ნ დ ა ა „უცოდველი“, ფაქიზი, შეურეველი, შეურყენელი, კამკამა, დარკვეული, დარჩეული; მაგალითად, შეიძლება იყოს წ მ ი ნ დ ა ა დ ა მ ი ა ნ ი (ზნით ქცევით, საქმიანობით), წ მ ი ნ დ ა დ გ ი ლ ი (ნაკურთხი, სალოცავი ადგილი), წ მ ი ნ დ ა (შეურეველი) დ ვ ი ნ ო, წმინდა სანთელი, წმინდა (კ ა მ კ ა მ ა) წყალი, წმინდა გრიშობა და სხვადასხვა.

მიხატვრული ლიტერატურისა და პრესის ენაში, სამწუხაროდ, ეს ორი განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვა არეულია. შეიძლება მეტიც ითქვას, ეკარგავთ ქართულ სიტყვას **წ მ ი ნ დ ა ს** და ვამკვიდრებთ, ვაბატონებთ გვიან შემოსულ, ნასესხებ სიტყვას **ს უ ფ თ ა ს**. ამის გამო უკანასკნელს ვხმარობთ შეუფერებლად, უადგილოდ. საამისო ნიმუშები ბლომად მოიპოვება ლექსებსა და მოთხრობებში, პრესაში: „საქართველოს სუფთა ზეცა“; „ხმა რაკრაკა, სუფთა, ტკბილი“; „სამშობლო... მორთული და სუფთა გეკონდეს“; „სუფთა ქცევამ ყველა შეარიგა“, „სცენაზე ისმოდა სუფთა და გამართული ლიტერატურული ენა“; „იმატა სუფთა გამარჯვებათა რიცხვმა“; „მიხა... სუფთა ქცევისაა და მარტივ ცხოვრებას მისდევს“; „სუფთა გრძნობა“ და სხვა მრავალი.

ეს არევა გამოწვეულია იმითაც, რომ ორივე სიტყვა რუსულად აღნიშნავს **чистый-ს** და თარგმნიან უმეტესად **ს უ ფ თ ა დ**: **чистый вес** სუფთა წონა, **чистая победа** სუფთა გამარჯვება და სხვა.

არის შემთხვევები, როცა ორივე სიტყვა მსახლვრელად პარალელურად შეიძლება ვიხმაროთ, მაგრამ არა ერთმანეთის მონაცვლედ, არამედ თავისი განსხვავებული მნიშვნელობით: „სუფთად შენახული ეზო-ყურე“ და „წმინდად შენახული ზნე-ჩვეულება“; „სუფთა ადამიანი“ და „წმინდა ადამიანი“; „სუფთა წყალი“ და „წმინდა წყალი“ და სხვ.

ამისდა მიხედვით სწორი, მართებული გამოთქმა იქნება:
 წმინდა აბრეშუმის ძაფი, წმინდა ადგილი, წმინდა ალაგი
 წმინდა გამარჯვება, წმინდა გრძნობა, წმინდა გული
 წმინდა ენა, წმინდა ქართული ენა
 წმინდა მოგება, წმინდა მოვალეობა
 წმინდა პედაგოგიური მოქმედება

წმინდა სავანე, წმინდა სავარცხელი, წმინდა სანთელი, წმინდა
საქმე, წმინდა სიყვარული, წმინდა სული

წმინდა ტაძარი, წმინდა ფიცი

წმინდა შალი, წმინდა ძაფი

წმინდა წონა, წმინდა წყარო, წმინდა ხმა და სხვა მრავალი.

მაგრამ:

სუფთა ბოსელი, სუფთა ეზო

სუფთა ზეწარი, სუფთა ლოგინი, სუფთა ქვეშაგები

სუფთა ოთახი, სუფთა სახლი

სუფთა პერანგი, სუფთა საცვლები

სუფთა ტანისამოსი (სუფთა ფეხსაცმელი, წალი, ჩექმები), სუფთა
წინსაფარი.

სუფთა ტანი, სუფთა ხელი (თითი)

სუფთა ქაღალდი, სუფთა წერა

სუფთა ჩაცმა-დახურვა

სუფთა ჭურჭელი (ჭიქა, თეფში, დანა-ჩანგალი...) და სხვა.

მაშასადამე, წმინდა იხმარება ფაქიზი გრძნობის, კეთილი
მორალური თვისების, შეურყენელის, შეურეველის აღსანიშნავად,
ხოლო სუფთა – უჭუჭყოს, არაბინძურის, გაბანილის, გარეცხილის,
გაწმენდილის გამოსახატავად. ამიტომ გასაგებია, რატომ არ
შეიძლება ითქვას: სუფთა გრძნობა, სუფთა გამარჯვება, სუფთა
სიყვარული, სუფთა სიმღერა და სხვ.

რიცხვითი სახელის მართლწერა

წარმოთქმისა და წერის მხრივ სადავოა ერთი ნაწილი
რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელებისა.

კომისიამ მიიღო შემდეგი წესები:

თხუთმეტი

ოცამდე თელისას თ ხ უ თ მ ე ტ ი წარმოითქმის სამი სახით: „თხუთმეტი, ხუთმეტი, თუთხმეტი“. ამათგან სწორია მხოლოდ „თ ხ უ თ მ ე ტ ი და ასედაც უნდა ვთქვათ და ვწეროთ. იგი მიღებულია ა თ-ისა და ხ უ თ მ ე ტ-ისაგან, როგორც სხვა რიცხვითი სახელი ა თ ი დ ა ნ თ ე რ ა მ ე ტ ა მ დ ე, ოღონდ ა თ-ის ა დაკარგულია და დარჩენილია მარტო თ: თ-ერთ-მეტი (წარმოდგა ათ-ერთ-მეტი-საგან), თ-ორ-მეტი, თ-ოთხ-მეტი, მაშასადამე, თ-ხუთ-მეტი. მისი გამოყენება ამ სახით სავალდებულოა.

და კავშირიანი რიცხვითი სახელები

ერთად დაიწერება და კავშირით შეერთებული რიცხვითი სახელები ო ც ი დ ა ნ შემდგომ ო ც ა მ დ ე. ოცეულთა ფუძეს და კავშირით ერთვის ერთეული ან ათეულ-ერთეული: „ოცდაერთი, ოცდაორი, ოცდასამი... ოცდაათი, ოცდათერთმეტი, ოცდათორმეტი... ორმოცდაერთი, ორმოცდახუთი, ორმოცდათხუთმეტი... სამოცდაერთი, სამოცდაცხრა, სამოცდათურამეტი... ოთხმოცდაერთი, ოთხმოცდაათი, ოთხმოცდაცხრამეტი“ და სხვ.

ათასთან რიცხვის ხმარება

ა თ ა ს თ ა ნ ნახმარი რაოდენობითი რიცხვითი სახელი უცვლელად რჩება სახელობით ბრუნვაში, ხოლო ა თ ა ს ი იცვლება საზღვრულთან ერთად ბრუნვაში:

ოთხი ათასი მეგრძოლი
ოთხი ათასმა მეგრძოლმა
ოთხი ათას მეგრძოლს
ოთხი ათას მეგრძოლად

და, ცხადია, ოთხი ათასი მეგრძოლის

ოთხი ათასი მეტრძოლით

და ასე: სამი ათასმა სტუდენტმა, ხუთი ათას მოსწავლეს, შეიდი ათას მანეთად, ათი ათასი საქმის და სხვა, იწერება ცალ-ცალკე მაგრამ მ ი ლ ი ო ნ და მ ი ლ ი ა რ დ თ ა ნ ერთად როდენობითი რიცხვითი სახელი იცვლება ბრუნვებში საზღვრულთან შეთანხმებით; მაგ.:

სამი მილიონი მცხოვრები

სამმა მილიონმა მცხოვრებმა

სამ მილიონ მცხოვრებს

სამი მილიონი მცხოვრების

სამ მილიონ მცხოვრებად

სამი მილიონი მცხოვრებით

და ასეა: ორმა მილიარდმა კაცმა, ოთხ მილიარდ მანეთს, ხუთ მილიარდ მანეთად, ექვსი მილიარდი მანეთის, შეიდი მილიარდი მანეთით.

ორზე მეტი წევრის შემცველი რიცხვითი სახელი

ხშირია, როცა რთული რიცხვითი სახელები შეიცავს ორ, სამ, ოთხ, ხუთ ან ექვს წევრს, მაშინ ა ს ი, ორასი, სამასი, ოთხასი, ხუთასი, ექვსასი, შეიდასი, რვაასი, ცხრაასი, ა თ ა ს ი, მ ი ლ ი ო ნ ი და მ ი ლ ი ა რ დ ი ფუძის სახით გვევლინება, თუ არსებითი სახელის ან ა თ ა ს ი ს წინ არ დგას, და ყველა წევრი იწერება ცალ-ცალკე; მაგ.:

ას ერთი კაცი, ას ორი კაცი... ორას ერთი კაცი, ორას სამი კაცი, ხუთას ათი კაცი, შეიდას თხუთმეტი კაცი, ცხრაას ოთხმოცდათურამეტი კაცი და სხვ.

ათას ერთი ღამე, ათას ორი ღამე, ათას სამოცდაცხრამეტი

დღე... ხუთი ათას შვიდასი მოსწავლე, თხუთმეტი ათას რეაას ოცდაცხრამეტი მანეთი და სხე.

ხუთი მილიონ ხუთასი ათას ხუთას ორმოცდათხუთმეტი მოსახლე... ერთი მილიარდ ათი მილიონ თერთმეტი ათას ოთხას ათი მანეთი და სხვა.

ბრუნების დროს მხოლოდ უკანასკნელი ეთანხმება საზღვრულ სახელს და გვაქვს:

ორას ერთმა კაცმა, ორას სამოცდაათ ბავშვს...

ათას ერთმა ღამემ... ხუთი ათას შვიდას ათმა მოსწავლემ ხუთი მილიონ ხუთი ათას ხუთას ორმოცდაათმა მოსწავლემ ათი მილიარდ ათი მილიონ ორასი ათას ხუთას ორმოც მანეთს და სხე.

არის შემთხვევები, როცა რთულ რიცხვით სახელებს ერთად წერენ იმის გამო, რომ რომელიმე წვერი ფუძის ან სახელობითი ბრუნვის სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ ასე ერთად დაწერილის წაკითხვა შეუძლებელია, თუნდაც ამისა: ოთხასათასსამოცდაცხრამეტი.

ტრადიციის თანახმად მიღებულია მათი ცლ-ცალკე წერა და ჩვენც ეს წესი უნდა დავიცვათ.

რიგობითი რიცხვითი სახელი

რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობითისაგან მე-ე აფიქსების მეშვეობით, ო რ ი დ ა ნ ო ც ა მ დ ე, აგრეთვე ო რ მ ო ც ს, ს ა მ ო ც ს, ო თ ხ მ ო ც ს, ა ს ს, ო რ ა ს ს, ს ა მ ა ს ს, ო თ ხ ა ს ს, ხ უ თ ა ს ს, ე ქ ვ ს ა ს ს, შ ვ ი დ ა ს ს, რ ვ ა ა ს ს, ც ხ რ ა ა ს ს, ა თ ა ს ს მე-თავეში და -ე ბოლოში დაერთვის: მეორე, მეცამეტე, მეცხრამეტე, მეოცე... მეორმოცე,

მესამოცე, მეოთხმოცე, მეასე, მეორასე, მეათასე, ოღონდ მ ე ე რ-
თ ე ცალკე არ იხმარება, მას ცვლის პ ი რ ვ ე ლ ი;

ო ც ი ს შემდეგ მე- დაერთვის ერთეულსა და ათ-ერთეულს
და იწერება ერთად: ოცდამეერთე, ოცდამეორე, ოცდამეთვრამეტე...
ორმოცდამეერთე, ორმოცდამეთექვსმეტე... ოთხმოცდამეერთე,
ოთხმოცდამეცხრამეტე...

ა ს ი ს ა და ა თ ა ს ი ს შემდეგ მე- ისევე ერთეულსა და ათ-
ერთეულს ახლავს და იწერება ასი და ათასი ცალკე; მაგ.:

ას მეერთე, ას მეათე, ხუთას სამოცდამეთერთმეტე...

ათას მეერთე, ხუთი ათას სამას ორმოცდამეშვიდე და სხვ.

რიგობითი რიცხვითი სახელი თუ რომაული ციფრებით
დაიწერა, მაშინ მე- თავსართისა და -ე ბოლოსართის აღნიშვნა
არაა საჭირო.

X (მეათე), XV (მეთხუთმეტე), XXVIII (ოცდამეერე), GLXV (ას
სამოცდამეხუთე) და სხვ.

თუ არაბული ციფრებით დაიწერა, მაშინ მე- თავსართი
დაერთვის ო რ ი დ ა ნ ო ც ა მ დ ე, ო რ მ ო ც ს, ს ა მ ო ც ს,
ო თ ხ მ ო ც ს, ა ს ს და გვექნება: მე-2, მე-10, მე-19, მე-20, მე-40,
მე-60, მე-80, მე-100, მაგრამ თუ რთული რიცხვითი სახელია, მაშინ
- ე სუფიქსი მიეწერება ერთეულსა და ათ-ერთეულს: 21-ე
(ოცდამეერთე), 30-ე (ოცდამეათე), 35-ე (ოცდამეთხუთმეტე), 67-ე
(სამოცდამეშვიდე), 198-ე (ას ოთხმოცდამეთვრამეტე) და სხვ.

პ ი რ ვ ე ლ ი იწერება ასოებით (პ ი რ ვ ე ლ ი), ან
რომაული ციფრით ანდა არაბული ციფრით -ლი-ს დართვით: 1-ლი.

რიცხვით სახელთან არსებითი სახელი ჩვეულებრივ იხმა-
რება მხოლოდით რიცხვში: სამი ძმა, ცხრა ძმა, ასი ბავშვი,
ათასი მოსწავლე, ათას ერთი დამე, ორმოცდათორმეტი კვირა,
სამას სამოცდაექვსი დღე და სხვა მრავალი.

მაგრამ თუ სახელი ძველი ქართულისებრ ნარ-თანით არის

ნაწარმოები მრავლობითში, მაშინ რიცხვითი სახელი მას ეთანხმება; მაგ.: „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „ცხრანი ძმანი ხერხეულიძენი“ და სხვ.

ზმნის სადავო საკითხები

ზმნა (პირებში ცვალებადი სიტყვა) ყველაზე უფრო რთული ნაწილია ქართული გრამატიკისა. ამიტომ მისი უღველილებისას ბევრი სადავო საკითხი ჩნდება. ჩვენ აქ განვიხილავთ მხოლოდ რამდენიმეს და იმასაც ძალიან მოკლედ.

-ავ სუფიქსიანი ზმნები

სახელისაგან ზმნის საწარმოებლად სხვა ბოლოსართების (-ებ, -ეფ, -ობ...) გვერდით გამოყენებულია -ავ სუფიქსი. იგი დაერთვის სახელის ფუძეს და მიიღება ზმნა:

ბარ – ბარავ, დაღ – დაღავ, კეტ – კეტავ, მურ – მურავ, ცულ – ცულავ, ხარჯ – ხარჯავ...

თუ სახელი ბრუნების დროს იკუმშება (ხმოვანს კარგავს) ან ბოლოკიდურ -ა თუ -ე ხმოვანს იკეცს, იგივე მეორდება -ავ ბოლოსართის გამოყენებისას; მაგ.:

წამალ (წამლ-ისა) – წამლავ

ნომერ (ნომრ-ისა) – ნომრავ

ფურცელ (ფურცლ-ისა) – ფურცლავ

ზომა (ზომ-ისა) – ზომავ

სეტყვა (სეტყვ-ისა) – სეტყვავ

ღობე (ღობ-ისა) – ღობავ და სხვ.

ბევრია ზმნა, რომელთა წარმოშობა სახელისაგან არა ჩანს, მაგრამ -ავ დაბოლოება ძველიდანვე მოეპოვება; ასეთებია: დაგავ, თქსავ, კიცხავ, კლავ, ღოცავ, იმარხავ, წვაფ, ხნავ და სხვა მრავალი.

მოგვიანებით -ავ დაერთო ისეთ ზმნებსაც, რომელთაც იგი არა აქონდა და შემდეგ დამკვიდრდა ენაში; მაგ.: ძველ ქართულში იყო: მოს-ს, რეკ-ს, ხოც-ს, ახალშია: მოსაგ-ს, რეკავ-ს, ხოცავ-ს და სხვ.

საშუალ და ახალ ქართულში სხვა ზმნათა დამსგავსებით (ანალოგიით) -ავ გაჩნდა იმ ფორმებშიც, სადაც ის არ იყო, და ამჟამად ორივე ფორმა შეიძლება შეგვხედეს ენაში. ასეთი პარალელური ზმნებია: „კეც და კეცავ, ჩეხ და ჩეხავ, ჭედ და ჭედავ“ და სხვა და გიჭირს კაცს იცოდე, რომელი მათგანია მართებული და სახმარად სავალდებულო.

უფრო რთული მდგომარეობაა, როცა ერთსა და იმავე ზმნას სამი ფორმა აქვს; მაგ.: „გრეხ-ს, გრეხავ-ს და გრიხავ-ს; კრეფ-ს, კრეფავ-ს და კრიფავ-ს; ხერეპ-ს, ხერეპავ-ს და ხერიპავ-ს“ და სხვა.

აღსანიშნავი ისიცაა, რომ ეს ნაირ-ნაირი ფორმა შეგვხედება როგორც სხვადასხვა მწერლის, ისე ერთისა და იმავე ავტორის ნაწერებში. აი თუნდაც ვაჟას თხზულებებში: ჰგლეჯდა და ჰგლეჯავს (1899 წლის გამოცემაში); სწმენდ-და (ილია), წმენდავ-ს (მიხ. ჯავახიშვილი) და იწმენდავ-და (დავ. კლდიაშვილი) და სხვ.

ასეთ ვითარებაში ბუნებრივია დაიბადოს საკითხი, რომელი მათგანია სწორი და ლიტერატურულ ენაში დასამკვიდრებელი. - ავ სუფიქსიანთა უმეტესობა მყარია და დაეას არ იწვევს. ასეთია ყველა ზმნა, რომელთაგან -ავ სუფიქსის მოცილება არ შეიძლება; მაგ.: ბარავ, ბეჭდავ, ზოგავ, კალავ, ნახავ, ჩარხავ, ხატავ, ხედავ, ხიბლავ და მისთანანი. მაგრამ არის ზმნები, რომელთაც ხმარობენ -ავ სუფიქსითაც და მის გარეშეც; მაგ.: „კეც-ს და კეცავ-ს, რეცხ-ს და რეცხავ-ს, ჩეჩ-ს და ჩეჩავ-ს, წნეხს და წნეხავ-ს, ხეთქ-ს და ხეთქავ-ს, ხეეტ-ს და ხეეტავ-ს და სხვ.

-ავ სუფიქსის ხმარების წესები ასეთია:

1. -ავ რჩება უცვლელად ახლანდელისა (აწმყოსა) და მომავლის (მყოფადის) დროებში და მათგან ნაწარმოებ ფორმებში (ეს -ავ ზმნის აწმყოს ფუძის განუყრელი ნაწილია).

აწმყოში (რას შერება?): ბარაე-ს, მალაე-ს, ხნაე-ს...

ნამყო უწყვეტელში (რას შერებოდა?): ბარაე-და, მალაე-და, ხნაე-და...

კავშირებითში (რას შერებოდეს?): ბარაე-დეს, მალაე-დეს, ხნაე-დეს...

მყოფადში (რას იზამს?): დაბარაე-ს, დამალაე-ს, მოხნაე-ს...

ხოლმეობითში(რას იზამდა?): დაბარაე-და, დამალაე-და, მოხნაე-და...

კავშირებითში (რას იზამდეს?): დაბარაე-დეს, დამალაე-დეს, მოხნაე-დეს...

შ ე ნ ი შ ე ნ ა. ზოგიერთ დიალექტში (კუთხურ მეტყველებაში) -ავ შეცვლილია -ამ სახით: ბარამ-ს, მალამ-ს..., ხოლო ნამყო უწყვეტელში ზოგან -ევ სუფიქსითაა წარმოდგენილი, ზოგან კიდევ -გი-ნიშნებით: ბარეე-და, თელეე-და... ბარვიდა, კლვიდა... თანამედროვე ლიტერატურულ ენაში ასეთი ფორმები მიუღებელია.

2. ეგევე -ავ იხმარება თურმეობითში (რა უქნია?): უბარაე-ს, დაუბარაე-ს; უმალაე-ს, დაუმალაე-ს; უხნაე-ს, მოუხნაე-ს...

-ავ ბოლოსართივე რჩება I და II პირთა ფორმებშიც: მე მას დაეუმალაეარ, შენ მას დაეუმალაეხარ; მე შენ დაგიმალაეარ, შენ მე დამიმალაეხარ და ა. შ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა. აქაც -ავ უცვლელია ყველა პირში. მაშასადამე, ზოგიერთ კუთხეში ნახმარი -ავ სუფიქსის ნაცვლად -ამ (დამი-ბარამს, დაუბარამს...), ან I და II პირში -გი ან -ი (დაეუმალიეარ ან დაეუმალიეარ... მინახვიხარ ან მინახიხარ, გინახვიეარ ან

გინახივარ...) ან III პირში -ი-ა (დაუბარ-ი-ა, უნახ-ი-ა...) ლიტერატურული არ არის და არც უნდა გამოვიყენოთ.

3. -ავ არ შეიძლება დაერთოს ხმოვანმონაცველ (ფუძედრეკად) ზმნებს, ე.ი. ისეთ ზმნებს, რომელთაც აწმყოში ე აქვთ და ნამყო წყვეტილში (კითხვაზე რა ქნა?) -ი: გრეხ-ს – გრიხ-ა, ცვეთს – ცვით-ა, წმენდ-ს – წმინდ-ა...

მაშასადამე, უნდა ვთქვათ და ვწეროთ: გლეჯ-ს, გლეჯ-და, გლეჯ-დეს; დაგლეჯ-ს, დაგლეჯ-და, დაგლეჯ-დეს; დაუგლეჯ-ია; დაგლეჯ-ა.

წმენდ-ს, წმენდ-და, წმენდ-დეს; გაწმენდ-ს, გაწმენდ-და, გაწმენდ-დეს; გაუწმენდ-ია; გაწმენდ-ა.

და ასეა ყველა ფუძედრეკადი ზმნა: გლეს-ს, დრეკ-ს, კენეტ-ს, კმენდ-ს, ფშეკ-ს, ფხეკ-ს, ჩხრეკ-ს, ხერეკ-ს და სხვა ბევრი.

4. თუ ფუძედრეკადმა ზმნამ დაირთო -ავ, მაშინ აწმყოში ე-ს ნაცვლად იქნება -ი: ი ჭ ე რ - ს, მაგრამ: იჭირავ-ს, დაიჭირავ-ს („კრიჭი, კრიჭი კრიჭინასა, მკედარი ცოცხალს იჭირავსა“ – გამოცანა).

კრეფ-ს – კრიფავ-ს, კრებს – კრიბავ-ს და სხვა. მაგრამ სავალდებულოა ასეთი ფუძედრეკადი ზმნები დარჩეს უსუფიქსოდ. თუ ასეთი -ავ ბოლოსართიანი ფორმა განმტკიცებულია და ენაში დამკვიდრებული, იგი დარჩება. ასეთებია: ბზინავ-ს, ბრწყინავ-ს, ხვრინავ-ს და სხვა. შეიძლება იყოს პარალელური ფორმებიც: ფრენ-ს და ფრინავ-ს, ქშენ-ს და ქშინავ-ს, ღრენ-ს და ღრინავ-ს...

5. ერთი წყება პარალელურ ფორმათა მქონე ზმნებისა იმისდა მიხედვით, როგორია მათი გავრცელებულობა, ხმარების სიხშირე და განვითარების ტენდენცია, იყოფა ორად: ერთია -ავ სუფიქსიანი და მეორეა უსუფიქსო.

ა) -ავ სუფიქსით უნდა ვიხმაროთ: ბერტყავს, რეკავს, კეცავს, რეცხავს, წეწავს, წვეთავს, ჭედავს და სხვ.

ბ) უსუფიქსოდ უნდა ვიხმაროთ: კვეთს, კვეცს, ჩეხს, ჭექს, ხეთქს, იჩეჩს, იხვეჭს, ხვეწს და სხვ.

6. ავ ბოლოსართიან ზმნათაგან იწარმოება ს ა წ ყ ი ს ი ფ ო რ მ ა (მ ა ს დ ა რ ი) -ა ნიშნის დართვით და დაბოლოებად მოუდით -ჭა: ბარავ – ბარვა, თიბავ – თიბვა, ლესავ – ლესვა, ლეწავ – ლეწვა, ფეთქავ – ფეთქვა, ქექავ – ქექვა, წეწავ – წეწვა და სხვები, ხოლო უსუფიქსოებს მხოლოდ -ა აქვთ: ტეხ – ტეხა, ყეფ – ყეფა, წერ – წერა, ხეთქ – ხეთქა და მისთანანი.

თავისებურია ამ მხრივ ორი ზმნა: აწმყოში მოეპოვება -ავ, ხოლო საწყისში -ა: კ ე ე ბ ა ვ, მაგრამ კ ე ე ბ - ა, წ ვ ე თ ა ვ - ს, მაგრამ წ ვ ე თ - ა.

7. -ავ ბოლოსართის ვ შენახულია შუალობითი გზის (კაუზატივის, принудительный-ს) -ინ ნიშნის წინ: ბეჭდავს – აბეჭდვინებს, დააბეჭდვინა.

მაღავს – ამაღვინებს, დაამაღვინა

ფანტავს – აფანტვინებს, გააფანტვინა

ხაზავს – ახაზვინებს, დაახაზვინა და სხვ.

ამგვარი ფორმები ლიტერატურულია და ამიტომ არ უნდა ვიხმაროთ „ამაღვინებს, ახაზვინებს, ახარჯვინებს, აცვლვინებს, აკითხვინებს“ და სხვა მისთანა. მართალია, გვხვდება და გავრცელებულიცაა უფინო მაგალითები, როგორიცაა: „ათესვინებს, ამოსვინებს, არეცხვინებს, ახეხვინებს, ახოცვინებს“ და ზოგი სხვა, მაგრამ ეს გადმონაშთია იმ დროისა, როდესაც ამოსავალი ზმნები -ავ სუფიქსის გარეშე იხმარებოდა და ზოგ დიალექტში ახლაც იხმარება: „თეს-ს, ხოც-ს“ (ხევსურულში), „მოს-ს, რეკ-ს“ (ძველ ქართულში) და სხვა. ამჟამად ამ ზმნებსაც -ავ სუფიქსით ვიყენებთ და ამდენად კაუზატივის ფორმათა უნიფიკაციის გამო ვ უნდა დაეტოვოთ. მაშასადამე, გვექნება „აბარვინებს, აკითხვინებს, ამაღვინებს, ალოცვინებს“ და მისთანათა გვერდით: „ათესვინებს, აკერე-

ვინებს, არეკვინებს, არეცხვინებს, ახეხვინებს“ და სხვები. ამით დაცული იქნება ერთგვარობა.

8. იმავე -ავ სუფიქსის ვ ელემენტი დაცულია ახლად ნაწარმოებ მოქმედებითი გეარის ზმნებში:

ღელავს – აღელვებს, ააღელვა, ააღელვოს

ნახავს – ანახევებს, დაანახვა, დაანახვოს

ამათ მოსდევს: აკვირვებს, აჭირვებს, უქარვებს... მაგრამ ზოგ ზმნას ვ დაცული არა აქვს:

ბრუნავს – აბრუნებს; შებრუნებული...

ბრწყინავს – აბრწყინებს; გაბრწყინებული...

გორავს – აგორებს;

ცურავს – აცურებს და სხვ.

ამათი ტიპისაა: „უგულებელყოფს; უგულებელყოფილი, საგულებელი“ (თუმცა ეს ფორმები ვ ელემენტითაც გვხვდება: „უგულებელყოფს, საგულებელი, ასევე: „გაბრწყინებელი“, მაგრამ უპირატესობა უ-ვ=ინო მაგალითებს აქვს მინიჭებული).

9. თანამედროვე ქართულში -ავ სუფიქსი -ა ხმოვანს არ კარგავს აწმყოსა და მყოფადის III პირის მრავლობით რიცხვში: თესავენ, კრძალავენ, ლოცავენ, ნახავენ, ხედავენ... (და არა; თესვენ, ნახვენ, ხედევენ და სხვა, როგორც ეს ძველ ქართულში იყო და ახლაც ზოგიერთ კილოშია).

-ამ სუფიქსიანი ზმნები

რაც ითქვა -ავ ბოლოსართზე, იგივე განმეორდება -ამ სუფიქსზედაც. -ამ გეხვდება ზემოთ დასახელებულ დროებში უცვლელად, საწყისში კი აქვს დაბოლოებად -მა; მაგ.:

აბამ: აბამ-და, აბამ-დეს; დააბამ: დააბამ-და, დააბამ-დეს; დაუბამ-ს; დაგიბამვარ, დამიბამხარ, დავუბამვარ...; დაბმა.

და ასე: დგამ-ს, აღუთქვამ-ს, ირტყამ-ს, სვამ-ს, აღიქვამ-ს, იცვამ-ს, ასხამ-ს...

ზოგ კილოში (მაგ.: ქართლურში) -ამ იცვლება -ავ ნიშნით (აბაე-ს, ისხაე-ს, ასხაე-ს...). მაგრამ ეს არაა გამართლებული და არც უნდა ვიხმართ. ასეთ ზმნებს მხოლოდ -ამ ახასიათებს, ეს კარგად მტკიცდება საწყისის ფორმით, სადაც დაბოლოებაა -მა (და არა -ფა): დაბმა; (იმერული წარმოთქმა დ ა მ ბ ა დაუშვებელია), დადგმა, დასმა, ჩაცმა და სხვა. მაშასადამე, -ამ საეაღდებულა დარჩეს უცვლელად.

გამონაკლისს წარმოადგენს ერთადერთი ზმნა, რომელსაც ნაზმნარ სახელებში (საწყისში, მიმღეობაში მ აქეს): ჩანთქმა, ჩანთქმული, მაგრამ დროებში - -ავ: ნთქაე-ს, ნთქაე-და, ნთქაე-დეს; ჩანთქაე-ს, ჩანთქაე-და, ჩანთქაე-დეს; ჩაუნთქაე-ს. ეს ფორმები არაა მართებული, მაგრამ დღეს გაბატონებულია და მიღებულია საეაღდებულო სახმარად.

ჰ- და ს- პრეფიქსები ზმნაში

ჰ- და -ს პრეფიქსთა სწორად ხმარების გამო ბევრგზის ითქვა, ბევრი გამოკვლევა და პროექტი დაიწერა, მაგრამ საკითხი ბოლო ხანებამდე მაინც ვერ გადაწყდა. ნორმათა კომისიამ ხანგრძლივი და ღრმა კვლევა-ძიების საფუძველზე წესები შეიმუშავა და მათი განხორციელება უდავოდ დაამყარებს ერთგვარობას წერაში.

II პირის სუბიექტური და III პირის ობიექტური თავსართები ჰ- და ს- ძველ ქართულში (IX-XI საუკუნეებში) კანონზომიერად იხმარებოდა, წესს ექვემდებარებოდა.

XII საუკუნიდან წესი თანდათან დაირღვა და ბოლოს ამ თავსართთა გამოყენება სულ აირ-დაირია. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყო ანტონის გრამატიკამ (XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან). საშუალო ქართულისა და ანტონის გრამატიკული სკოლის გავლენით, აგრეთვე კუთხური მეტყველების ზეგავლენით XIX

საუკუნის კლასიკოსთა ენაში ასეთი გაუმართლებელი ფორმები გვხვდება: პნის, პერთის, პრბიან, პყეყდა... პპოვოს, ფჰყო, დაჰხსნას... პსდგას, პსდუმდა, პსჩივის, წარგჰსდეგი, პსცნა, პსთქვა... ან სრულიად მოულოდნელი ფორმა: პგმადლობთ... (ნ. ბარათაშვილი).

პბრწყინვალებს, პვალს, პხარობს... პსუავს, შჰპქმნიდენ... გჰწითლდები... დაჰსტირით... სცვივიან, სჩნდების, დასტკნების...

ან კიდევ: ვჰსდუმენ, ვჰსხდეთ, დაჰსტკნების... პსთქვას, ვჰსცან, დაჰსწვაგდენ და სხვა (გრ. ორბელიანი).

პლაპარაკობდა, პქშენს, პყვავის... დაჰკარგა, პნახა... სდგას, სტირის, სჩანდა, სცხოვრობს, სწუხდა... გადასწყეიტეს, გასტრა... უფრო მეტიც: პდნება, პთამაშობდა, პცდილობს, პტყივის და სხვა (ილია).

XX საუკუნის ქართულში, მართალია, არ იხმარება -პს-თავსართი და არც ს- ნიშნის ნაცვლად პ-, მაგრამ წესი მაინც არ არის დაცული, თავსართები არაა გამოყენებული კანონზომიერად. აი, ორიოდ მაგალითი: გაჰქანდა, პქროდა, პყვავის... გაჰხვრიტა... გამოჰყო... სდგას, სდუმდა, სჩანდა, მოსთქვამდა, სჩიოდა, შესწყეიტა...

ასევე ბევრი მწერლის ენაშიც. პრესის მუშაკები ცდილობენ წესები დაიცვან, მაგრამ იშვიათი არაა ნორმათა დარღვევის შემთხვევები.

ამჟამად ნორმათა კომისიის მიერ მიღებულია და სავალდებულოდ გამოცხადებული თანამედროვე ქართულისათვის შემდეგი წესები (აქ მოკლედ და უფრო მარტივად გავიმეორებთ ნათქვამს, სრულად იბეჭდება ქართული ენის მართლწერის წიგნში):

1. პ- და ს- თავსართები, როგორც ობიექტური პირის ნიშნები, გვევლინება თანხმოვნით დაწყებულ ზმნებში. პ- პრეფიქსი იხმარება შვიდი თანხმოვნის წინ, როგორიცაა: ბ, ფ, პ, გ ქ კ და ყ, ხოლო ს- — ცხრა თანხმოვნის წინ: დ, თ, ტ, ძ, ც, წ, და ჯ, ჩ, ჭ. სხვა თანხმოვანთა წინ თავსართი აღარაა საჭირო. ამის კვალობაზე

შეიძლება ვთქვათ და ეწეროთ: დაჰბერა (სიომ მას), დაჰქროლა (ნიავმა მას), დასტრიალებს (მას თავზე), გასწენია... მაგრამ გაბერა (ტიკი), დაქანცა, დატოვა, დაჩეჩა (ის) და სხვა მრავალი.

ჰ- ან ს- თავსართი არ დაერთვის ერთპირიან ზმნებს, ე. ი. ისეთ ზმნებს, რომელთა მოქმედი პირია მე, შენ, ჩვენ, თქვენ, ის, ისინი ან უკანასკნელი შემცველი არსებითი სახელი. მაშასადამე, ჰ- და ს- აღარ იხმარება II სუბიექტური პირის გამოსახატავად, მით უფრო ზედმეტია ის III სუბიექტური პირის თავსართად.

ამის მიხედვით უნდა ვთქვათ: ვგორავ, გორავ, გორავს, ვგორავთ, გორავთ, გორავენ; ვრბივართ, რბიხართ, რბის...

ვტირი, ტირი, ტირის, ვტირით, ტირით, ტირიან; ვწუხვარ, წუხხარ, წუხს.

და ასე: ბრუნავს, ბლავის, ზის, კივის, ქრის, ქშენს, ქშინავს, ღელავს, ღრინავს, ყვავის, ყივის, შფოთავს...

დგას, დუმს, ჩანს, ჩივის, ცხოვრობს, წარმოებს... დგას, თბება, ჭკნება და სხვა მრავალი.

3. ეგევე ჰ- ან ს- არ დაერთვის ორპირიან გარდამავალ ზმნებსაც არც II მოქმედი (სუბიექტური) პირის და არც III სამოქმედო (ობიექტური) პირის აღსანიშნავად. ასეთ ზმნებს ახლავს ზემოდ-ასახელებულ ნაცვალსახელთა გარდა მოქმედ პირად მან ან მათ ნამყოფი წყვეტილსა და კავშირებითში (კითხვაზე: რა ქნა? რა ქნას?) და სამოქმედო პირად იმავე დროებში ის, ისინი (იგი, იგინი), ხოლო აწმყოსა და მყოფადში და მათგან ნაწარმოებ დროებში (კითხვაზე: რას შერება? რას შერებოდა? რას შერებოდეს? რას იზამს? რას იზამდა? რას იზამდეს?) – მას, მათ; მაგ.: ვკარგავ, კარგავ, კარგავს, ვკარგავთ, კარგავთ, კარგავენ; ვკარგავდი, კარგავდი, კარგავდა..., ვკარგავდი, კარგავდი, კარგავდეს; დაკარგავ, დაკარგავ, დაკარგავს... დაკარგავდი, დაკარგავდი, დაკარგავდა...

(მე, შენ, ის, – მას, მათ); დაეკარგე, დაკარგე, დაკარგა; დაეკარგო, დაკარგო, დაკარგოს (მე, შენ, მან, – ის, ისინი).

და ასე მრავალი ზმნა: გლეჯს – დაგლიჯა, კლავს – მოკლა, კრეფს – მოკრიფა, მართავს – გამართა, ხრის – დახარა...

ღებს – დადო (ქვა), თესავს – დათესა, თლის – გათალა, ტყორცნის – გატყორცნა, ძრახავს – დაძრახა, წერს – დაწერა, წმენდს – გაწმინდა, ჭყლეტს – გაჭყელიტა და მისთანანი.

4. ჰ- და ს- იხმარება III ირიბი ობიექტის აღსანიშნავად სამპირიან ზმნებთან ყველა პირში. ასეთ ზმნებს ზემოთ დასახელებულ ნაცვალსახელთა გარდა ახლავს მესამე პირის გამომხატველი ნაცვალსახელი მას ან მათ (ან მათი მონაცვლე არსებითი სახელი), რომელიც მიცემით ბრუნვაში დგას, როგორც აწმეოსა და მყოფადისაგან, ისე ნამყო წყევტილისაგან ნაწარმოებ დროკილოებში (კითხვებზე: რას შერება? რას შერებოდა? რას იზამს? რა ქნა? რა ქნას? და სხვ.). მაგალითები ჰ თავსართით:

მე ვჰკადრებ მას (მათ) მას (სიტყვას)

შენ ჰკადრებ მას (მათ) მას „

ის ჰკადრებს მას (მათ) მას „

და ასე მრავლობით რიცხვშიც:

ჩვენ ვჰკადრებთ მას (მათ) მას (მათ)

თქვენ ჰკადრებთ „ „ „ „

ისინი ჰკადრებენ „ „ „ „

ნამყო უსრულში: ვჰკადრებდი, ჰკადრებდი, ჰკადრებდა...

კავშირებითში: ვჰკადრებდეთ, ჰკადრებდეთ, ჰკადრებდეს...

მყოფადში: შევჰკადრებ, შეჰკადრებ, შეჰკადრებს...

ხოლმეობითში: შევჰკადრებდი, შეჰკადრებდი, შეჰკადრებდა...

ნამყო წყევტილში: შევჰკადრე, შეჰკადრე, შეჰკადრა...

კავშირებით II-ში: შევჰკადრო, შეჰკადრო, შეჰკადროს...

მაგალიტები ს- თავსართით:

ესწამებ, სწამებ, სწამებს, ესწამებთ, სწამებთ, სწამებენ, მას (მათ) მას
ესწამებდი, სწამებდი, სწამებდა...

ესწამებდე, სწამებდე, სწამებდეს...

დაესწამებ, დასწამებ, დასწამებს...

დაესწამე, დასწამე, დასწამა...

დაესწამო, დასწამო, დასწამოს...

და ასეა საკმაოდ ბევრი ზმნა:

ჰ- თავსართი: ჰბაძავს, ჰგერის, ჰკითხავს, ჰკრავს (წაქრავს),

ჰპარავს, ჰპარსავს, ჰფხანს (ფეხს)...

ს- თავსართით: სთხოვს, სტაცებს (ხელს), სწირავს (თავს

სამშობლოს), შესთავაზებს, შესწივლებს, მისცემს და სხვა.

5. ეგევე ჰ- და ს- თავსართები იხმარება ორპირიან გარდაუკვალ
ზმნებთან. ასეთებია საშუალი და ენებითი გეარის ზმნები:

ეგაევარ, ეგაეხარ, ეგაეს... ეგაედი, ეგაედი, ეგაედა.

ეყაევარ, ეყაეხარ, ეყაეს... ეყაედი, ეყაედი, ეყაედა...

ესძულევარ, სძულეხარ, სძულს... ესძულედი, სძულედი, სძულედა... სძაგს,
სწამს, სძინავს... დასტრიალებს (თავს), მოსწონს...

ამათვე მისდევენ ორპირიანი ენებითი გეარის ზმნები თურ-
მეობითებსა და კავშირებით III-ში (კითხვებზე: რა მოსვლია? რა
მოსვლოდა? რა მოსვლოდეს?):

გაგჰკიდებოვარ, გაჰკიდებოხარ, გაჰკიდებოია... გაგჰკიდებოდი, გაჰკი-
დებოდი, გაჰკიდებოდა... გაგჰკიდებოდე, გაჰკიდებოდე, გაჰკიდებოდეს...

და ასე: შეჰბრალებოია, გაჰბედნიერებოია, დაჰკარგოია, მიჰპაროია,
გაჰპაროია, დაჰქვემდებარებოია, გაჰქცევოია, დაჰფრთხოებოია...

დავსწვევივარ, დასწვევიხარ, დასწვევია... დავსწვეოდი, დასწვეოდა...

და ასე: დასდგომოია, გასთუნებოია, დასტყდომოია, დასწერებოია, ჩასცივებოია,
დასწერია, დასწითლებოია...

ამათ მსგავსად ჰ- და ს- თავსართს დაირთავენ ორპირიანი სტატიკური (მდგომარეობის) ზმნები; მაგალითად:

გპგონივარ, პგონიხარ, პგონია... პბმია, პკიდია, პკლებია,
პჟენია, პქვია... სჩვევია, სჩრია...

ზოგი მათგანი ერთპირიანად იქცა და თავსართებსაც აღარ საჭიროებს: გდია, ყრია, ყუდია... თესია, წერია და სხვ.

6. ჰ- და ს- თავსართი გაუჩნდება ორპირიან გარდამავალ ზმნას, თუ დამატებად დაერთო III ირიბი ობიექტური პირი (მას ან მათ); მაგ.:

კვეთს (ვაშლს) – გაკვეთა (ვაშლი), მაგრამ: პკვეთს (თავს) მას – მოპკვეთა (თავი) მას.

კრავს (გზას) – შეკრა (გზა), მაგრამ: პკრავს (ხელს) მას – წაპკრა (ხელი) მას, მოპკრავს (თვალს) მას – მოპკრა (თვალი) მას.

და ასე და ბ ა ნ ა ი ს (ბაეში) და მ ო პ ბ ა ნ ა მ ა ს ჭრილობა, და გ ლ ი ჯ ა ი ს და მ ო პ გ ლ ი ჯ ა ი ს მას, და კ რ ი ჭ ა კბილები და მ ო პ კ რ ი ჭ ა მას თმა... და წ ე რ ა წერილი და მ ი ს წ ე რ ა მას წერილი, გ ა წ მ ი ნ და ტანისსამოსი და მ ო ს წ მ ი ნ და მას ცრემლი, შ ე ჭ ა მ ა პური და მ ო ს ჭ ა მ ა მას ჭირი და სხვა ასეთივე მდგომარეობაა, როცა ერთპირიანი ზმნა იქცევა ორპირიანად; მაშინაც ჰ- ან ს- დაერთვის. მაგ.:

ც ი ვ ა (გარეთ) და ს ც ი ვ ა მას

ც ხ ე ლ ა (გარეთ) და ს ც ხ ე ლ ა მას

დ ი ს (წყალი) და ს დ ი ს (მას სისხლი)

ჯ ო ბ ს (ამგვარად) და ს ჯ ო ბ ს (ის მას სილამაზით) და სხვ.

ასეთი სხვაობა არ ჩანს იმ ზმნებში, რომელთა თავკიდური თანხმომანია ვ ზ ლ მ ნ ე რ ს ლ შ ხ, რადგანაც ამათ წინ პ-ს თავსართი იკარგება; მაგ.:

მგზავრი რ ჩ ე ბ ა – მგზავრი და რ ჩ ა, მაგრამ: ვალი რ ჩ ე ბ ა მას – ვალი და რ ჩ ა მას.

იგი მ ო ს ა ვ ს მას შარავანდედით – მან შ ე მ ო ს ა ის შარავანდედით, მაგრამ: იგი მ ო ს ა ვ ს მას სამოსელსა – მან შ ე მ ო ს ა (ძველით: შეჰმოსა) მას სამოსელი.

იგი ხ ს ნ ი ს ფუთას – მან გ ა ხ ს ნ ა ფუთა, მაგრამ: იგი ხ ს ნ ი ს გუდას თავს – მან მ ო ხ ს ნ ა გუდას თავი და სხე.

ენაში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ პირველი პირის სუბიექტური გ- თავსართის შემდეგ ჰ- ან ს- არ ვიხმაროთ. ეს წესი ილია ჭავჭავაძემ ადრე დაადგინა და გაატარა კიდევ, თითქოს თანხმოდანთა თავმოყრა თავიდან აიცილაო; ამჟამად კი პარალელური ფორმები გვაქვს:

ჰკადრებ და ვკადრებ	ესწედები და ეწედები (მე მას)
შეეჰყრი და შეეყრი (მას სენს)	ჩავსძახებ და ჩავძახებ და სხე.
ჯობია მეორე ვიხმაროთ.	

8. ს- თავსართი რამდენიმე ზმნის ფუძეს შეუერთდა და მასთან ერთად ითქმის და იწერება, თუმცა ზოგი უკანონოა ისტორიულად, მაგრამ გავრცელებისა და დამკვიდრების გამო ერთადერთ ფორმას წარმოადგენს და ჩვენც ძალაუვნებურად ვხმარობთ. ასეთებია:

გამოსცემს – გამოსცა, გასცემს – გასცა, დასცემს – დასცა, გასტანს – გასტანა, ასწევს – ასწია, გასწევს – გასწია, დასწევს – დასწია და სხე.

ზმნის სხვა სადავო საკითხებს აქ არ ვეხებით.

გადავალთ სინტაქსური მოვლენების დარღვევათა განხილვაზე და იმასაც მოკლედ გადმოვცემთ.

სინტაქსური დარღვევები

1. ქვემდებარე და დამატება ორპირიან ვნებითი გვარის ზმნებთან. ორპირიან ვნებითებთან ქვემდებარე ყოველთვის დგას სახელობით ბრუნვაში, ირიბი დამატება – მიცემითში (ბ ა ვ შ ვ ი ემალება დ ე დ ა ს – ბავშვი დაემალა დედას...). მაგრამ არის ერთი წყება ზმნებისა, რომლებთანაც გარდამავალთა (მოქმედებითი გვარის ზმნათა) მიმსგავსებით ქვემდებარეს ხმარობენ ნამყო წყვეტილსა და II კავშირებითში (კითხვაზე: რა ქნა? რა ქნას?) მოთხრობით ბრუნვაში და ირიბ დამატებას – სახელობითში. ასეთ ვნებითებს აქვთ ტენდენცია იქცნენ სამპირიანად; მაგ.:

ეკითხება (ის მას მას – ეკითხება მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი მოსწავლეს გ ა კ ვ ე თ ი ლ ს) – შეეკითხა (ის მას მას – შეეკითხა მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი მოსწავლეს გ ა კ ვ ე თ ი ლ ს), მაგრამ ამბობენ და ზოგჯერ ნაბუჭდშიც გაიპარება უკანონო ფორმა: შეეკითხა (მ ა ნ მ ა ს ი ს – // შეეკითხა // მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ – მ ა // მოსწავლეს // გ ა კ ვ ე თ ი ლ ი).

და ასევე უკანონოდ ამბობენ და წერენ:

მოუყვა მ ა ნ მას ი ს

შეხვეწა მ ა ნ მას

დაჰპირდა მ ა ნ მას ი ს

შეეცადა მ ა ნ ბ ე ვ რ ი

ესაუბრა მ ა ნ მას

აი, ორიოდე ნიმუში, ამოწერილი სიტყვის ოსტატთა თხზულებებიდან: „მ ა თ დამსწრეებს ე ს ა უ ბ რ ნ ე ნ“; „ოცით უ მ ა ნ ი ა რ დ ა გ პ ი რ დ ი?“, „თქვენი მძლავრი სიტყვით მ ო მ ი ყ ე ე ი თ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი“ და სხვ.

ეს შეცდომა უნდა გასწორდეს. ამ ზმნებთან კონსტრუქცია არ იცვლება: ქვემდებარე ყოველთვის სახელობითშია და დამატება – მიცემითში. საკონტროლოდ გამოდგება აწმყოს ფორმა: თუ ზმნას აწმყოში I და II პირში აქვს -ებ-ი დაბოლოება, მაშინ

ქვემდებარისა და დამატების ბრუნვა არ იცვლება, მაშასადამე, უნდა ეთქვათ და ეწეროთ:

შ ე ე კ ი თ ხ ა მ ა ს წ ა ე ლ ე ბ ე ლ ი მოსწავლეს
გ ა კ ვ ე თ ი ლ ს

მ ო უ ყ ვ ა მ გ ზ ა ვ რ ი ა მ ბ ა ვ ს მსმენელს.

დ ა კ კ ი რ დ ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ი დ ა ხ მ ა რ ე-
ბ ა ს მ ა ს.

ე ს ა უ ბ რ ა მ დ ი ე ა ნ ი დამსწრეებს.

შ ე ე ხ ვ ე წ ა შ ე ი ლ ი დედას.

შ ე ე ც ა დ ა (ე ც ა დ ა) ამხანაგი ბ ე ე რ ს...

ამგვარად, ორპირიანი ვნებითი ზმნის კონსტრუქცია უცვლელია.

შეცდომაა აგრეთვე, როცა ამბობენ: დაკრა ბურთი, ნაცვლად
სწორი ფორმისა: გაჰკრა ბურთს...

2. მსაზღვრელ არსებით სახელთა უნიშნობა ნათესაობითსა და მოქმედებითში. საკუთარ სახელებთან მსაზღვრელად გამოყენებული სახელი, რომელიც თანამდებობას, პროფესიას, ადგილს აღნიშნავს, ბრუნვის -ი ნიშანს იკვეცს ნათესაობითსა და მოქმედებითში; მაგ.:

მასწავლებელ ილია სიხარულიძის გრამატიკა.

დოცენტ ცერცვაძის გამოკვლევა.

პროფესორ ქოიავას შრომა.

აკადემიკოს შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები“
გაზეთ „კომუნისტის“ მოწინავე.

ჟურნალ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგია.

ექიმ ჯანდიერის გამოწერილი წამალი.

გაზეთის რედაქტორ ებრაელიძის წერილი...

ქალაქ თბილისით მოხიბლული მოგზაური და სხვ.

შეცდომაა, როცა თანამდებობისა და პროფესიის არსებით სახელს უთანაბრებენ ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენებულ

ზედსართავს და -ი ნიშანს ურთავენ (ექიმი ჯანდიერის, ქალაქი თბილისით...). უნიშნო ნათესაობითისა და მოქმედებითის გამოყენება ძალაში რჩება უგამონაკლისოდ.

3. დროთა თანამიმდევრობა. რთულ წინადადებაში ხშირად გამოტოვებულია დამოკიდებული წინადადების კავშირი რომ; მაგ.: „სთხოვს გააკეთოს“; „შეიძლება მისწეროს“... (ეს ნიშნავს: „სთხოვს, რომ გააკეთოს“; „შეიძლება, რომ მისწეროს“...). ამ შემთხვევაში ორი სადავო საკითხი იბადება: ერთი, რომ კავშირის გამოტოვებისას სასვენო ნიშანი მ ძ ი მ ე დაესვათ თუ არა და, მეორე, რომელი დრო გამოვიყენოთ: „შეიძლება მისწეროთ“ თუ „შეიძლება მიეწერა“, ან „შეიძლებოდა მისწეროს“ თუ „შეიძლებოდა მიეწერა“, ამჟამად საკმაოდ არეულად იხმარება: ზოგი სვამს მ ძ ი მ ე ს და ზოგი არა („სთხოვს, გააკეთოს“ ან „სთხოვს გააკეთოს“); ზოგი აწმყოში დასმულ ზმნასთან II თურმეობითს იყენებს („შეიძლება დარჩენილიყო“) და ზოგიც ნამყოსთან – II კავშირებითს („შეიძლებოდა დარჩეს“).

საქმის ვითარებას შემდეგ დასკვნამდე მიყვავართ:

ა) რომ კავშირის გამოტოვებისას კავშირებითი ზმნის წინ მძიმე არ დაისმის: „შეიძლება დარჩეს“, „შეუძლია გააკეთოს“, „გთხოვთ დამინიშნოთ“... აქ კავშირებითის ფორმა შინაარსობრივად უდრის ქართულში მასდარს (მოქმედების სახელს) და რუსულში ინფინიტივს, რომელიც უბრალო დამატებად არის მიჩნეული: „გთხოვთ დამინიშნოთ“ = „გთხოვთ ჩემთვის დანიშვნას“, *пошу назначить мне* .

ბ) აწმყოში ან მყოფადში დასმულ ზმნასთან სავალდებულოა იყოს II კავშირებითი, ხოლო ნამყოში დასმულთან – II თურმეობითი, რომელიც ასრულებს III კავშირებითის ფუნქციას (III კავშირებითი ასეთ შემთხვევაში კარგად არის შემონახული სვანურში, რაჭულში და ნაწილობრივ ზემოიმიერულში, (ლიტერატურულ ენაში კი

იშეიათად); მაგ.: უნდა მოიგონოს, მაგრამ: უნდოდა მოეგონა (რაჭულად: მოეგონოს).

სურს ჰყაედეს, მაგრამ: სურდა ჰყოლოდა (რაჭულად: ჰყოლოდეს).

შეიძლება დაწეროს, მაგრამ: შეიძლებოდა დაეწერა (რაჭულად: დაეწეროს).

სწადია ადგეს და უთხრას, მაგრამ: ეწადა ამდგარიყო და ეთქვა (შდრ. „ეწადა ბენავს ადგომა“: ვაჟა).

შეუძლია თქვას, მაგრამ: შეეძლო ეთქვა (რაჭულად: ეთქვას).

სთხოვს მისცეს, მაგრამ: სთხოვა მიეცა (რაჭულად: მიეცეს).

შეიძლება დარჩე, მაგრამ: შეეგძლო დარჩენილიყო(ი).

„ძალიან კი უნდოდა მოეგონა რამ, უნდოდა ეთქვა კიდევ“ (ილია).

4. რ ო მ ე ლ ი ც ვ ე ე რ - კ ა ე შ ი რ ი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი .
რ ო მ ე ლ ი ც ვ ე ე რ - კ ა ე შ ი რ ი ს გამოყენებისას ჩნდება რამდენიმე
სადავო საკითხი; ესაა: მისი შეთანხმება რიცხვში ასახსნელ
წევრთან, ადგილმდებარეობა და ასახსნელი წევრის დამსგავსება
მასთან ფორმით.

შეთანხმება. რ ო მ ე ლ ი ც ვ ე ე რ - კ ა ე შ ი რ ი მ რ ა ე ლ ო ბ ი თ
რ ი ც ხ ვ შ ი უნდა ვიხმართ,

როცა ა ს ა ხ ს ნ ე ლ ი წ ე ე რ ი მ რ ა ე ლ ო ბ ი თ შ ი ა,
სულ ერთია, -ებ სუფიქსითაა ნაწარმოები ის თუ -ნ, -თ
ბოლოსართით, სულიერია თუ უსული;

როცა ასახსნელი წევრის მსაზღვრელია ერთზე მეტი რიცხვითი
სახელი ან განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი
(ბევრი, მრავალი, ყველა, რამდენიმე...);

როცა ასახსნელი წევრი ორ და მეტცნებიანია (დედ-მამა, და-
ძმა, ცოლ-შვილი...)

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს:

„გულმოდგინედ სწავლობენ ს ტ უ დ ე ნ ტ ე ბ ი, რ ო მ ე ლ ე -
ბ ი ც სახალხო საქმიანობისათვის ემზადებიან“;

„სხდომას დაესწრენ ჩვენი დაწესებულების წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ე ბ ი, რ ო მ ე ლ თ ა ც მონაწილეობა მიიღეს მსჯელობაში“;

„არიან მ წ ე რ ე ბ ი, რ ო მ ე ლ ნ ი ც მოსაგაღს ანადგურებენ“;

„განიხილეს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი, რ ო მ ლ ე ბ ი ც დღის წესრიგში იყო შეტანილი“;

„აქ ა-იქ ცუცხლზე ჩუხჩუხებდა ქ ვ ა ბ ე ბ ი, რ ო მ ლ ე ბ ს ა ც მისხდომოდნენ დედაკაცები“;

„გამოჩნდა ხ უ თ ი კ ა ც ი, რ ო მ ე ლ ნ ი ც სიფრთხილით შოდიოდნენ“;

„მწერალთა კავშირი აერთიანებს ყ ვ ე ლ ა ლ ი ტ ე რ ა ტ ო რ ს რ ო მ ლ ე ბ ი ც მწერლობის ამა თუ იმ უანრს ავითარებენ“;

„შეხაროდა თავის ქ ა ლ-ვ ა უ ს, რ ო მ ლ ე ბ ი ც წამოიტიებულებიყვნენ“ და სხვა მრავალი.

რომელიც წევრ-კავშირის ადგილისათვის წინადადებაში. რ ო მ ე ლ ი ც წევრ-კავშირი ყოველთვის დამოკიდებულ წინადადებაში გვევლინება. იგი მონაცვლეა ასახსნელი წინადადების ერთ-ერთი წევრისა. დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ რ ო მ ე ლ ი ც წევრ-კავშირით იწყება და ასახსნელი (მისამართი) წევრიც მის წინ დგას, მაგ.: „შავად მოჩანს პატარა წ ი ს ქ ვ ი ლ ე ბ ი, რ ო მ ლ ე ბ ს ა ც ლამის გამო ძლივს გამოარჩევდით“ (აქ ასახსნელი, მისამართი წევრია წ ი ს ქ ვ ი ლ ე ბ ი). ასეთ წყობას დიდი მნიშვნელობა აქვს: მოსალოდნელი ორაზროვნება ყოველთვის გამორიცხებულია. ქვემოთყვანილ წინადადებაში, მაგალითად, გაუგებარია, თუ რომელი წევრია ასახსნელი – ყ ა ზ ა ხ ე ბ ი თუ ხ ა რ ე ბ ი: „ტყვია ყ ა. ზ ა ხ ე ბ ი ს ხ ა რ ე ბ ს ხედებოდა, რომლებიც გაშტერებულნი გასცქეროდნენ ბრძოლას“; ან კიდევ: „ამ სიტყვებს დაუმატა ქ ა ლ ი ს ქ ე ბ ა, რომელიც ტანადობით

ისარს ემსგავსა“. აქ წარმოდგენილი სიტყვათა წყობით ტანადობით ისრის მსგავსია ქ ე ბ ა, რაც შეუძლებელია, სინამდვილეში კი ქ ა ლ ი ა ასეთი. დაუმატებთ ერთ მაგალითსაც: „სუტკანიჩა შევიდა ხულაში, დაჯდა ხალიჩაზედ და დაიწყო ტ ა რ ი ს რ თ ვ ა, რ ო მ ე ლ ს ა ც... თან წაიღებდა ხოლმე“. აქ ასახსნელია ტ ა რ ი, დაწერილი კი ისეა, თითქოს რ თ ვ ა იყოს ასახსნელი, მაგრამ რ თ ვ ი ს თან წაღება, მოგეხსენებათ, არ შეიძლება. როგორც ვხედავთ, ამ ნიმუშებში შეცდომაა. შეცდომას ავიცილებთ, თუ: ასახსნელ წევრს ვიხმართ რ ო მ ე ლ ი ც კავშირის წინ (მაგ.: „დაუმატა ქება ქ ა ლ ი ს ა, რ ო მ ე ლ ი ც ტანადობით ისარს ემსგავსა“), ან: ასახსნელ წევრს წინ დაეურთვათ ჩვენებით ნაცვალსახელს (ის, იმ, ისეთი..., მაგ.: „დაუმატა ი მ ქ ა ლ ი ს ქება, რ ო მ ე ლ ი ც ტანადობით ისარს ემსგავსა“), ან კიდევ:

ასახსნელ (მთავარ) წინადადებაში მოვაქცევთ დამოკიდებულ წინადადებას, რომლის წინ დაისმის მისამართი (ასახსნელი) წევრი; მაგ.: „გონასთან კ ა ც ი იღვა, რ ო მ ე ლ ი ც მიუბრუნდა მოხუცს“ ასე შეიცვლება: „კ ა ც ი, რ ო მ ე ლ ი ც მიუბრუნდა მოხუცს, იღვა გონასთან“.

არ არის სასურველი, რომ მ ი ს ა მ ა რ თ წ ე ვ რ ს ა დ ა რ ო მ ე ლ ი ც კავშირს შორის წინადადების სხვა წევრი იყოს (გარემოება, შემასმენელი, დამატება...), თუ ჩვენებითი ნაცვალსახელი არა გვაქვს გამოყენებული მისამართ წევრთან, უფრო ბუნებრივი იქნება, თუ ვიტყვი: „ლუარსაბმა გაუღიმა კ ა ტ ა რ ძ ა ლ ს, რ ო მ ე ლ მ ა ც ჩვეულებისამებრ თავი იქით მიიბრუნა“, ვიდრე: „ლუარსაბმა კ ა ტ ა რ ძ ა ლ ს გაუღიმა, რ ო მ ე ლ მ ა ც ჩვეულებისამებრ თავი იქით მიიბრუნა“.

მისამართი წევრის ფორმობრივი დამსგავსება (ასიმილაკია). ძველ ქართულსა და ამჟამად სეპირმეტყველებაში არის შემთხვევები, როდესაც მისამართ წევრს იმ ბრუნვაში სუამენ, რომელშიც

წევრ-კავშირი დგას. ეს მაშინ ხდება, როცა დამოკიდებული წინადადება მოქცეულია მთავარში და უკანასკნელი იწყება მისამართი წევრით; მაგალითად:

„დ ე დ ა ს, რ ო მ ე ლ ს ა ც სურდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვყოფილიყავი, ყოველთვის მთხოვდა“. აქ „დ ე დ ა ს“ შეთანხმებულია მიცემით ბრუნვაში რ ო მ ე ლ ს ა ც წევრ-კავშირთან და შეწყობილია დამოკიდებული წინადადების შემასმენელთან („სურდა“) და არა თავის (მთავარ წინადადების) შემასმენელთან („მთხოვდა“). ამას თავისი ფსიქოლოგიური ახსნა მოეპოვება. ენობრივად კანონიერია, თუ მთავარი წინადადების წევრი დაუკავშირდება არა მომდევნო, დამოკიდებული წინადადების შემასმენელს, არამედ თავის შემასმენელს. მაშასადამე, უნდა იყოს: „დ ე დ ა, რომელსაც სურდა... მ თ ხ ო ვ დ ა“.

ასეთი შეცდომები არაა იშვიათი მოსწავლეთა ნაწერებში; მაგალითები: „ტ ე ქ ს ტ ი, რ ო მ ე ლ ი ც უცხო ენის წიგნში ი ყ ო მ ო ც ე მ უ ლ ი, დამოუკიდებლად ვთარგმნიდი“, უნდა იყოს: „ტ ე ქ ს ტ ს, რომელიც... იყო მოცემული, ვ თ ა რ გ მ ნ ი დ ი“;

„ჩემი დ ე დ ა, რ ო მ ე ლ ი ც მასწავლებლად მ უ შ ა ო ბ დ ა, ბიბლიოთეკიდან ხშირად მოჰქონდა წიგნები“, უნდა იყოს: „ჩემს დ ე დ ა ს, რომელიც მასწავლებლად მუშაობდა, - მ ო ჰ ქ ო ნ დ ა წიგნები“ და სხვა.

სტილისტიკის საკითხი

უდავოდ არ არის საკმარისი ცალკეულ სიტყვათა მართლწერისა და გრამატიკულ მოვლენათა ნორმების დაცვა, საჭიროა ენის სხვა მხარის გათვალისწინებაც. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ენის ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ უ რ ი მხარე. აქ მთავარია სიტყვათა,

ნაწილაკთა და ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა შერჩევა, ერთი და იმავე მნიშვნელობის სხვადასხვა ფორმიდან ერთ-ერთის ამორჩევა და კონტექსტში მოცემულ ფორმებთან მისადაგება, სიტყვათა შინაარსობრივი და ფორმოზობრივი შესამება, წინადადების წვერთა წესიერი წყობა და სხვა.

შეიძლება რამდენიმე ნიმუში მოვიყვანოთ სინონიმთა ხმარებიდან. სინონიმებია „ბედი“ და „ილბალი“ და აკი ერთადაც ეხმარობთ მათ: „ბედ-ილბალი“. ამიტომ შეიძლება ითქვას „მისი ბედია“ ან „მისი ილბალია“, „ბედად“ ან „ილბლად“, მაგრამ არ ითქმის „ილბალი ეწია“, იხმარება მხოლოდ „ბედი ეწია“. ერთი და იმავე მნიშვნელობისაა „შიშველი“ და „ტიტველი“, ზოგჯერ ერთად ან ერთმანეთის შენაცვლებით ვიყენებთ: „შიშველ-ტიტველი მათხოვარი“, ან „შიშველი მათხოვარი“, ან „ტიტველი მათხოვარი“, ან კიდევ: „მშიერი, შიშველი, ტიტველი მათხოვარი“, მაგრამ არ ვამბობთ: „ტიტველი ხმალი“, „ხმალი იტიტვლა“, „ფეხტიტველი“ „თავტიტველი“; ჩვეულებრივია მხოლოდ გამოთქმები: „შიშველი ხმალი“, „ხმალი იშიშვლა“, „ფეხშიშველი“, „თავშიშველი“ („თავ-შიშველი სამ დღე ვლიდეს“: რუსთაველი) და სხვა მსგავსი სიტყვები.

აღიარებულია, რომ მხატვრული, მეცნიერული და პოლიტიკურ-პუბლიცისტური ნაწარმოების ენა უნდა იყოს ცოცხალი, დემოკრატიული, ხალხურ ენას დაახლოებული ლიტერატურული ენა. ილია ჭავჭავაძე თავის დროს გაბატონებულ მოთხოვნილებათა საწინააღმდეგოდ უფრო მეტს აკისრებდა ლიტერატურულ ენას. იგი ამტკიცებდა: „ყოველთვის უფრო სასიამოვნოა წასაკითხავად თხზულება, დაწერილი საყოველღეო, შინაურულს ენაზედ, იმ ენაზედ, რომლითაც ლაპარაკობს ქართველი კაცი თავის სახლში. თავის ცოლ-შვილში, ტოლთან და ამხანაგთან“. ეს ერთგვარი რეაქცია იყო მაშინ დამკვიდრებული აზრისა, რომლის თანახმადაც ლიტერატურულ ენად მიაჩნდათ დარბაისლური ენა, საშუალო

ძველსა (არქაულსა) და მოგვიანებით მწიგნობრულ ენას შორის. ნამდვილად კი ლიტერატურული ენა საყოველღეო, სასაუბრო, კუთხური ენა კი არ არის, არამედ ერთიანი დამუშავებული, დახვეწილი, მწიგნობრული ენაა.

მხატვრული მინსათვის

ლიტერატურულ ნაწარმოებს მხატვრულს ხდის და პუბლიცისტურს – მწიგნობრულსა და საინტერესოს – არა მარტო წარმტაცი სიუჟეტი, მაღალი იდეა, ლიტერატურის თეორიის წესების დაცვა და ბუნების მომხიბვლელად აღწერა, არამედ სიტყვებისა და ფრაზეოლოგიის მოხდენილად შერჩევა და თავის ადგილას ჩასმა, იდიომებით, აფორიზმებითა და ანდაზებით შემკობა. მეტად საგულისხმოა აკაკი წერეთლის შეგონება: საჭიროა „ასი ათასი სიტყვა-ფრაზისაგან არჩევა მასალებისა, რომელნიც უკეთ დაახასიათებენ აღებულ საგანს“. მართლაც სანიმუშოა „ვეფხისტყაოსანი“ სხვა მხარესთან ერთად ენის მხატვრულობის მხრივაც. საგანგებო ყურადღებას იქცევს ილიას, აკაკის, ვაჟას და ზოგი თანამედროვე მწერლის რჩეული პროზაული ნაწარმოებები. მისაბაძია ილიას პუბლიცისტური ნაწერებიც, სადაც 130-ზე მეტი ანდაზა და ბევრი ფრაზეოლოგიური ერთეულია გამოყენებული. ენას რომ ექსპრესიული ფუნქცია და ზემოქმედებითი ძალა ექნეს, ილია მიმართავს ხალხურ მეტყველებას, რომელსაც ის ზედმიწევნით ფლობს, შოთა რუსთაველისა და სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებებს, ძველი მწერლობის ძეგლებს, რომელთაც მშვენივრად იცნობს, და აქედან იღებს ცალკეულ სიტყვებს, ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, ხატოვან გამოთქმებს, იდიომებს, აფორიზმებსა და ანდაზებს. ზოგს უცვლელად ტოვებს, ზოგს კიდევ ცვლის და გრამატიკულად უქვემ-

დებარებს წინადადების წევრებს და ვიღებთ უწყვეტ ნაკადად მდინარ მსჯელობას. უცვლელადაა ნახმარი ანდაზა: მაგ.; „იმით ცოდნა აქეთ, ხერხი იციან. „ხერხი სჯობია ღონესაო“, – თქვენგანვე თქმულია და მართალიც არის“. მაგრამ ანდაზა შეცვლილია ამ წინადადებაში: „ეს ის ძეხვია ჩვენთვის, რომელსაც მშვიერი კატა ვერ შესწვდა და თავი იმით ინუგეშა, რომ პარასკევიას“ (გვაგონდება ანდაზა: „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“) (განხილულია გიორგი შალამბერიძის შრომაში).

კლასიკოს მწერალთა თხზულებების მკითხველს უთუოდ გული ეტკინება, როცა ნახავს მხატვრული გამოთქმის შესაქმნელად ერთმანეთისათვის შეუფერებელ, შეკოწიწებულ სიტყვებს, უხეირო შედარებებს, გაუმართლებელ განმეორებებს და სხვას. მაგალითისათვის მოვიყვანოთ თუნდაც ეს დაბეჭდილი შემთხვევები:

„**ე რ ც ხ ლ ი ს ქ ა მ ა რ ი ვ ი თ გ ა ტ ყ ო რ ც ნ ი ლ ი ა ლ ა ზ ა ნ ი**“ – აქ შედარება უვარგისია. გატყორცნა, ტყორცნა შეიძლება ისრისა, შუბისა, სახრისა, ქვისა და სხვათა (ფიგურალურად: სხივისა), რომელთა სწრაფად სროლა და მოხვედრება ხერხდება. ასეთად კი „ვერცხლის ქამარი“ ვერ გამოდგება.

„ბუნებას თავის სილაზათე უხვად დაუბერტყია ამ მიდამოსათვის“ – აქაც „სილაზათე უხვად დაუბერტყია“ გაუმართლებელი „სიახლეა“, უკეთ რომ ეთქვას, დარღვევაა მყარი ფრაზეოლოგიისა. ქართულში დამკვიდრებული იდიომია „თავის უხე კალთას დაბერტყავს“, „თავისი უხეი კალთა დაუბერტყავს“. ეს შინაარსობრივად და ენობრივად სწორი ფრაზეოლოგია ზემოთ მოყვანილ მაგალითში შენაცვლებულია უადგილო და ამდენად შეუსაბამო სიტყვით „სილაზათე“.

სიტყვათა ასეთი შენაცვლება ფრაზეოლოგიური ერთეულის აზრის დამახინჯებაა და ამდენად ენის შერყენაც.

„ხეები, ბუჩქები, ბალახები შემოდგომის კოკწია ფერებით

მორთულან“ – ფერებით მორთვა არ შეიძლება ითქვას, მით უფრო
კოპწია ფერებით. სიტყვები კოპწია ფერები
ისევე უწესოდ არის შეწყვილებული, როგორც გვექნებოდა, რომ
გვეხმარა: კოხტა ფერები, კეკლუცი ფერები.

სამწუხაროდ, ხშირად გვხვდება ასეთი ენობრივად და შინა-
არსობრივად უხამსი, შეუსაბამო წინადადებები: „სიკედლიმ
ვერწალეკათი სახელები“, „გეძებდი... გულმ
რამდენჯერ დაიკენეს-და იგანგაშა“, „ბადე დმახურავს
თქვენი დიმილი“. კმარა მაგალითების მოყვანა.

მიზეზი ამისა ბევრია. ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი მაინც
ბუნებრივი გამოთქმების, ფრაზეოლოგიის უცოდინარობაა. აუცი-
ლებელია ხელთ გექონდეს გამოთქმების, ფრაზეოლოგიური ერთე-
ულების, ხატოვანი სიტყვების, იდიომების ლექსიკონი, ანდაზებისა
და გამოცანების კრებულები და სხვ.

მეორე მთავარი მიზეზთაგანი, როგორც ზემოთაც აღინიშნა,
სხვა ენის გავლენაა. გავლენა განსაკუთრებით დიდია როგორც
ლექსიკაზე, ისე წინადადებათა აღნაგობაზე. ზოგჯერ წინადადება
სიტყვა-სიტყვით თარგმანს წარმოადგენს და ამდენად ქართული
ენის ბუნებას სრულებით არ ეგუება. ასეთია, მაგ.: „ფერმაში ადგილი
აქვს ფრინველების დაცემას“ „დაცემა“ კი თარგმანია
რუსული падеж სიტყვისა, რაც ნიშნავს გაწყდომას. ასევე
ნათარგმნია: „სუქები დან მოხსნილია რამდენიმე ათასი
ლორი“; „ორასი ცენტნერი ხორცი აწარმოებს“; „სახეში
ჰყავს“ და ბევრი გამოთქმა, რომელთა ერთ-ერთი წევრია ზმნა
ატარებს ან ტარდება („თესვა ტარდება“; „გამობარვას
ატარებს“), აწარმოებს, აწარმოებს („თესვა
წარმოებს“), აწობს („ექსკურსიას აწობს“), ან ურთავერ
სიტყვას საქმე (ახალი გეგმებია დასახული სწავლის საქმეში)...
ძალიან მოიკიდა ფეხი მიზნის გარემოების გამოსახატავად სიტყვამ

მ ი ზ ნ ი თ: (с ძელსი). „უ შ ი შ რ ო ე ბ ი ს მ ი ზ ნ ი თ სიჩქარე შეანელეს“; „ზღვის ფიზიკის შ ე ს წ ა ე ლ ი ს მ ი ზ ნ ი თ მსოფლიოს ირგვლივ მორიგ მოგზაურობას შეუდგა“ და სხვა.

ყველა ამ ზუსტი თარგმანის შეცვლა მოხერხდება, თუ ქართული ენის შესაძლებლობას გამოვიყენებთ; მაგ: შ ე ს წ ა ე ლ ი ს მ ი ზ ნ ი თ ქართულად გადმოიცემა: შ ე ს ა ს წ ა ე ლ ა დ, ან შ ე ს წ ა ე ლ ი ს ა თ ვ ი ს, ან კიდევ რ ო მ შ ე ი ს წ ა ე ლ ო ს და ა. შ.

საქმე იქამდე მივიდა, რომ საკუთარ გამოთქმას ვივიწყებთ და ნათარგმნს ვაბატონებთ. ჭ ი რ ნ ა ხ უ ლ ი ს მ ო წ ე ე ა, მ ო ს ა ე ა ლ ი მ ო ი წ ი ე ს – ეს ქართული გამოთქმა ლამის არის გამოვიდეს ხმარებიდან და მის ნაცვლად ვამკვიდრებთ გამოთქმას „მოსავლის აღება“, „მოსავალი აიღეს“, რაც შესატყვისია რუსულისა ყборка урожая, ყбрали урожай.

ფორმათა შენაცვლება. შენაცვლება საჭიროა ერთი და იმავე ფუნქციის ფორმებისაც, როგორცაა ქ ა ლ ე ბ ი ს და ქ ა ლ თ ა, მ წ ე რ ლ ე ბ ი ს და მ წ ე რ ა ლ თ ა... თავისუფლად ითქმის: „საქმე გაირჩა ქ ა ლ ე ბ ი ს თ ა ნ და ს წ რ ე ბ ი თ“ ან „ქალთა თანდასწრებით“ „მწერლების თხზულებანი“ და „მწერალთა თხზულებანი“, მაგრამ არ ვიტყვით „ქალების საკითხი“, „მწერლების კავშირი“, ვხმარობთ მხოლოდ მყარ გამოთქმას „ქალთა საკითხი“, „მწერალთა კავშირი“, ასევეა: „მუშათა კლასი“, „საბჭოთა ხელი-სუფლება“, „მოზარდ მაყურებელთა თეატრი“, „ბავშვთა სამყარო“ და სხვ.

ჩაკეტილი კონსტრუქცია. წინადადების ბოლოს ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი გეხვდება ორგვარად: ა ნ ი შ ნ ი თ და - ა - ს გარეშე. თუ - ა არ ახლავს, წინადადება თითქოს დაუმითაერებელია და მსმენელი ელის, რომ საუბარი გაგრძელდება; მაგ:

„გაუხდი სკოლის ასაკის“. მაგრამ თუ -ა დაერთო („გაუხდი სკოლის ასაკისა“), წინადადება დამთავრებულია, მსჯელობის გაგრძელება არაა მოსალოდნელი, თითქოს აზრი დასრულდა, წინადადება დაიხურაო. ასეთ წინადადებას ჩ ა კ ე ტ ი ლ ა ნ დ ა ხ შ უ ლ კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა ს ებახიან. მიუხედავად ამისა, ხშირად -ა-ს აკლებენ. აი, ორიოდე მაგალითი სტუდენტთა ნაწერებიდან:

„მადლობელი ვარ ჩემი მ ა ს წ ა ე ლ ე ბ ლ ე ბ ი ს“ (უნდა კი: მ ა ს წ ა ე ლ ე ბ ლ ე ბ ი ს ა);

„ამ დროს მე ვიყავი ე ქ ვ ს ი წ ლ ი ს“ (უნდა: ე ქ ვ ს ი წ ლ ი ს ა).

-ა მაშინაც საჭიროა, როცა რთული ქვეწყობილი წინადადებაა და მისი ერთ-ერთი შემადგენელი წინადადების ბოლოს ნათესაობითი ბრუნვის ფორმა გეხედება; მაგ.: „თუ ადამიანს აქვს მიზანი, მონდომება, ოცნება რამეს გ ა კ ე თ ე ბ ი ს ა, ის უდავოდ დაძლევეს ყოველგვარ დაბრკოლებას...“

-ა-ს გამოიყენება ახალი მოვლენა არ არის. ის ძველ ქართულში სოგადი სახელის მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების თანმხლები ნიშანი იყო. იგი განსაზღვრავდა სახელს, მას გამომსახველობით იერს ანიჭებდა. ამის გამო უწოდებენ ემფატიკურ -ა-ს, წამოშობით ის ჩვენებითი ნაცვალსახელია.

ეს -ა შემოინახეს იმავე ბრუნვებში და დაურთეს აგრეთვე ვითარებით ბრუნვას ქართლურმა და კახურმა კილოებმა, ოღონდ მხოლოდ პაუსის წინ წინადადების შიგნითა წყვილედულის ბოლოს ან წინადადების დასასრულს. აქედან შემოიღეს ლიტერატურულ ენაში ქართლიდან და კახეთიდან გამოსულმა მწერლებმა ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, სოფრომ მგალობლიშვილმა და სხვებმა (განხილულია თამარ ზურაბიშვილის შრომაში). ნათქვამს ნათელყოფს ეს მაგალითები:

„ბავშვები შორიდან შეხარიან ჩ ი ტ ე ბ ს ა“;

„ერთხელ კიდევ სცემეს იმ ს ა წ ყ ლ ე ბ ს ა, ...იმ ჩვენს მოკეთებებს“;

„ბევრი სასაცილო ოინი ნახეს ჩ ი ტ ი ს ა“;

„თაღი მოჰქონდა ს ი ლ ა მ ა ზ ი თ ა“;

„ბიჭები მიუჩინა ყ ა რ ა უ ლ ა დ ა“ და სხვა მრავალი. თანამედროვე ქართულში -ა შემოგერჩა ნათესაობით ბრუნვაში და იგი უნდა ვიხმართ პაუზის წინ წინადადების ბ ო ლ ო ს უ თ უ ო დ, წინადადების შიგნით კი სინტაგმის (წყვილის) ბოლო წვერთან, მაშასადამე, უნდა ვთქვათ და ვწეროთ:

„გაგხდი ო ც ი წ ლ ი ს ა“; „დროზე დაიწყეს თოხნა ს ი მ ი ნ დ ი ს ა, მომკა პ უ რ ი ს ა და დროზედვე დაამთავრეს“; და სხვა.

წინადადების შენაცვლება. ქართულში ხერხდება ერთი და იმავე აზრის სამი ტიპის წინადადებით გამოხატვა: მარტივი, ან რთული ქვეწყობილი, ანდა განკერძოებულგანსაზღვრებიანი წინადადებით. ასეთ შემთხვევაში ამბობენ რთული წინადადების შენაცვლებაზე მარტივით; მაგ.: „ეზოში ერთი ყაზახი ა ტ ა რ ე ბ დ ა ც ხ ე ნ ს, რ ო მ ე ლ ი ც უფროსისათვის მოემზადებინათ“ – რთული ქვეწყობილია, იგი გადმოიცემა მარტივით: „ეზოში ერთი ყაზახი ატარებდა უფროსისათვის მომზადებულ ცხენს“, ან კიდევ – განკერძოებული განსაზღვრებით: „ცხენს მომზადებულს უფროსისათვის, ატარებდა ეზოში ერთი ყაზახი. შეიძლება პირიქითაც: განკერძოებულგანსაზღვრებიანს შეენაცვლოს მარტივი ან რთული ქვეწყობილი; მაგ.: „ცეცხლის შუქი მიეფინა სტუმარს, რომელიც იქ იჯდა“ შეიძლება შეიცვალოს რთულითვე: „სტუმარს, რომელიც იქ იჯდა, მიეფინა ცეცხლის შუქი“. ორივე შემთხვევაში მათ შეენაცვლება მარტივი წინადადება: „იქ მჯდომელ სტუმარს მიეფინა ცეცხლის შუქი“, ან განკერძოებული განსაზღვრების შემცველი წინადადება: „ცეცხლის შუქი

მიეფინა სტუმარს, იქ მჯდომელს“, ან „სტუმარს, იქ მჯდომელს, ცეცხლის შუქი მიეფინა“ (შდრ.: ილიას პოემიდან: „ხოლო რა შუქი იმა ცეცხლისა სტუმარს, იქ მჯდომელს, ზედ მიეფინა“).

ქართულში ასეთ შენაცვლებას დიდი ხნის ისტორია აქვს. რთულის ადგილას მარტივი წინადადება ფართოდაა გამოყენებული ანდაზებში, ლექსებში და სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში. მას მიმართავენ მეტყველების ეკონომიისათვის, ლექსებში მარცვალთა რაოდენობის დასაცავად, რითმისა და რიტმისათვის, პროზაში კი სტილებრივი სხვაობისათვის.

შენიშნულია, რომ სხვადასხვა ტიპის წინადადებათა გამოყენებით სტილებრივად განსხვავდებიან არა მარტო მწერლები, არამედ განსხვავდება ერთისა და იმავე პროზაიკოსის სხვადასხვა თხზულებაც. ცხადია, ერთნაირი არ არის სტილებრივად ილიას „მგზავრის წერილები“ თუ „კაცია-აღამიანი“ და „ოთარაანთ ქვრივი“. ვასილ ბარნოვი ხომ თვალნათლივ გამოირჩევა სხვა მწერალთაგან. იგი ზოგ ნაწარმოებში იშვიათად ხმარობს რთულ ქვეწყობილ წინადადებას და ამას ახერხებს მაქვემდებარებელ თუ სხვა კავშირთა უგულვებლყოფით, მიმდგომბური კონსტრუქციის გამოყენებით ან ზოგჯერ სახელდებითი წინადადების შემოღებით (ვასილ ბარნოვის ენა საკმაოდ გულდასმით შესწავლილი აქვს ელ. კოშორიძეს). უნდა ითქვას, რომ ამგვარ წინადადებათაგან შემდგარი მოთხრობა სტილისტიკურად თავისებურია, განსხვავებულია, ეკონომიურია, საკითხავად ცოცხალი და საინტერესო, მაგრამ დასამახსოვრებლად ძნელია. მიუხედავად ამისა, ასეთი სტილის თხრობას საკმაოდ ადგილი უნდა დაეთმოს.

კონსტრუქციათა შენაცვლება. ქართულში გაერცვლებულია ორი კონსტრუქცია: მოქმედებითი და ენებითი. პირველის ნიმუშია: „სიძინდები გათოხნეს, ყანები მომკეს, პური გალეწეს...“ ხოლო მეორისა: „სიძინდები გაითოხნა, ყანები მოიმკა, პური გაილეწა“

და სხვ. მწერლობაში ერთიც იხმარება და მეორეც, მაგრამ გაბატონებულია პირველი. ბოლო ხანებში მონდომებით ავრცელებენ აღწერილობითს ვნებითს: „აღებულ იქნა, წაღებულ იქნა, მოკლულ იქნა, აოხრებულ და განადგურებულ იქნა“ და სხვები. „მალაზიიდან წ ა ღ ე ბ უ ლ ი ქ ნ ა შაქრის ფხვნილი“; შეკრებაზე დ ა ჯ ი ლ დ ო ე ბ უ ლ ი ქ ნ ე ნ მოსწავლეები“ და სხვ. აქ თავისუფლად შეიძლება გვეხმარა: წ ა ი ღ ე ს, დ ა ა ჯ ი ლ დ ო ე ე ს ა ნ დ ა ჯ ი ლ დ ო ე დ ნ ე ნ, უფრო კი პირველი – აქტიური ზმნები.

აღწერილობითი ანუ პერიფრასტული ვნებითი შეიძლება გამოვიყენოთ იმ შემთხვევაში, როცა ზმნას ვნებითის ფორმების წარმოება არ შეუძლია. ასეთებია: წ ა ი ღ ო, წ ა ი ყ ვ ა ნ ა, გ ა ი ტ ა ნ ა, მ ი ი ტ ა ნ ა, შ ე ი ძ ი ნ ა და სხვები (ა. შანიძე). სხვა პირობებში უმტკივნეულოდ ვიხმართ აქტიურ ფორმებს, შესაძლებელია ვნებითსაც, უკიდურეს შემთხვევაში კი – აღწერილობით ვნებითს, მაგ.:

„შაჰ-აბასის მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა საქართველო ააოხრა და განადგურა, ტყე და ვენახები მოსპო, ხალხი გაწყვიტა და, ვინც გადარჩა, ტყვედ წაიყვანა სპარსეთში“ – შეიცვლება ვნებითით: „შაჰ-აბასის მრავალრიცხოვანი ლაშქრისაგან საქართველო აოხრდა და განადგურდა, ტყე და ვენახები მოისპო, ხალხი გაწყდა და, ვინც გადარჩა, ტყვედ იქნა წაყვანილი სპარსეთში“. მაგრამ არ ივარგებს, თუ ვიტყვით: „საქართველო აოხრებულ და განადგურებულ იქნა, ტყე და ვენახები მოსპობილ იქნა“ და სხვა. ეს როგორც გრამატიკული, ისე სტილისტიკური თვალსაზრისით მიუღებელია.

* * *

დღეს ჩვენ ვმსჯელობთ ქართული ენის მართლმეტყველებისა და მართლწერის სადავო საკითხებზე, თავის დროზე კი ილია ჭავჭავაძე გოდებდა: „ჩვენდა სამწუხაროდ, – მაგ მეცნიერებისათვის

(იგულისხმება პოლიტიკური ეკონომია) ჩვენი ენა მუნჯია ჯერ-ხანად, არც ტერმინებია მიღებული და დადგენილი საერთოდ, არც თვითონ ვგრეთ წოდებული ფრაზეოლოგია, ამიტომაც, ერთს უმთავრესს სიძნელეს ამ „შინაურის მიმოხილვისას“, ეს უკანასკნელი ნაკლი ჩვენის სიტყვებისა შეადგენს“ (1882 წ., ტ. VI).

მაგრამ ეს ეხებოდა არა მარტო პოლიტიკურ ეკონომიას, არამედ მეცნიერების სხვა დარგებსაც. რუსეთის ხელისუფლების ბატონობის რეა-ცხრა ათეული წელი საკმარისი იყო ერის ჩაგვრისა და დამონებისათვის, რომ მშობლიურ ენაზე მეცნიერული აზროვნება შეწყვეტილიყო, საერთოდ, დედაენის განვითარება და წინსვლა შეჩერებულიყო; ამიტომ იყო, რომ ილია ასე მწარედ შენიშნავდა: „ჩვენი ენა... ჯერ მომზადებული არ არის დღევანდელს აზრს კაცობრიობისას საზოგადოდ და თუნდ ჩვენებურ ინტელიგენციასაც აღებ-მიცემობა გაუწიოს გაუჭირვებლად და საკმარის განცხადებით...“ (1889 წ., ტ. V), ლაპარაკია იმ ენაზე, რომელზედაც თავის დროზე შეიქმნა ფილოსოფიის, მედიცინისა და სხვა დარგების ტერმინოლოგია და რომელზედაც დაიწერა მხატვრული, ისტორიული თუ სხვა დარგის შესანიშნავი თხზულებები.

მეოცე საუკუნეში ერმა შეძლო ხიდი გაედო ძველ და ახალ ხანას შორის, „კაცობრიობის დღევანდელი აზრის“ გადმოსაცემად დედაენა იმდენად განევითარებინა, რომ საკუთარ „საკმარის მასალაზე“ მეცნიერებისა და ტექნიკის და საერთოდ კულტურის ყველა დარგის ტერმინოლოგია დაედგინა და ფრაზეოლოგია შეემუშავებინა. ამისათვის საჭირო იყო დაძაბული შრომა, დაუცხრომელი მუშაობა, დაუმრეტელი ენერგია, ძველის ცოდნა და ახლის ძიება.

ქართველ ერს ძალა შესწევდა, რომ სამი ათასი წლის განმავლობაში დაუნჯებული კულტურის მონაცემები გამოეყენებინა.

ქართველი ხალხი სამი ათასი წლის განმავლობაში ამოდ არ იცავდა თავის საცხოვრისს, იმ ადგილს, სადაც ის ცხოვრობს.

იგი იცავდა და იცავს არა მარტო თავის ტერიტორიას, არამედ თავის ძველ კულტურას, თავის თვითმყოფობას, თავის უშრეტ ენერჯიას და შემოქმედებითს აღმაფრენას.

იგი დარაჯად უდგას იმ უძველეს ნაგებობებს, რომლებიც „უწყალოს ხელით“ მიწაში დანთქმულა. ჩვენს არქეოლოგებს მზის გულზე გამოაქვთ ეს ფასდაუდებელი განძი.

იგივე ქართველი ხალხი გუშაგობს და ქუელის ბარბაროსებისაგან დანგრეულ მიწისზედა ტაძარ-მონასტრებსა და სასახლე-კოშკებს, რომელთაც თავიანთი მონუმენტურობით დღესაც განცვიფრებაში მოჰყავთ მნახელები.

ქართველმა ხალხმა შექმნა მაღალი გონების ნაყოფი – მხატვრული, ისტორიული, ფილოსოფიური და სხვა დარგების თხზულებანი, რომელთაც გულმოდგინედ იკვლევენ ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსები და ფილოსოფოსები, ხოლო შედეგებს თარგმნიან უცხოელები. ამავე ქართველმა ხალხმა გამოიგონა და თანაც თანდათან გააუმჯობესა ყოფის დამახასიათებელი ინვენტარი (სოფლის მეურნეობის იარაღები, ჭურჭელი, ჩაცმულობა, სამკაულები...), შემოგვინახა რელიგიური წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი, რომელთა სიღრმეში ჩაწედომა შეძლეს ჩვენმა ეთნოგრაფებმა და ნათელყვეს ამ მხრივაც ქართველთა მოწინავეობა.

ცივილიზაციის შემქმნელ ხალხთა მეფეების ბრძანებით დაფებზე ამოჭრილი წარწერების, მემატრიანეთა და უცხოელ მოგზაურთა ნაწარმოებების წაკითხვითა და ურთიერთშეჯერებით, სხვა მატერიალური კულტურის შესწავლით ჩვენმა ისტორიკოსებმა შექი მოჰფინეს ქართველი ხალხის თავგადასავალს, მისი დაუცხრომელი ბრძოლისა და შემოქმედების მრავალ მხარეს, მის პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობას აღმოსავლურ და დასავლურ სახელმწიფოებთან და ცხადყვეს ერის მნიშვნელოვანი ადგილი აღმოსავლეთის ისტორიაში.

ქართველმა ერმა მისაბაძად დაიცვა თავისი ენა, რომელსაც X საუკუნის მოღვაწემ იოანე-ზოსიმემ „ქება და ღიდება“ უძღვნა. ჩვენმა ენათმეცნიერებმა გამოაეღინეს ამ ენაში დამარხული ის სახელები, ტერმინები და იდიომები, რომლებშიც ასახულია ქართველთა ისტორია, ხელოვნება, ყოფა და რომლებიც მოწმობენ, რომ ქართული კულტურა თვითმყოფადია, ადგილობრივ შექმნილი და არა გარედან შემოტანილი, იმპორტული.

ბუნებრივია, რომ ქართველმა ერმა თანამედროვეობის დიდი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სიტყვა გაიმეოროს ღუხჭირ პირობებში გამოტარებული თავისი მაღალი კულტურის, თავისი საცხოვრისის შესახებ და თქვას: „გიცავდი და კვლავ დაგიცავ“. ისიც ბუნებრივია, რომ ქართველმა ერმა მთელ შემოქმედებითს ძალებს მობილიზაცია უყოს და ეცადოს მშობლიური მხარის აყვავებასა და აღზევებას, ისწავლოს და სხვასაც ასწავლოს თავისი ენა, ლიტერატურა, ისტორია. ეს ჩვენი ახალი თაობის პირველი და მთავარი მოვალეობაა.

ՓՈՅՈՆ ԿՅՔԼԱՏՈՒՄԻՆ

Քիրველად ეს Մոնի 1965 Վելս Գամոյժա ՏաճաճՄո Ըա
աճաԼԳաճՐԸՈՅԻՆ ԼԻՒԵՐԱՏՄՐԻՆ ԳԱՄՈՄՇՎԵՄԼՈՅԱ „ՆԱԿԱԸՄԼՄԻ“.
ՄԵՄՈԳԵՐՆԱ ԵԱՏՈՆ ԵԱՐԼԱՄ ԵՐՈՒՐԻԱՏ ՎԵՐԻԼԻ, ԳԱՄՈՇՎԵՄԸԸ
„ՆԱԿԱԸՄԼԻՆ“ ՄԱՄԻՆԸՄԸ ԸԻՐԵՔՏՈՐՏ ՔՈՒԵՏ ԵՄԵՏԱ ԵՐՄԸԼԱՅԱՏ ՐՈՄ
ԳԱՄՈՒԳՅԱՅՆԱ ԸԸԸԱՆԵԱՆ ԵՐԵԱԸ:

ԸԻՐԸ ԿԱՏՈՒՄԸՄՈ ԵՄԵՏԱ!

ԳԵՄԱՅՆԻՒ ԸԱՆՈՒՐԸՆ ԸԱ ԳԱՅՎՈ ՈՐ ԸԱՅՆԱՆԱ
ԸԱ ՆԱՅԱՆԱՈ. ԱՅ ԱՅՈ ԼԵՆԻՆԵՒԵՐ ՊՈՅՈՆԱՈ, ՄԵՅՈՒՐԱ
ԳՄՈՒՅՆԱ ԳՄՈՅՆԱՅԱ:

ՄԱՅԱՅՈ ԳՈՅՆԱՈ, ՔԼ ԸԱՆԵԼԱ ԼԵՐԱՅԵՐ ՆԱՅՎ-
ԸՈՒՐԸ, ԳՈՒՅԱՅՆՈՒՅԻՆԱՅՆԱՅՆ, ՈՐԱՅ ՄԱՅՆ, ՄԱՅՈ-
ՄԻՐԸ. ԿՅՔԼԱՏ ԸՐԼՐՈՒՒ ՄՈՒՄՅՆԱՈՅ ԿՅՆ ՆԱՅՆ
ՆԱՆԸՆ (Մ. 1-51), ՄԵՅՈ ԸՐՅՈՒՆ ՄՅՆԻՒ ԱՅ ԸՆՈՒՐ ՄՅՆԱ
ՄՅՈՒՐԱ, ՄԵՅՈՅ ՆԱՅՐՈՒՆ ԱՅՈՒՐ, ՄՅՐԱՅ ՄՅՅԱՅՆԱՅՈ
ՈՒՐԸ, ԱՅՈՒՐԱ ԳՄՈՒՐԱՅՆ ՄՅՆԱՅ:

ԼԱՅ ՄՅՆԱՅ ՄԱՅՆ ՆԱՆԸՆ, ՆԱՅՅՈՒՆ, ՄՈՆ ԸՐԼԻՒՐԸ
ԳՐԱՅՆԱՅ ԸԱՅՆԱՅՈ ԼՈՒՅԱՅ, ԱՅՈՒՐԸՈՅ ԱՅ ԸԱՅՎԱՅ ՈՐ ՈՒՐ.
ԿՅՆ (ԸԱՅՆԱՅՆԱՅՆԱՅ) ԸԱ ԼՈՒ ՆԱՅՈՒՆ ՄՅՈՒՐԱ ՄՅՅԱՅՈ.

ԱՅՅՈՆ ԱՅՆԱՅՅԸՐ ԳՈՒՐԱՈՒ ՊՈՅՈՆԱ ՈՒՐԱՆ ԱՅՆ
(ԳՄՈՒՅՆԱՅՈՒՆԱՅ ԸԱ ՄՅՈՒՐԱՅՈՒՆ ԱՅՅՈՒՐԱ ՄԱՅՆԱՅ). ՄՈՆ
ԳՄՈՒՅՆԱՅՈՒՆԱՅ Գ ՈՒ ՄԱՅՆԱՅՆԱՅ: ՄՅՆ ԱՅՆԱՅՆԱՅ ԸԱՅՈ.
ԱՅՅՈ ԸՐԸՐԱՅՆԱՅ ԳՅՅՈ, ԳՅՆԱՅՅՈՒՐԱ ԸԱ ԸԱՅՆԱՅՅՈՒՐԱ
ՄՅՅԱՅՅՈՒՐԱ.

ՈՒՐԱՅՈՒՆ ՄՅՅԱՅՆԱՅ.

ՈՒՐԱՅՈՒՆ ԿՅՐԱՅՈՒՐԱ ՆԱՅՅՈՒՐԱՅՈՒՐԱ
ԳՅՐԱՅ ԱՅՅՈՒՐԱ

წიგნი უცვლელად გამოიცა მეორედ, 1988 წელს გამომცემლობა „განათლებაში“. თუმცა უძღვის აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის წინასიტყვაობა:

„აკად. ვარლამ თოფურიას წინამდებარე ნაშრომი ფართო მკითხველი საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებით მოკლედ მიმოიხილავს ქართული ენის განვითარების, მისი შესწავლის ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის, სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისა და მართლწერის საკვანძო საკითხებს.

იგი დაიწერა ამ ოციოდე წლის წინ. მას შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა როგორც ქართული ენის შესწავლის, ისე სალიტერატურო ენის მუერეობისა და სიწმინდის დაცვის მხრივ. ბევრი ახალი მოსაგვარებელი საკითხიც გაჩნდა, რაც, ბუნებრივია, აქ განხილვის საგნად ვერ იქცეოდა.

ქართული ენის მოვლა-პატრონობის, სალიტერატურო ენის სადავო საკითხთა მოგვარების სფეროში ამ ბოლო ხანებში დიდი მუშაობა გაიშალა. სისტემებზე შუქდება ენის სიწმინდის საკითხები პრესის, რადიოსა და ტელეხედვის გზით.

მთავრობის დადგენილებით დაარსდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების პერიოდული ორგანო „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, რომლის ხუთი წიგნი უკვე გამოვიდა და ორი მომდევნო წიგნი გადაცემულია გამოსაქვეყნებლად.

აღნიშნულ ორგანოში ფართოდაა გაშუქებული საცილობელი საკითხები სალიტერატურო ენისა; შეისწავლება ის ენობრივი დარღვევები, რაც თავს იჩენს პრესის ენაში, სახელმძღვანელოთა ენაში და მკითხველს ეძლევა სათანადო რეკომენდაციებიც. ერთ-ერთი ბოლო ტომი ამ პერიოდული გამოცემისა დაეთმო სწორედ მყარი გამოთქმების ლექსიკონს, რომლის შედგენაც აკადემიკოს ვარლამ თოფურიას გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა; გამოდის სხვადასხვა სახის ცნობარები, ლექსიკონები და სხვ.

მიუხედავად ამისა, აკად. ვარლამ თოფურიას წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, საესებით ინარჩუნებს

აქტუალურობას. ყველა ის საკითხი, რომელიც მასშია განხილული, დღესაც დიდ ყურადღებას ითხოვს და სწორედ ისევეა გადაჭრილი, როგორც ამ წიგნშია გაშუქებული.

ქართული ენის გამოჩენილი მკვლევარი აკადემიკოსი ვარლამ თოფურია, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული პედაგოგიური ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. მას ახასიათებდა უაღრესად რთული საკითხების მარტივად დალაგება, მსმენელისა და მკითხველისთვის გასაგებად მიწოდება. ამაში წინამდებარე ნარკვევის მკითხველიც დარწმუნდება”.

ეს ათი-თხუთმეტი წელიწადია, საქართველოში ქართულ ენას მოვლა-პატრონობა არ მოჰკლებია სატელევიზიო თუ რადიოგადაცემებით, საინტერესო და საჭირო წიგნების გამოცემით, ახალი სახელმძღვანელოების შექმნით და მაინც ენის სიწმინდე ირღვევა, მეტყველების კულტურა დაბალია.

გამომცემლობა „ნაკადულმა“ ამ წიგნის ხელახლა გამოცემა იმ მიზნით გადაწყვიტა, რომ ფრიად საჭირო, მაგრამ მივიწყებული წიგნი შესთავაზოს ყველას, ვისაც სწორი, ნათელი, ზუსტი, დახვეწილი ზეპირი და წერიტი მეტყველება აინტერესებს.

მაშინ წიგნის რედაქტორი გახლდათ აკადემიკოსი გიორგი ახელედინი. რა თქმა უნდა, დღესაც ის ითვლება რედაქტორად.

მე შინარედაქტორობა მხედა. ახალგამომცხვარი რედაქტორი უიყავი. თანაც ბატონი ვარლამის მოწაფეთა შორის ეთელი თავს და მასწავლებლის რედაქტორობა, ცოტა არ იყოს, მეხამუშა, მაგრამ მუშაობა არ გამჭირვებია. თვითონ გამიადვილა. საათობით ვისხედით ერთად და უბჭობდით, რა როგორ აჯობებდა. ჩვენს მაშინდელ მთავარ რედაქტორს ნონა კალანდარიშვილს გაუკვირდა კიდევ: ამ პატარა წიგნზე ამდენი სალაპარაკო რა გაქვთო.

ბატონი ვარლამი მადლიანი კაცი იყო და ყველაფერს მადლიანად აკეთებდა. აკეთებდა ჩემად, უხმაუროდ. მადლი ღეთისაგან

ჰქონდა ბოძებული და არაეისთვის იშურებდა. მუდამ ნათელი ეფინა სახეზე და ნათლად გამოხატავდა სათქმელსაც. ერთმა მისმა მოწაფემ თქვა: „გასცემს ნათელს და მას გააჩნია მხოლოდ ნათელი“.

პირადი მაგალითით საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობას უნერგავდა გარშემო მყოფთ. სათუთად ექცეოდა ყველას და ყველაფერს, ვისთანაც და რასთანაც ურთიერთობა მოუწევდა.

ეს წიგნიც მისი ნასათუთეგია.

ბატონი ვარლამი ხშირად ამბობდა, დახვეწილი ზეპირი და წერითი მეტყველება ადამიანის შინაგანი კულტურის გამოვლინებააო და თავის მნიშვნელოვან მეცნიერულ დაკვირვებებთან ერთად რეკომენდაციებსაც გეთავაზობდა ზეპირი თუ წერითი მეტყველების დასახვეწად.

ამ წიგნში ეს რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას თქმით, „ვარლამ თოფურეიას გამოკვლევებს ქართული ენის ისტორიაში, ქართულ დიალექტოლოგიაში, ქართველურ ენათა შედარებით ფონეტიკასა და მორფოლოგიაში სპეციალისტი გვერდს ვერ აუვლის“. ამ პატარა წიგნს კი ერთი ქართველიც ვერ აუვლის გვერდს. იგი ყველასათვისაა.

ლილი ბოგოზია

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი-----	3
ენის სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლა-----	6
რას ნიშნავს ენის სიწმინდის დაცვა-----	8
ლიტერატურული ენის ნიშან-თვისებები-----	9
ქართული ლიტერატურული ენის ჩამოყალიბების პირობები-----	14
ქართული ენის ძეგლები-----	18
ქართული ლიტერატურული ენის განვითარების მოკლე განხილვა-----	21
ქართული ენა ჩვენი დედაენაა-----	27
ქართული ენის გაერცვლებულობა-----	29
ქართული კულტურული ენაა-----	31
დედაენის სწავლება აუცილებელია-----	31
ქართული ენის შესწავლა უცხოეთში-----	33
ლიტერატურული ენის ნორმათა დარღვევის მიზეზები-----	41
როგორ დაეიცვათ სიწმინდე, როგორ აეცილოთ შეცდომები?-----	60
სალიტერატურო ქართული ენის ნორმების დადგენის პრინციპები-----	60
წარმოთქმა-----	64
სესხება-----	67
როგორ გადმოიცვს ნასესხები სიტყვები და საკუთარი სახელები?-----	71
ბერძნული და ლათინური წარმომავლობის სიტყვათა გადმოცემა ქართულში-----	73
ქონების (კუთვნილების) გამომხატველ სიტყვათა წარმოება-----	75
სინონიმურ სიტყვათა ხმარებისათვის-----	83
რიცხვითი სახელის მართლწერა-----	86
ზმნის სადავო საკითხები-----	91
სინტაქსური დარღვევები-----	104
სტილისტიკის საკითხი-----	110
მხატვრული ენისათვის-----	112

რედაქტორი
გიორგი ახვლედიანი

ტექნიკური რედაქტორი ზაირა დონდუა
კორექტორი: ცირა ზაზაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნიჩა დვინერია,
ნონა კოჭლამაშაშვილი

ქაღალდის ზომა 60x84, 1/2, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,14 .
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,79. ტირაჟი 1000.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „ნაკადული“.
თბილისი, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. №28.
გამომცემლობა „საარი“ თვედორე მღვდლის ქუჩა № 57